

(12)



# საბჭოთა სეროვნება

1978 4



4/1978

# საბჭოთა სტალინიზმი

საპარტიზო სსრ კულტურის სამინისტროს  
უწყებლეთვიური შუბრული

**შინაარსი**

ტატანა შაროვა — ასახვის ლენინური თეორია და ბჭოლას თანამდებრობის მოღვაწეობის წინააღმდეგ . . . . .	2
ლალი ცერცვაძე — სრულიადსაბჭოთაო რეალისმის მეთოდის შესახებ . . . . .	6
გაგი ორჭონიძე — რეალისმიური და მისი ოპერა „ლეონა“ . . . . .	11
ეთერ გუგუშვილი — თანამდებრობის მართლადი საზოგადოებრივი ხელშეწყობა . . . . .	20
სიმონ კინწურაშვილი — ქვეყნიური თეორიის მთავარი პრინციპები და ზოგადი წი- ნადასტურების რეალისმის შესახებ . . . . .	34
ლალი ყურულაშვილი — გერმანიის რეალისმიური . . . . .	43
ეთერ შავგუშვილი — ქვეყნიური ხელშეწყობის . . . . .	51
ჭუბუჩაძის ვატიშვილი — საბჭოთაო მხარდობის რეალისმიური . . . . .	57
მიხეილ ქაბაშვილი — „ორგანი“ თუ „ორგანი“? . . . . .	
ზორის შირცხუაძე — ლენინისტიკური მსახიობის . . . . .	71
გურამ გვირგვინი — ხელშეწყობის რეალისმიური . . . . .	75
ირინე მერაბიშვილი — საბჭოთაო სამხარე . . . . .	79
ზარანა ბრეგვაძე — გლეჯი პასაჟი . . . . .	82
გიორგი შოთაძე . . . . .	95
დ. ვასერმანი, დ. დერიონი — ლენინისტიკური (პიესა) . . . . .	96
ვახტანგ ბერიძე — ჩვენი თანამდებრობის სტრუქტურა . . . . .	113
ბრინჯაძე . . . . .	114

**თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ჟურნალიზმი**

მთავარი რედაქტორი  
თამარ ბილაძე  
სამხარეო კომიტეტი:  
აკაკი ბაქრაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
ჭუბუჩაძე თითქმის  
(ასახვისმხარეული მდივანი),  
ნოზარ გავაშვილი,  
ვანო კვიციანი,  
ნოზარ მხარეულიმხარეული,  
ჭუბუჩაძე ნიქარაძე,  
გივი ორჭონიძე,  
ნათელა ურუშაძე,  
რეალისმიური მხარეული,  
ანტონ ვულკანი,  
ნიკო ვახუშაძე,  
ნოზარ გავაშვილი.

კ. შაროვის სსრ კულტურის  
სამინისტროს უწყებლეთვიური  
შუბრული



მ. ი. ლენინის დაბადების  
108 წლისთავი



# ახსვინ ლენინური თეორია და ბრძოლა თანამედროვე მოღერნიჭვის წინააღმდეგ

ტატიანა შაროვა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის ზეიმისა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების დღეებში, რომელსაც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოთქმით, „სამართლიანად უწოდებენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების კანონს“, მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის განსაკუთრებით ნათელი გახდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების — დიდი ოქტომბრისა და ლენინური

ნური იდეურ-ესთეტიკური პრინციპების პირმშოს მსოფლიო-ისტორიული მასშტაბები, ერთის მხრივ, და მზის ჩასვლა მოღერნიჭული და პოსტკავანგარდისტული ხელოვნების განშტოებებისა, მეორეს მხრივ.

70-იანი წლების მეორე ნახევარში გამოიკვეთა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების მხატვრული მიწვევები, სამყაროს რევოლუციური განახლების მისეული იდეები, შემოქმედის — პიროვნების ზეიმი. ამას-

თან ერთად, ნათელია აგრეთვე ეგზისტენციალიზმის აღზრდილი მიმართულების მარცხი.

სოცეტოლოგიის კონცეპციებზე აღზრდილ უცხოეთის მკითხველთათვის განუყოფილ ანთოლოგიაშიც კი მოცემულია ასახვის ლენინური თეორიის მკაფიო და დაწვრილებითი განსაზღვრა, როგორც მოძღვრებისა შემცნების ობიექტურობის, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის, ტლანტისა და მსოფლმხედველობის და, ბოლოს, ხელოვნების პარტიულობის შესახებ. ამასთან ერთად, ხაზგასმულია აგრეთვე მიღწევები სოციალისტური რეალობის ხელოვნების, როგორც ტემპორიტად რევოლუციური ხელოვნებისა, რომელიც გააბრუნებელია ასახვის ლენინური თეორიით და, რომელიც მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ხელოვნების დოქტრინების ანტიპოდაა.

ანთოლოგიის შემდგენლები და რედაქტორები ადასტურებენ მოდერნიზმის მარცხის ფაქტს და კვლავ პასუხაობენ ასახვის ლენინური თეორიის მნიშვნელობაზე. მათი აზრით, ასახვის ლენინური თეორიის სამართლიანად მიაჩნია, რომ ახალი ხელოვნებისთვის აუცილებელია სამყაროს მხატვრული აღქმა. ეს მაშინ, როცა სოცეტოლოგიის, რევიზიონისტების ერთიანი ძალები მიმართულია ლენინური ესთეტიკის, სოციალისტური რეალობის პრინციპების ყოველმხრივი დისტრედიტაციისაკენ. სოციალისტური და კაბიტალისტური ქვეყნების მარქსისტები კი კვლავ მიმართავენ უკვდავ ლენინურ მემკვიდრეობას.

ასახვის ლენინური თეორია, ოქტომბრის შემდგომი პირველივე თვეულიდან დღემდე, ზუსტად იძლევა პასუხს კითხვაზე, როგორ შევადგინოთ ხელოვნების ეს თუ ის ნიმუში, რომელიც ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ორგანულად შერწყმის შედეგადაა წარმოშობილი, ხსნის მხატვრულ შემოქმედებაში სუბიექტურისა და ობიექტურის დიალექტიკას, მკაფიოდ განსაზღვრავს „პოეტის ადგილს მუშათა რიგებში“, ამით გაშორიკვას მხატვრის, როგორც შემოქმედის, სინამდვილის „დემიურგის“ როლის ყოველგვარ უპირატესობას.

20-იან წლებში მიმდინარე იდეურ-ესთეტიკურ ბრძოლაში ამ თეორიამ გნოსიოლოგიის, თანამედროვეობის შეწყნობის ძირეული საკითხების კვლევის პრინციპებით გააზრდებურებელი დარტყმა აგემა ხელოვნების „შესამე ხაზის“ ყველა მიმდევარს, იდეალისტურ-ფილოსოფიური ურუნალ „აზრის“ თანამშრომლებს და სადემარკაციო ხაზი ვააკლო დიალექტიკურ მატერიალიზმსა და ესთეტიკური პლურალიზმის მიმდევარსა, ყოველგვარი „იზმის“ თუ იდეალისტური დეკლარაციის დამცველთა შორის.

ასახვის ლენინური თეორია შემეცნებელი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად გამოიდიოდა იმ დებულე-

ბიდან, რომ საგნები არსებობენ ობიექტურად, თავისთავად („საგნები თავისთვის“) და რომ ისინი მისაწვდომი არიან ადამიანის შემეცნებისთვის („საგნები ჩვენთვის“).

ვ. ი. ლენინი ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებული რეალური გარე სამყაროს შესახებ ამ ძირითად დებულებიდან მივიდა თვით გნოსიოლოგიური პროცესის ხასიათის განსაზღვრამდე, შემეცნების ობიექტურობის განსაზღვრამდე, შემეცნებისა და პრაქტიკის განუყოფლობამდე.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ობიექტის სრული და ზუსტი ასახვის დონე დამოკიდებულია შემეცნებელი სუბიექტის აქტურობაზე. სუბიექტისა, რომელიც მუდამ საზოგადოების განვითარების, საზოგადოებრივი წარმოების მიწვეულია დონის გამოხატველი იყო და მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდა არსებული სოციალური წყობის ხასიათთან. მაშასადამე, ლენინური მოძღვრების თანახმად, შემეცნება, როგორც სინამდვილის ასახვა არცთუ ისე განუყოფელია შემეცნების აქტუური გარდამქმნელი როლისაგან. აქედან იხსენიებულია დიალექტიკა სუბიექტურისა და ობიექტურის ურთიერთობის მხატვრულ შემეცნებებაში. ამასთან, მხედველობაში მიიღებოდა ხელოვნების მოვლენათა სპეციფიკურობა. ამრიგად, ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა, რომ მხოლოდ თეორიამ ვაერთიანა შემეცნებელი სუბიექტი ობიექტთან, უზრუნველყო მხატვრული შემეცნების ობიექტურობა, ვინაიდან ჩვენი ცოდნის წყაროს წარმოადგენდა გარე სამყარო, მოძრაიე მატერია, რომლის არსი აისახებოდა ადამიანის შეგნებაში. მაგრამ ეს ასახვა იყო არა მკვდარი, არამედ აქტუური.

ოქტომბრის შემდგომ პირველსავე წლებში ბურჟუაზიული იდეოლოგია თავისი მოდერნისტული მეთოდოლოგიის დასაცავად იყენებდა საყურნალო პერიოდიკას, დისკუსიის პრესაში, თეატრს, კრიტიკას. ამ პერიოდში ლენინისეული ასახვის თეორია დემოკრატიული ხელოვნების ყველა წარმომადგენელს, სოციალისტური კულტურის მშენებლებს აძლევდა გასაღებს მწერლების, კომპოზიტორების, მოქანდაკეების როლის მცინერულ საფუძველზე დამკვიდრებისათვის, უხსნიდა რა მათ ასახვაზე ობიექტებთან ურთიერთობის საშუალებებს, აგრეთვე სუბიექტურ თვითრეზობას, ილიუზიური ფანტასტიკის შეუზღუდველობას.

ასახვის ლენინური თეორიაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა სინამდვილის ასახვის რეალისტური და არა მოდერნისტული მეთოდის დანერგვას, განსაზღვრავდა რეალისტური მხატვრული შემოქმედების ბუნებას.

ემპირიოკრიტიციზმის და ემპირიოლიზმის ყველა სახეობის, ნეოკანტიანელობის ლენინური კრიტიკა, მისი არაერთხისი გამოხატვაებში ვერცენის, ტურგენევის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის შესახებ და,

ბოლოს, სტატიები ლ. ტოლსტოის მეთოდსა და მსოფ-  
ლმხედველობაზე, განსაზღვრადნენ ლენინური ასახ-  
ვის თეორიის თავისებურებებს, რაც, კერძოდ, ეხებო-  
და იმას, რომ ხელოვნების პირველწყარო, ამოსავალი  
რეალური სინამდვილეა.

ლენინური თეორია ამკვირვებდა მხატვრული შემო-  
ქმედების რეალურობის პრინციპს, როგორც მის ქვე-  
ყუთობს და ამით ხაზს უსვამდა კლასიკური მემკვიდ-  
რეობის მარადისობის, უკვდავობის მნიშვნელობას ხა-  
ლხისთვის. მაგრამ მატერიალური იდეალებთან, ასახ-  
ვაზე ობიექტი წარმოსახვასთან არ უნდა გაეაფთვინოთ. ხე-  
ლოვნების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ  
წარმოაჩინოს ყველაზე დამახასიათებელი, არსებითი  
მოვლენები ცხოვრებისა, რისთვისაც მას შეუძლია გა-  
მოიყენოს გამოსახვის სხვადასხვაგვარი ხერხები, ფან-  
ტასტიკაც კი, პირობითობაც, იმიტომ, რომ ყოველი ადა-  
მიანის მიღგამო საგანთან რთული, გაორებული, ზიგზა-  
გისებურია და არა უბრალო, უშუალო სარკისებური  
ასახვის აქტი.

ასახვის ლენინური თეორია კატეგორიულად უარ-  
ყოფდა სხვადასხვა წურის მოდერნისტების ბრალდებ-  
ბას, თითქმის ეს თეორია სინამდვილის მიმაძევის ქადა-  
გებას. სინამდვილეში იგი მოუხმობდა ცხოვრებისეუ-  
ლი ჰემშარიტების ჩვენებისკენ, ცხოვრებაზე ხალხის  
თვალსაზრისის შესაბამისად, უარყოფდა შემთხვევითო-  
ბას.

ლენინური თეორია მოითხოვდა მხატვრული ასახვის  
ხერხების მრავალფეროვნებას, ფანტაზიასაც და ინტუ-  
ციასაც თავის ადგილს უჩენდა, ამასთან ერთად, გა-  
მოყვედა ტიპირუსს და ინდივიდუალურის ერთი-  
ანობას რეალისტური ხელოვნების მხატვრულ სახეებში.  
ვ. ი. ლენინმა გახსნა დიალექტიკური ერთიანობა საერ-  
ოთის და კონკრეტულისა, რაციონალურისა და ემოცი-  
ურისა.

მხოლოდ მხატვრული განზოგადება, ცხოვრებისეული  
კონკრეტულობის გარეშე, ხელოვნების ნაწარმოებს აქ-  
ცივს შიშველი დიალექტიკურ სქემაზე. აქედან გამომდი-  
ნარე, ასახვის ლენინური თეორია აფრთხილებდა შე-  
მოქმედთ არ დაეშვათ ერთბაშად გადაჭარბებული  
სუბიექტურობა რეალური სახის შექმნისას და ობი-  
ექტურობა ობიექტივიზმად, სინამდვილის მიმაძეველ არ  
ექციათ. ვ. ი. ლენინმა უცილობლად დაამტკიცა, რომ  
მოდერნისტული დეკლარაციები — სუბიექტური იდე-  
ალიზმის ეპიგონური ვარიაციებია.

ლენინის შენიშვნა მოდერნიზმის თაობაზე, გამომდი-  
ნარე ასახვის თეორიიდან, განსაზღვრავდა მოდერნის-  
ტული „იზმების“, როგორც ფილისოფიაში იდეალიზ-  
მის, ნამდვილ არსს. ეს საბოლოოდ წათელი გახდა მიე-  
ლი მოწინავე კაცობრიობისთვის 70-იანი წლების მე-  
ორე ნახევარში — მოდერნიზმი — ფშუტყავილია,  
მხატვრული შემეცნების ხეზე ამოსული, რომლის ინ-  
ტენსიურ პროპაგანდას ეწევიან ბურჟუაზიული იდეო-  
ლოგები.

ასახვის ლენინური თეორია ორგანულად შეიცავდა  
თავის თავში კლასობრიობისა და პარტიულობის პრინ-  
ციპს. ჯერ კიდევ XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე

დღი ბელადი იძლეოდა გაფრთხილებას, რომ ყოველ-  
გვარი დამტკობა სოციალისტური იდეოლოგიისა და  
ველადი გადახვევა მისგან, ბურჟუაზიული იდეოლოგიის  
გის გაფრთხილებას ნიშნავს.

შემდგომ ვ. ი. ლენინი პირდაპირ მიუთითებდა მ-  
ტერიალური გნოსეოლოგიისა და პარტიულობის პრინ-  
ციპის ურთიერთკავშირზე.

ვ. ი. ლენინმა თავის შრომებში „როგორ მემკვიდრე-  
ობაზე ეამოვით უარს?“ „პარტიული ორგანიზაცია და  
პარტიული ლიტერატურა“, „სოციალისტური პარტია  
და უპარტიო რევოლუციონობა“ და სხვა დამატება,  
რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების კლასობ-  
რივი ინტერესები, სხვადასხვა იდეოლოგიის კლასობ-  
რივი ხასიათი განსაზღვრავენ მხატვრული შემოქმედ-  
ების პარტიულ მიმართულებას: პროლეტარული პარტი-  
ულობა არის სინამდვილის ობიექტურად სწორი ასა-  
ხვა და შეფასება, ხოლო ბურჟუაზიული პარტიულობა  
— ბურჟუაზიული კლასების ანგარების, ინტერესებისა  
და თვალსაზრისის, მოთხოვნისებთან და მისწრაფებათა  
გამოხატულება.

ამიტომ ხელოვნების პარტიულობისა და კლასობრი-  
ობის ლენინური პრინციპი გულისხმობს ლოგიკურ  
ურთიერთკავშირს ხელოვნების განსეოლოგიურ, სო-  
ციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებსა და ასახ-  
ვის თეორიას შორის, რაც კლასიკურადაა გახსნილი  
ვ. ი. ლენინის ზემოთ ჩამოთვლილ სტატიებში და, უპირ-  
ველეს ყოვლისა, „მატერიალიზმსა და ეპიპრიორიტე-  
ციზმში“.

უნდა შევნიშნოთ, რომ პარტიულობის ლენინური  
პრინციპი გულისხმობდა შემოქმედის პარტიულობის  
და თავისუფლების პრობლემებს, მხატვრული სიმარ-  
თის, პარტიულობისა და ხალხურობის, პარტიულო-  
ბისა და სოციალურ-მხატვრული იდეალის და, ბოლოს,  
პარტიულობისა და თანამედროვე გმირის კონცეპციის  
გამოხატვას.

მრავალმხრივი პრობლემის ამ ასპექტებიდან მოკლედ  
შევეთხთ მხატვრის თავისუფლების, მისი მისიისა და  
მსოფლმხედველობითი მოზიციის განმარტებას, ვინაი-  
დან სწორად ეს საკითხები იყო აქტუალური ესთეტი-  
კურ დისკუსიაში 60-70-იანი წლების მოდერნიზმის შე-  
სახებაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასახვის ლენინური თე-  
ორია გამოირცხვავდა შემოქმედი სუბიექტის როლის  
აპსოლუტიზაციას, მის უსაფუძვლო ილუზიებს აპსო-  
ლუტურ თავისუფლებაზე, ვ. ი. ევლენდა სუბიექტურისა  
და ობიექტურის დიალექტიკას მხატვრულ შემოქმედება-  
ში.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ვ. ი. ლენინი  
მოდერნიზმისა და დეკადენტობის წინააღმდეგ ბრძო-  
ლაში გვიჩვენებდა, რომ ხელოვნება დამოკიდებული  
იყო ფულის გავლენაზე, ბურჟუაზიული წყობის სა-  
ბაზრო-სასაქონლო ურთიერთობაზე.

ვ. ი. ლენინი, დასცინოდა რა შემოქმედების „ავი-  
სუფლების“ მოდერნისტ ქადაგებლებს, ააშკარავებდა,  
რომ ეს ლაპარაკი — წერილობრუაზიული ანუ ანარ-  
ქისტული ფრაზა, თვალნათლივ ადასტურებდა თავი-





სულელებისა და თვითნებობის, ანარქიის სიმბოლისტური, დეკლადტურ-მოდერნისტული გაიგივების ცდის უსუსურობას.

შეორეს მხრივ, ლენინი გამოიყვანდა პარტიულობისა და მხატვრული შემოქმედების თავისუფლების დაპირისპირებას. ის თვლიდა, რომ სწორედ პარტიულობა ახამედლ ვხა შემოქმედის ქვეშაირით თავისუფლებისაკენ. შენიღბული ბურჟუაზიული პარტიულობისაგან განსხვავებით, იგი აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ მხატვარი თავის კლასს უნდა ემსახურებოდეს, იცავდეს კომუნისტურ იდეალს.

შემოქმედის ნამდვილი თავისუფლება ცხოვრებისაგან განდობა როდია. ქვეშაირი ჭეშმარიტი, სამოქალაქო პათოსი ძირითადი ცხოვრებისეული ტენდენციების, ისტორიის პროგრესული კონცეციების ღრმა და შორსმჭვრეტელურ ათვისებაში მდგომარეობს, ასეთია სოციალისტური კულტურის წარმომადგენლის მსოფლმხედველობითი პოზიცია.

ასეთი პარტიულობა არ ავიწყობდა მხატვარს, იგი შემოქმედს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში აბამდა, კომუნისმის მაღალი იდეალებით შთააოხრებდა მას.

პარტიულობამ თავისი იდეური მიზანსწრაფვით განსაზღვრა ჩამოყალიბებისა და განვითარების საფეხურზე მყოფი სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ნოვატორული არსი, ხოლო სოციალისტური კულტურის ქვეშაირით ისტატიის პოზიცია კი ჩამოყალიბდა, როგორც ადამიანთა სულის ინჟინირის ცხოვრებაში აქტიური ჩარევა.

ოქტომბრის შემდგომ პირველივე წლებში ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული მოსაზრებები მტკიცე საფუძველს ქმნიდნენ იმისთვის, რომ პარტიულობის პრინციპი განხილულიყო არა მარტო იდეურ-პოლიტიკურ ასპექტში, არამედ ესთეტიკაშიც. დღეს, როდესაც ვლადიმერ გენგოთიანე თვითნებულად სოციალიზმის ხელოვნებაზე, ხაზს უსვამთ, რომ სოციალისტური რეალიზმის პარტიულობა დოგმა ან დიქტატი არ არის, ან "შემოდან" თავსმოხვეული რამ, როგორც ამას ქადაგებენ სხვადასხვა თაობის სოცეტოლოგები გ. სტრუვედან მოყოლებული კ. მენერტამდე, არამედ ხალხთაობის უმაღლესი ფორმა და გულისხმობს სოციალისტური იდეალების, ხალხთა მასების სანუკვარი ინტერესებისა და მისწრაფებების გამოხატვას.

ასახვის ლენინურმა თეორიამ, განაპირობა რა სოციალისტური რეალიზმის პრინციპი, გამოავლინა შემოქმედებაში „აბსოლუტური თავისუფლების“, „ხელოვნების ავტონომიის“ ყბადღებული კონცეპციების სრული უსუსურობა. ვ. ი. ლენინის კონცეპციაში ხელოვნებამ არ შეიძლება ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს და გადაეცეს ირაციონალურ, სუბიექტურ სტიქიად.

ლენინისეული ლოგიკური დაცვენების შემდეგ შეუძლებელია შემოქმედის დანიშნულება საგნის, რეალური სახის დეფორმაციაში, ნგრევაში დაინახოთ. ხელოვნება ყოველთვის პარტიულია, განუწყვეტელ შემოქმედებით ძიებაშია და მჭიდრო კავშირში იმყოფება თავის დროსთან, ხალხთან. ლენინური ესთეტიკის ამ დებუ-

ლებებს იყენებენ სოციალისტური რეალიზმის გამოხეული წარმომადგენლები ამაღლ, ბრეხტი, სადოკოვსკი, გულერი, ივაშვილი, დივაკო რიგვრა, პისკატორი, ბრონეცკი, კრუჟკოვსკი და სხვები.

ხელოვნების სქოლასტიკური დაპირისპირება სინამდვილესთან ლოგიკური აზროვნების ალოგიკური, შემოხვევითი, გაუთვალისწინებელი აზროვნებით შეცვლის გამოავნებელი სურვილი, ქვეშაირისა და მოგონის შორის, რეალურსა და ფანტაზიას შორის ზღვარის ხელოვნური მოშლა — ყოველივე ეს საფუძვლიანადაა გაანალიზებული ლენინის მიერ. ლენინის თეორია მყარ საფუძველს უსპობს მოდერნიზმსა და პოსტავანგარდისმს, მიჰყავს იგი შემოქმედებით თეორიულ კრიზისამდე.

აღიოთ, თუნდაც: ფრანგული „ახალი რომანის“ შხის ჩასვენება რომ-გრიეს დეფორმირებული, მოზაიკური ზეტექნიზირებული სურათები პლუტოკრატული ქალაქისა, ან მისივე ფილმი „ტრანსვერბოული ექსპონეისი“. აქ აშკარად დაინახავთ რეალური სამყაროს მისტიფიკაციით შეცვლის ცდას, რაზეც ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი ემიგრანტიზმის კრიტიკისას. თუ მივმართავთ იანგნის მოდერნისტულ გრაფიკას ჰანოვერში, ისევე და ისევე რეალური სამყაროს შემეცნების უფორმო ნაკადით შეცვლის ცდას დაინახავთ. აიტომ, როგორც ლენინი წინასწარ ვარაუდობდა, მოდერნიზმის ბევრი თეორეტიკოსი და მხატვარი მწვავე შემოქმედებით კრიზისს განიცდის და გვეთავაზობს ეგზისტენციალიზმის, ფორმალისმისა და სტრუქტურალიზმის დაახლოებას მარქსიზმთან.

და ბოლოს, აიტომ სოციალისტური ქვეყნების ესთეტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები — ტ. პავლოვი, ა. ხირში, ჰ. გრასპოფი, დ. მიულერი, ს. ბოჟკოვი, ვ. ჯღდევსკი, ფ. ფრანკი, მ. ზაგარდა და სხვები სულ უფრო და უფრო ინტენსიურად მიმართავენ ლენინის ესთეტიკას, ასახვის ლენინისეულ თეორიას. მათ ესმით, რომ ამ თეორიამ აიყვანა სოციალისტური რეალიზმი ჩვენი საუქუნის მწვერვალზე და გამანადგურებელი დარტყმა ავება მოდერნიზმის ესთეტიკას. იგი დღეს უკვე თანამედროვე ხელოვნების წარსულია. თანამედროვე ხელოვნების აწმყო და მომავალი სოციალისტური რეალიზმი.

# სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შესახებ

ლალი ცერცვაძე

სოციალისტური რეალიზმის თეორია მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. იგი ყოველმხრივ შეისწავლის როგორც მხატვრული მეთოდის, ისე მხატვრული მიმართულების სოციალურ-ისტორიულ საფუძვლებს.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ესთეტიკური თავისებურების ყველა კომპონენტს: კერძოდ, ისეთ პრობლემებს, როგორცაა მხატვრული სახის გნოსეოლოგიური თავისებურება, მისი სპეციფიკური სტრუქტურა, სიმართლის პრობლემა ხელოვნებაში, გამომსახველობის რეალისტურა განზოგადების პრინციპი და ხერხი; აქსიოლოგიური თავისებურება და ესთეტიკური შეფასების კრიტერიუმი, დაბოლოს, ყოველი ამ ფაქტორის შემოქმედება მხატვრულ ინდივიდუალზე.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე მხატვრული შემოქმედების თეორიული გამოკვლევისას მნიშვნელოვანია ის აზრი, რომ ცალკეული კომპონენტები გაგებულა სწორედ როგორც ესთეტიკური მთლიანის შემადგენელი მომენტები, ხოლო მთელი სისტემა მხატვრული ათვისების პრინციპს ექვემდებარება.

თეორეტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ახალ სოციალურ და ისტორიულ პირობებს, რომლითაც განისაზღვრება ხელოვნების განვითარება სოციალისტურ ეპოქაში. ამისდა მიხედვით გამოყოფენ სოციალისტური რეალიზმის დაფუძნების ორ ძირითად ეტაპს: პირველია, სოციალისტური რეალიზმის წარმოშობა და ფორმირება კაპიტალისტური წყობის პირობებში, მეორეა, საბჭოთა სოციალისტური წყობის პირობების საფუძველზე სოციალისტური რეალიზმის განვითარება და მისი გადაქცევა ხელოვნებაში ძირითად მეთოდად.

სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრება საბჭოთა ხელოვნებაში — ობიექტური აუცილებლობაა, რომელიც გამოძინარეობს როგორც სოციალისტური ფორმაციის ზოგადი კანონებიდან, ისევე იმ კონკრეტული პოლიტიკური და კულტურული ამოცანებიდან, რომლებიც იდგა პარტიისა და ხალხის წინაშე სოციალიზმისათვის ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე.

საჭირო იყო განსაკუთრებული ობიექტური და სუბიექტური წინამძღვრები იმისათვის, რათა ახლის ელემენტები გამოვლენილიყო ერთიან ნოვატორულ მიმართულებაში, რათა რევოლუციური მხატვრის შემოქმედებას მყარი თანმიმდევრული მეთოდური საფუძველი მიეღო.

სოციალისტურმა ხელოვნებამ, როგორც რეალისტურმა ხელოვნებამ, ცნობიერად მიმართა ყოველივე იმ კარგს, რაც შექმნილი იყო მსოფლიო ხელოვნების ისტორიის მიერ. მაგრამ არც XVII საუკუნის ინგლისისა და არც XVIII საუკუნის ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგ ლიტერატურას არ შეუქმნია ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, სადაც ასახული იქნებოდა ხალხთა რევოლუციური ბრძოლა ძველი ფეოდალური წყობის წინააღმდეგ. მართალია, ზოგიერთ ნაწარმოებში გვხვდება რევოლუციური ბრძოლის ამსახველი სცენები (მაგ. პიუგო); გვხვდებიან ახალი იდეების მატარებელი გმირები, მაგრამ მხატვრულ-რეალისტური ხორც-შესხმა მათ ვერ კბოვს.

მსოფლიო ლიტერატურამ წამოიჭრა საკითხი ქალის თანასწორუფლებიანობაზე, იმისთვის, ვორც სანდის, ფლობერის, მოპასანის და სხვათა ნაწარმოებებში ასახა ქალის პირადი ცხოვრების დრამა ბურჟუაზიულ, კაპიტალისტურ საზოგადოებაში.





კლასიკური რეალიზმის წარმომადგენლებთან (ბალზაკი, გოგოლე და სხვა) საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვაში ჩნდება კლასობრივი დიფერენციაციის ზეგავლენა ადამიანის საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაზე. წარსულის უდიდესი კრიტიკით თავიანთ ნაწარმოებებში ყოველთვის გადმოგვცემდნენ თავის დროის წინაშე ტენდენციებს და ნათლად ავლენდნენ საკუთარი მსოფლმხედველობის ძლიერ პროგრესულ მხარეს.

XIX საუკუნის მოწინავე შემოქმედთა აღვლევბადთ სოციალიზმის იდეები, მაგრამ სოციალისტური რეალიზმი, როგორც ახალი მხატვრული მეთოდი, შეიძლება ჩამოყალიბებულიყო მხოლოდ მაშინ, როცა სოციალიზმის იდეები და მისწრაფებები, როგორც ესთეტიკური იდეალო, ჰქონებოდათ იბიქტურ ისტორიულ საფუძველს რევოლუციურ პროლეტარიატში და შეერწყმებოდა არსებულის მარქსისტულ გაგებას.

ისტორიული კანონზომიერება იყო, რომ სწორედ რუსეთი გახდა სოციალისტური რეალიზმის სამშობლო. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მშრომელთა რევოლუციის ცენტრმა გადმოიანაცვლა რუსეთში. საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდი გახდა რუსეთის პროლეტარიატი.

ახალ სოციალისტურ ხელოვნებას განსაკუთრებული რეჰეციონობითი კავშირი ჰქონდა XIX საუკუნის რუსულ მემკვიდრეობას, მაგრამ კრიტიკული რეალიზმი, რომელიც გამოირჩეოდა საზოგადოების მანიერ მხარეთა დაუნდობელი გამოავსარებაებით, ვერ ამწვედა იმ რეალურ ძალას, რომელსაც შეეძლო გარდაქმნა დრომოჭმული საზოგადოება, ხოლო სოციალისტური რეალიზმი ამწვედა და ამტკიცებს კაპიტალისტური ცხოვრების დამძლე რეალურ ძალას.

ცხოვრების სიმართლით, ობიექტრად ნამდვილი ასახვა წარმოადგენს ყოველგვარი რეალიზმის არსს. ეს არის სოციალისტური რეალიზმის საფუძველიც. ნამდვილი ცხოვრებისეული სიმართლე ხელოვნებაში წარმოიქმნება არსისა და მისი შინაგანი იდეური აზრის წვდომის საფუძველზე. სოციალისტურ რეალიზმში ცხოვრებისეული სიმართლის ცნება განუყოფელია დაკავშირებული არსებობის ცნობიერ შერწყმასთან მის მსოფლმხედველობით, იდეოლოგიურ მხარესთან. ეს განახვავებს სოციალისტურ რეალიზმს რეალიზმის სხვა სახეობისაგან.

ახალი ქვეყნის შექმნის პირველივე დღიდან გორკი მოუწოდებდა, რომ პროლეტარიატი, რომელიც ქმნის თავის იდეოლოგიას, უნდა იყოს მკაცრი რეალისტი, განაზოგადოს არსებული და არა ინდივიდუალური.

ნიმუშა ასეთი მსოფლმხედველობისა წარმოადგენს თვით მაქსიმ გორკის ლიტერატურული ნაწარმოებები. დანაოში გაბოთხული მისი ახალგაზრდული რომანტიკული ხედა თანდათანობით გადაიხარდა პროლეტარიატის სულსიკვებობით გამსჭვალული, ახალი ადამიანის აზროვნების გამოხატავაში. მან გვეჩვენა ახალი სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპის — პროლეტარული რევოლუციონერის ჩამოყალიბება. მის შემოქმედებაში აიხსა ხალხთა ბრძოლა ცხოვრების გრადაქმნისა-

თვის და მან პირველმა სამართლიანად დაიკვივრა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის სახელი.

გორკი თვლის, რომ საჭიროა შევექმნათ მონუნეტურ-ეპიური ტილოები, რათა სრულყოფითი გამოსახვის ახალი საზოგადოების მშენებელთა გმირული შრომის სურათები. უნდა შევძლოთ რეალისტური ხერხებით ეპიური ხელოვნების შექმნა და თუ ამისათვის დაგვირდება რეალიზმისა და რომანტიზმის შერწყმა, ასეთი გამართლებული იქნება.

ახალი ადამიანის მისწრაფებები, მისი შეუპოვარი სული თავის ასახვას პოულობს ნ. ოსტროვსკის ნაწარმოებში „როგორ იწრთობოდა ფოლადი.“ მისი, გმირის უდიდესი ძალა და სულის შეუპოვრობა არის ნიმუში გმირული რომანტიკისა.

ახალი ეპოქას უდიდესი წინააღმდეგობები ხვდებოდა და ამ დროს სიტყვას, ლიტერატურას, დამფუძნებელი ძალა ჰქონდა.

ახალი გმირი, ახალი სახე, ახალი სიტყვა უნდა ყოფილიყო ამ ლიტერატურის თავისებურების მაჩვენებელი — ეს შეძლო მაიაკოვსკიმ. მაიაკოვსკი მთელი თავისი შეგნებით ამკვიდრებს ახალი ქვეყნის ხელოვნებას. მისთვის ნათელია, რომ, „შეუძლებელია იცხოვროს საზოგადოებაში და იყო ამ საზოგადოებრივ თავისუფალი.“<sup>2</sup>

სწორედ ამიტომ მისი შემოქმედების გზა იყო რთული ძიებითა და წინააღმდეგობებით საყვ, სანამ მოძებნიდა თავისი პოეზიისათვის ახალ მხატვრულ გზებს, რომელიც პასუხობდა რევოლუციური მოთხოვნის პრინციპებს. მუერტუალური ესთეტიკის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა მწერლის ორიგინალობა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაშორდება სოციალიზმის მეთოდს.<sup>3</sup> გვაკონდება დასავლეთ გერმანული მწერლის ვალტერ იენსის სიტყვები, რომელიც აკრიტიკებს კაპიტალისტური საზოგადოების შემდეგ შეხედულებებს: „ვერ დავთანხმებით იმას, რომ სინაზე და სიყვარული, ნდობა და მეგობრობა, — ე. ი. ის გრნობები, რომელსაც ყოველ ფენის ნაიბზე ვხედებით, — შესაძლოა, ე. წ. „სომოქლაქო“ ან მეორეხარისხოვანი პოეტების დისკრედიტებული შემოქმედების საგნად იქცეს. სიკეთე საშუალო ნიჭის კუთვნილება არ არის, მორალი კიდევ — იმ მემკანების თავშესაფარი, რომლებიც ფსალმუნებს მღერაან. დღეს ჩვენ უფლება არა გვაქვს მოვიხოვოთ, რომ ზნეობა და ღირსება აკრძალულ თემად იქცეს მხოლოდ იმიტომ, რომ მწერლები ნაკლებად ფლობენ ვიქტორიუს ალფრის ტიანტაქი.“<sup>4</sup>

სწორედ ასევე შევიძლება შევთავაზოთ სოციალისტური რეალიზმის ზოგიერთ წარმომადგენელზე, რომელთაც, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად არ ყოფნით ნიჭი ახალი პრინციპების დამკვიდრებისათვის. და არ დავანაშუალოთ მეთოდი, რადგან მხატვრული მეთოდი არ ხდება ხელოვნებაში შემოქმედებითი პროცესის ინდივიდუალურ ხასიათთან წინააღმდეგობის საფუძველი, არ ბოჭავს მხატვრის ინიციატავს. ამის დამამტკიცებელია ა. გორკის, მაიაკოვსკის, ა. ტოლსტოის, ფადეევის, ტიხონოვისა და სხვათა შემოქმედება.





რომანტიკა, როგორც რეალულის სული, როგორც სწრაფვა მომავლისაკენ, დაფუძნება დადებითი იდეალისა, მშვენიერისა ცხოვრებასა და ადამიანში სოციალისტური რეალიზმის განუყოფელ თვისებას წარმოადგენს. ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული ფილდების „ახალგაზრდა გენარდია“, სიმონოის პოეზია, ვ. გინფანტის „ობტინისტური ტრადიცია“. შემოქმედისათვის ინდივიდუალობას წარმოადგენს სწორედ ის, რომ მან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელშეობა, გაუმეორებლობით დაგვანახოს ახალი ცხოვრების რომანტიკა.

ტოდორ პავლოვი წერს: „სოციალისტური რეალიზმი არა მხოლოდ შეიცავს, არამედ გარკვეულ ისტორიულსა და ინდივიდუალურ პირობებში უნდა შეიცავდეს კიდევაც რომანტიკის ელემენტებს ისე, რომ ამასთან არ ემშვენიეროს რომანტიკამდე, შეუძლია შეიცავდეს სიმბოლოებს შექმნებით, მხატვრული მნიშვნელობით. მაგრამ ისე, რომ არ დაეშვას სიმბოლიზმამდე“<sup>5</sup>.

სოციალისტური რეალიზმის თეორიის გარკვევისას საჭიროდ მიგვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ სოციალისტური რეალიზმი თავის თავში შეიცავს სხვა მიმართულებათა ელემენტებს, მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიჩნევენ რეალიზმსა და რომანტიკაში შორის მსგავსება-განსხვავების გარკვევას. ტ. პავლოვი ცდილობს ამ საკითხს გაცეს პასუხი: „ფაქტია, რომ შოკიერით რომანტიკის აგრეთვე მისიწრაფვის კომუნისტური საზოგადოებისა და თავისუფალი ხელოვნების განზოგადებისაკენ. ასეთივე იდეალს ვნახავთ იქვე სოციალისტური რეალიზმის მწერლებსა და მხატვრებთან. მაშინ რადათი განსხვავდება სოციალისტური რეალიზმი რეალულისტიკური რომანტიკისისაგან?“

საკითხის არსი ისაა, რომ რეალიზმი საერთოდ, და განსაკუთრებით სოციალისტური რეალიზმი, ძებებს და ასახავს იდეალის რეალურ ძირებს, წინამძღვრებს და ტენდენციებს თითონ ობიექტურ სინამდვილეში... ყოველივე ამის წყალობით რეალიზმსა და განსაკუთრებით სოციალისტურმა რეალისტმა, უნდა მოგვეცეს სიმართლე — სილამაზე ან, რაც იგივეა, სილამაზე — სიმართლე არა მხოლოდ მომავლის იდეალზე, მომავალ საზოგადოებაზე, არამედ აგრეთვე დღევანდელი რეალური ადამიანის დღევანდელ რეალურ საზოგადოებაზე... სოციალისტური რეალიზმი რეალური ნაბიჯებით მიდის თავისი იდეალის განხორციელებისაკენ. რომანტიკიზმი აღტაცებულია იდეალით, ლირიკულიად უძღერის მას, მკვეთრ მხატვრულ ფორმებში გამოსახავს, მაგრამ არ შეუძლია მიანიჭოს სინამდვილე და ობიექტური რეალობის მნიშვნელობა, რადენადაც თავიანდებ უპირი თქვა ექიოს და გამოყენოს რეალური ფაქტები, ტიპები, ფორმები და სხვა. რომლებსაც თვითონ სინამდვილე სათავაზობს ავტორს, თუმცა კი ზოგჯერ როგორც მხოლოდ ტენდენციას. მაშასადამე, მართალია არიან ის ლიტერატორები, ისტორიკოსები და კრიტიკოსები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმითა და ხარისხით ყურადღებას აქცევენ ყოველგვარი რომანტიკის სუბიექტივობას“<sup>6</sup>.

ჩვენი ლიტერატურისათვის უცხო არ არის რომანტიკა, მაგრამ რომანტიკიზმი უნდა შეიღობდეს მხატვრულ შემოქმედებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. რომანტიკული სწრაფვა სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე იღებს მთლიან და ნათვლელ განვითარებას. იღებს რეალურ აზრს.

საბჭოთა ქვეყნის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მრავალნაციონალური ფორმები, ხოლო თანამედროვე რეაქციული მთავარბრძოლის მიუღებელია ნაციონალურ ფორმათა

მრავალმხრიობა, მათი არსებითი ტენდენციის სხვადასხვა ქვეყნის მწერალთა შემოქმედების ნიველირება, ერთმანეთთან მიხედვითაა ჩამოცოლება. ჩვენი ქვეყნის ხელოვნების მრავალნაციონალულობის უდიდეს მნიშვნელობას აჩვენებდნენ პროგრესული მოაზროვნები.

დღემდე გრძელდება კამათი, იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად არის განსაზღვრული სოციალისტური რეალიზმის ცნება. ყველა ცნდა სოციალისტურ რეალიზმის ცალმხრივ განსაზღვრებას ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ ფორმულ მისამართში უშეცვლელ აღმონდა. რადგან სოციალისტური რეალიზმი რთული, განვითარებადი ცოცხალი მოვლენაა და ამიტომ მის გარშემო არსებობს განსხვავებული ხასიათის მოსაზრებები, არანაკლები ისრითული ხასიათის სოციალისტური რეალიზმის მიმართება მხატვრული ფორმის საკითხთან. ჩვენი ქვეყნის მწერლები და ლიტერატურის მფობედები არაერთგვარაა აღნიშნულ მხატვრული ფორმისა და შინაარსის დათვალვების ამ მნიშვნელოვანი პრობლემის სწორი გადაწყვეტის აუცილებლობას. მაგრამ მრავალ შემთხვევებში მხატვრული ნაწარმოების შინაარსი და ფორმა განიხილებოდა ერთმანეთისაგან მოწყვეტილად. ასეთი შესუღვლულობა თავს იჩენდა განსაკუთრებით 20-30-იანი წლების თეორიულ-კოსთა მოსაზრებებში. სწორი იყო რა მათი თეორიის ამოსავალი მხრები შინაარსის განსაზღვრული როლის შესახებ, მხედველობაში არ იღებდნენ მხატვრული ნაწარმოების სხვა კომპონენტებს. 30-იან წლებში გაიპარა დისკუსია ლიტერატურათმცოდნეობაში ვულგარული სციოლოგიების შესახებ. ამ დისკუსიის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა მხატვრული ფორმისა და შინაარსის დათვალვების პრობლემა. ამ დისკუსიის თავისებური პასუხი იგრძნობა ბრეტის წერილში „კამათი ფორმალისმზე და რეალისმზე“, სადაც მნიშვნელოვან მოსაზრებებს ვხვდებით.

ბრეტლად ბრეტის შემოქმედება მიმართული იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამკვიდრებს რა სოციალიზმის იდეებს, ბრეტები უარს აცხადებდა ძველ კლასიკურ ფორმებსა და ნორმებს. ამსხერვებს მათ. კაპიტალისტური წყობის რთულ უთორითობებში ბრეტის გმირები ორმაგ სახეს ატარებენ, ორმაგ ნიღბს სიყუთისა და ბოროტებისა. ორმაგ მიმართებას — გამბედავისა და მსდლობის. ისინი წუთით ეძლევიან ოცნებას, მაგრამ ოცნებები დამინეე ვინაურთი. ასეთი ვითარებაში ბრეტები მოიშველიებს პლაკატის ფორმას, მოწოდებას. ხოლო მისი გმირები გაითამაშებენ თუ რა საშინელი შედეგი შეიძლება ამ მოკვცეს თუ შემთხვევით არ შევასრულო ეს მოწოდება. ბრეტები გვეუბრებიან, როგორც ფაშისმის მტერი. მას არ გამოეპარება, რომ ფაშისტური მთავრობა ანტიკაპიტურად არის განმსჭვალული რეალისტური ლიტერატურის მიმართ, რადგან ფაშისტებისათვის არ არის სასურველი, რომ რომელიმე მწერალმა ალაპარაკოს ცხოვრება სინამართლით. თვით აკრიტიკებენ „საფალტის ლიტერატურას“ და გამოსავალს პოულობენ საკონცენტრაციო ბანაკში. ბრეტები აღნიშნავენ, რომ არ არსებობს იმაზე მშვენიერი ლოზუნგი დაიდი ქვეყნის ლიტერატურისათვის ვიდრე ლოზუნგი — „წერეთ სიმართლით, იყავით რეალისტები“ — ბრეტები პროლეტარული ლიტერატურისათვის სახელმძღვანელო თვისებებს ქმნის.

იბრძოლე იმით, რასაც წერს აჩვენე, რომ შენ იბრძვი! იძლევი ძლიერ რეალიზმს! წყალობა შენს მხარესა. შენც იყავი მის მხარეზე! დაე, ილაპარაკოს ცხოვრებამ! ძალს ნუ



დატან შესაბამის იცოდ, მას არ ალაპარაკებს ბურჟუაზია მკვრამ შენ მივსალი ამის გაკეთება. შენ უნდა გააკეთო ეს...

შენ მართო არ იბრძვი, როდესაც შენ მას ბრძოლისთვის აღფრთოვანებ. შენთან ერთად იბრძვის შენი შვიტხველიც შენ მართო კი არ პოულობ გადაწყვეტილების პასუხს, ისიც ნახულობს<sup>7</sup>.

ბრესტი არ მიამინა მართებულად ზოგიერთი მწერლების მიერ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მხოლოდ მანკიერების დანახვა. ის თვლის, რომ მწერლები, რომლებიც კაპიტალისტურ პირობებში აღწვირენ მხოლოდ სულიერად დაცლილ ადამიანს, ვერ ხედავენ რეალურს, რადგან კაპიტალიზმი არა მხოლოდ ხელს უწყობს ადამიანში არაადამიანურის გამოვლენას, არამედ არაადამიანურობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის ქმნის ადამიანურს. რადგან უნივერსიტეტი ებრძვის ნური არსისთვის ბრძოლა თავის მხრივ მებრძოლ ადამიანში ადამიანურობას ავითარებს, მაგრამ ეს რთული პროცესია და მხოლოდ მებრძოლ პირობებში მიმდინარეობს<sup>8</sup>.

ბრესტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კლასიკური რეალიზმის წარმომადგენლებს, მაგრამ თვლის, რომ მათი პრინციპების სადღისოდ გადმოტანა მართებული არ არის, რადგან ეს იქნება მხოლოდ მათი გადამურება და დაიკარგება, ახალი — რეალისტისათვის უფთავრები — გეგმების კლასიკური ცნობიერების მქონე პროლეტარში ადამიანურობა. ბრესტი თვლის, რომ დღევანდელ რეალიზმს მკაცრად დასახული ამოცანა აქვს. ეს რეალიზმი არ არის მხოლოდ ლიტერატურული მოვლენა. ეს არის დიდი პოლიტიკურ-ფილოსოფიური აქტი, პრაქტიკის შედეგი, ის უნდა განვიხილოთ და ავსნათ რეორც დღიდი საკაცობრიო მოვლენა.

ბრესტი ყურადღებას ამახვილებს მხატვრული ფორმის საკითხზე. ის აღნიშნავს, რომ პროლეტარული ლიტერატურა ამოცანად ისახავს მხატვრული ფორმის საკითხი შეისწავლის ძველი მწერლობის მავალითზე. არ შეიძლება ძველ განავითარების ფაზებს პირდაპირ გადავამოვიკითხო. ახალმა უნდა დასძლიოს ძველი, მაგრამ ის თავის თავში უნდა შეიცავდეს მას. ზოგჯერ უარყოფენ რა ძველს, უარყოფენ ისეთ ტექნიკურ საშუალებებს, როგორც არის — შინაგანი მონოლოგი. ამას უწოდებენ ფორმალისმს. მოწოდება იმისა, რომ ვისწავლოთ ბალსკიანდ, მშვენიერია, მაგრამ ბრესტი სვამს კითხვას, იქნება კი ის სხვაგვარი მიაკლესისთან მიმართებაში? — რადგან თვლის, რომ თუ ახალი ფორმის ძებნა შეუცვლელი შინაარსისათვის არის ფორმალისმი, მაშინ შენახვა ძველი ფორმისა ახალი შინაარსებისთვის ასეთივე ფორმალისმი.

არ შეიძლება ვაღიაროთ მხოლოდ ერთ-ერთი რეალისტის ფორმა და მივიჩნიოთ ის ერთადერთად. მაშინ იძულებული ვიქნებით მივიღოთ რეალისტებად მხოლოდ სვიფტი და არისტოტელს ან ბალსკი და ტოლსტოი. რეალიზმის დაყვანა მხოლოდ ფორმის საკითხამდე და მისი დაკავშირება მხოლოდ ერთ, სახელდობრ, ძველ ფორმასთან უნაყოფია, ბრესტი თვლის, რომ ყოველივე ფორმალური, რაც ხელს უშლის მიუახლოვდეს სოციალური მიზეზობრიობის არსს, უნდა ჩამოვიცილოთ და, პირიქით, ყოველგვარი ფორმალური, რომელიც გვეხმარება, შევიცნოთ, გამოვიყენოთ. მაგალითად, მარქსი, ენგელსი და ლენინი თავიანთი აზრის გამოსახატავად მიმართავენ ხალხს არა ძველი ან ახალი ფორმით, არამედ აზრს გამოსატყვევებლად აუცილებელი ფორმით<sup>9</sup>.

ბრესტი წერს, რომ სამავალითოდ ხშირად გვითვითებენ წინაპრებზე, შესაძლოა ისინი იყვნენ რეალისტები, მაგრამ ეს

იმას ხომ არ გამოიხიბავს, რომ ჩვენც ვიყოთ რეალისტები ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენც უნდა დავიწყოთ, როგორც წინააღმდეგ ჩვენს წინააღმდეგ. ბრესტი მიგვიითხებს, თავს ნუ ახვევთ ახალგაზრდა ადამიანებს ძველ სახელებს. ნუ თვლით, რომ ხელოვნებაში ტექნიკა განვითარდა 1900 წლამდე და მას შემდეგ აღარ ვითარდება<sup>10</sup>, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს საბჭოთა ლიტერატურაშიცოდნობაში ყოველთვის განიხილებოდა მხოლოდ XIX საუკუნის ლიტერატურის მასალა და მასთან მიმართებაში სოციალისტური რეალიზმი XX საუკუნის ლიტერატურისაგან მისწვევით. ამის მიზნზე იყო ჩვენში დამკვიდრებული ის მცდარი მხედველობა, თითქოს, სოციალისტური რეალიზმის გარდა, XX საუკუნის ლიტერატურა ძველ საუკუნეთა ხელოვნების უდიდესი მიღწევებთან მხოლოდ და მხოლოდ უკანსავლა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბრესტი სამი ათეული წლის წინ მოგვიწოდებდა, რომ 900-იანი წლების შემდეგაც განვითარდა ხელოვნება და მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, ამ საკითხს მაინც არ ეტყობა ყურადღება — უკანსაქნელმა ათწლეულმა დავანახა, რომ XX საუკუნის ლიტერატურული ცხოვრების რუკა უფრო რთულია, ვიდრე ვფიქრობდით, რომ XX საუკუნის ლიტერატურას ჰქონდა თავისი მიღწევები და თავისი მარცხი. და, რომ ეს არ შეიძლება განვსაზღვროთ XIX საუკუნის შემოქმედებითი მიღწევების მასშტაბით, რადგან XX საუკუნეში გამოიშვა ცხოვრების გამოსახვის ახალი პრინციპები და მან ასხვითად შეცვალა მხატვრული ფორმის გამოსახვის ზოგიერთი მხარე ფორმალისმის გარშემო გამართული მწვევე კამათი არ დაიწყო უყურადღებოდ ჩვენი საუკუნის უდიდეს მწერალს თომას მანს.

ლევტორი („დოქტორი ფაუსტისი“) დავს წინდა ფორმალისმის თვალსაზრისზე. ის გეთავაზობს უსიცოცხლო, უშინაარსო მკვდარი ფორმების თამაშს. ლევტორის ხასიათი რთულია და სწორედ ამ სირთულეთა გაანალიზება ნათეს სთლის მის ამგვარ პოზიციას.

თ. მანი თავისი რომანის „დოქტორ ფაუსტისის“ შესახებ წერდა: „ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ვიციდი, რა მინდოდა და რა ამოცანა დავუსხებ საკუთარ თავს: ეს ამოცანა სიდიდით ჩემი ეპოქის რომანს უდრიდა — ხელოვანის ტანჯვა — წამებთა და ცოდვებით აღსავსე ცხოვრება“.

საიდუმლოება არ წარმოადგენს, რომ ამ ნაწარმოების შემქმნელი თ. მანი ხელმძღვანელებდა თ. ადორნოს სტატიით „თანამედროვე მუსიკის ფილოსოფიისაკენ“ და მუსიკის შესახებ მისი გზობრების მსჯელობაში გადმოცემულია თ. ადორნოს თვალსაზრისი.

თ. ადორნო თვლის, რომ ხელოვნება ერთადერთი ძალაა, რომელიც შესაძლოა წინ აღუდგეს თანამედროვე „ორგანიზებულ საზოგადოებას“, მაგრამ შემოქმედით, მისი თვალსაზრისით, ეს არის დაბრმავებული თიდიპოსი, რომელიც თავისი ნაწარმოებებით სახედაკარულ სამყაროს ქვეყნებისაკენ მიჰქანებს.

თ. ადორნო თავის დასკვნებში ხელოვნების შესახებ იქნა დე მიდის, რომ იგი თავიდანვე გამოიხიბავს ყოველგვარ ისტორიულობას. მისთვის ეს წარმოადგენს „მოღონისმისა კრიტიკიუმს, როგორც მთავარ კრიტიკიუმს ყოველგვარი ნაწარმოების შეფასებისათვის“.

თ. ადორნო „მოღონისმის“ გამოვლენებას ხსნის კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების სპეციფიკით. ბრესტილ ბრესტი მოღონისმის პრობლემატის განცნობის შემ-



დგე, აღიარებს, რომ ბურჟუაზიული ავანგარდისმისაცან მას გამოჰყოფს მხოლოდ მსოფლმხედველობითი მომენტი, რადგან ბრეტსისთვის სოციალურ მიზნობრივობათა კომპლექსი წარმოადგენს ამოსავალ წერტილს, როგორც გამოსახველობისათვის, ასევე ესთეტიკური სიამოვნებისათვის.

თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ მოდერნიზმი — ნოვატორული ხელოვნება, რომელიც დაკავშირებულია ფორმის ძიების რთულ სფეროსთან, და მისაწვდომია მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის, ხოლო ფაორმის მისებისათვის განკუთვნილია „მასობრივი ხელოვნების“ პროდუქცია აშკარად, სულიერი საზრდო იყოფა ელიტისათვის და ხალხთა მისებისათვის. ახალი ხელოვნების წარმომადგენლებმა — ავანგარდისტებმა არათუ უარყვეს ხალხურ ხელოვნებაში ჩაღრმავება, არამედ მათ მკაცრი საზღვარი დადეს თავის ხელოვნებასა და ხალხს შორის.

ბურჟუაზიული ფილოსოფიის თვალსაჩინო მკვლევარი ა. პაუსერტი აღნიშნავს, რომ „მასობრივი ხელოვნების“ აღმოცენებისა და ახლანდელი ბატონობის პასუხისმგებლობის გარკვეული ნაწილი დასავლეთში ბრალად ედებათ მხატვრულ ავანგარდისტთა წარმომადგენლებს, რომლებმაც სასტიკოდ უარყვეს მხატვრულ ცნობიერებაში უძველეს დროიდან არსებული იდეა ხალხის, საზოგადოების კეთილდღეობის, „მადალი სასაზურის“. ამით მათ არა მარტო მისცეს გამოსაყიდად თავისი სოციალური ფუნქცია ფორულადილიერ „მასობრივი კულტურულ ინდუსტრიას“, არამედ თვითონაც გარკვეული ზომით გახდნენ ამ მანიაკულიციის ობიექტები. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ავანგარდისტები გამოსაყიდავენ „ნეორიონისტულ პროტესტს“, თავისებურ ჯანს თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის მიმართ. პაუსერტის ამ მოსაზრებას შესაძლოა დავუთანებოთ, თუ ხედველობაში მივიღებთ ცალკეულ დიდ ხელოვნებას შემოქმედებას, მაგალითად, ბეკასონს, ლევს და სხვათა და სხვათა, რომლებიც არ ეტყვიან ავანგარდისტთა სკოლის ჩარჩოებში და თავიანთი შემოქმედებით გველეინებინან, როგორც საკაცობრიო იდეალების მატარებლები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ნეოავანგარდისტული ხელოვნება სულ უფრო უახლოვდება „მასობრივი ხელოვნებას“. ამას მოწმობს ზოგიერთი დასავლეთელი ესთეტიკოსის თვალსაზრისი. მაგალითად, ალბერტ დიბელუისი აღნიშნავს, რომ ნეოავანგარდისტთა ცდა, ერთი მხრივ, თავი დააღწიონ ესთეტიკურსა და „ელიტარულობას“, ხოლო, მეორე მხრივ, თავი დაიციან „ინდუსტრიალურ მასობრივი ხელოვნებასთან“ შერწყმისაგან, თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თავდება მარცხით — „იორფოსის ღირს იმსხვერვა“.

პაუსერტი აღნიშნავს, რომ ავანგარდისტული ხელოვნება სულ უფრო და უფრო სტანდარტული ხდება. უფრო მეტიც, ზოგიერთი „ელიტარული ხელოვნების“ დამკველი ხელს უწყობს „კულტურული ინდუსტრიის“ მოღვაწეებს, რათა მათ წარსული ეპოქის მაღალი ხელოვნება დაიყვანონ მასობრივი „მომხმარებელი საზოგადოების“ გემოვნებამდე. ნათელი ხდება, რომ საზოგადოების ცხოვრებაში მასობრივი ხელოვნების უსაბო პროდუქცია უფრო მეტ როლს თამაშობს, ვიდრე ხელოვნების უდიდეს ოსტატთა შემოქმედება.

ავგარად, ნათელი ხდება, რომ „მოდერნიზმული ხელოვნება და ლიტერატურა გადმოგვეცეს ბურჟუაზიული სამყაროს კრიზისს. მხოლოდელი კაპიტალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი ტენდენციები, რომლებიც პროგრესულს

შთაბეჭდილებას ახდენენ. მაგრამ მოდერნიზტული ხელოვნება ვერ პოულობს კაპიტალისტური კრიზისიდან გამომდინარე, ვერც ინდუსტრიალური ცივილიზაციის მანე შედეგს ვიხიბნის და, რაც მთავარია, ის გამოირცხვას ისტორიზმს. აშკარად, ის ხელოვნება რეალურად ასახავს ფაქტებს, მაგრამ წყნარ ჩამოთვლილი მიზნების გამო იგი ცალმხრივია. ამ ცალმხრივობის დაძლევა წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმის ამოცანას, რადგან მან ბურჟუაზიული ცხოვრებისა და ცხოვრების წინააღმდეგობით გამოსატყუარი კრიზისის ძალა უნდა გვიჩვენოს. ამასთან ერთად, ამ ტენდენციათა მხილება საჭიროა, რათა ამ საშიშვლ ტენდენციებმა სოციალისტურ რეალიზმიც არ იჩინოს თავი.

1967 წ. გამართულ მწერალთა IV ყრილობაზე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ სოციალიზმის მეთოდი ემყარება, როგორც XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებს, ასევე XX საუკუნის იმ საუკეთესო მიღწევებს, რომელიც შექმნეს სხვადასხვა მიმართულების მხატვრებმა.

ჩვენი ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდი, — წერს სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი ავტორული კატეგორია თეორეტიკოსი ზ. სუჩკოვი, — და ისტორიული კატეგორია, ღია იმ აზრით, რომ მის საფუძველზე წარმოქმნილი ხელოვნება არანაკლებობრივად მგრანობიარეა მსოფლიოში მომხდარი ისტორიული ცვლილებებისადმი, ახალი პრობლემებისა და კონფლიქტებისადმი, ახალი ხასიათებისადმი, ახალი სიტუაციებისადმი, რომლებიც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მსვლელობისა და ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს წყალობით იმადგინა<sup>1</sup>.

ავგარად, სოციალისტური რეალიზმი განვითარებას განიცდის. იგი სინამდვილის ისტორიული ცვლილებებით, პრილემებითა და კონფლიქტებით არის განსაზღვრული. სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ძირითადი სინიშნება მეცნიერულ მსოფლმხედველობაზე დამყარებული გაცნობიერებული მიდგომა სინამდვილის მოვლენებისადმი, რაც საშუალებას გვაძლევს გავიტოვოთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი. აქედან გამომდინარე უმთავრესი მოთხოვნა პარტიულობა და ბოლოს ხელოვნების ჰუმანური ფუნქცია ისწავოდეს, ზეგავლენა მოახდინოს მასაზე იმ მიზნით, რომ აჩვენოს ახალი პიროვნების ჩამოყალიბება. ეს მოთხოვნა მწერალს ავალდებულებს გამოსახოს სინამდვილის სოციალურ-ისტორიული კონკრეტულობა, მისი ცვალებადობა და განვითარება.

#### შენიშვნები:

<sup>1</sup> Ленин. Партийная организация и партийная литература (в книге «Русская литература XX в.»), стр. 117.

<sup>2</sup> Русская литература XX в. изд. «Просвещение» 1977, стр. 195.

<sup>3</sup> Г. Л. Ермаш. Искусство как творчество, изд. «Искусство» М., 1972 г. стр. 95.

<sup>4</sup> Литература в изменяющемся мире. М., изд. «Литература», 1975 г. стр. 66.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>7</sup> Вопросы литературы № 8, 1975 г. стр. 230.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 257.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 229.

<sup>10</sup> იქვე, № 9, გვ. 257.



# რეკაზ ლადიქა და მისი ოპერა „ლელა“

გივი ორჯონიკიძე

რეკაზ ლადიქამ დიდი ხანია რაც ქართული სიმღერის მესაიდუმლოს რეპუტაცია დაიმკვიდრა. მისი მუსიკის შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, ისეთ განსაზღვრებებს მიმართვენ ხოლმე, რომლებიც ხალხურ შემოქმედებასთან კომპოზიტორის ახლო კავშირზე მიგვიბრუნებენ, აღნიშნავენ ლადიქის მუსიკის ნიადაგობრივობას, განუმარტებელ ეროვნულ კოლორიტს, ხალხური ინტონაციის სწორუპოვარ ფლობას. მთელი რიგი ტერმინები, რომლებსაც ლადიქის მუსიკის ღირებულების დადგენისას იყენებენ, აგრეთვე დამახასიათებელია, აიღეთ ნებისმიერი გამოხატული ლადიქის მუსიკაზე და იქ აუცილებლად ამოკითხოვთ ასეთ განმარტებებს: გულწრფელი, უშუალო, საინო, თბილი, ტემპერამენტული, გულმისაველი, ადამიანური კავშირების დამყარებისათვის მოწოდებული. ყოველ შემთხვევაში, ზემოთ გამოთქმულს თქვენ ვერც ისეთ დახასიათებას ვერ დაუპირისპირებთ, რომელშიც რომელიმე მათგანი უარყოფილი იქნება.

და ბოლოს, ლადიქის შემოქმედების მუსიკალური ხასიათის დადგენისას, აზრთა გასაცარიე მთლიანობა იგრძნობა: მღერად,

ვიკალური, მელიოდური, სადა, საყოფაცხოვრებო ინტონაციას და-ურდობილი, მისი ტრადიციების გამგრძობელი, ახალი დროის სუნთქვით გამსჭვალული და სხვ.

აზრთა ასეთი ერთიანობა ბევრი ფაქტორითაა განპირობებული და, უპირველეს ყოვლისა, თვით ლადიქის შემოქმედების გამჭვირვალებითა და მთლიანობით, მისი სტილის მიმწინააღმდეგე სისუფთავით. ისევე როგორც მუსიკის ნებისმიერ სახეობას და კომპოზიტორული შემოქმედების ნებისმიერ პროდუქციას, ლადიქის მუსიკას თავისი ძლიერი მხარებიც გააჩნია და თავისი სისუსტეებიც. მაგრამ მას ერთი თვისება აქვს, რომელსაც თვით მისი მოწინააღმდეგეც ვერ უარყოფენ: იგი მართლაც ბუნებრივია, სხვათა შორის, იმ თვალსაზრისითაც, რომ ნაშაღდევად კომპოზიტორის ერთი ტაქტიც არ შეუქმნია, ისეთი რამ არ დაუწერია, რაც თვით არ განიცადოს არა მარტო როგორც მუსიკოსს, არამედ როგორც ადამიანს.

არც თუ ისე იშვიათად გამოიქმნის გულმტრუკული რწმენა ნაწარმოების და მისი ავტორის პირდაპირი შესატყვისობის შესახებ, რასაც მუსიკის ინტონაცია ურაცხელი ფაქტებით არღვევს. ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ მუსიკა ბერაღად ავტობიოგრაფიებისა და ფსიქოლოგიური ანექტების არქივად გადაიქცევა. მაგრამ, აღნაგობით, ისიც ცხადია, რომ მართლაც არსებობს შინაგანი კავშირი კომპოზიტორისა და მის მიერ შექმნილ მუსიკას შორის. ეს შინაგანი კავშირი ლადიქის და მისი სიმღერების შორის მუსიკის „ზედაპირზე“ დევს და მისი მუსიკის ბუნებაში იკითხება. ეს იტიმომ მოხდა, რომ ლადიქის მუსიკა ერთი დიდი სიმღერაა იმის შესახებ, თუ როგორ ესმის თვით კომპოზიტორს ცხოვრება, მისი ხელმძაზრე და ხასიათი, მის ადამიანური შინაარსი, ზეგნობა, გულსტკივილი და სიხარული, რწმენა და სიყვარული.

ლადიქის მუსიკაზე საუბარი ჩემდა უნებურად მის სიმღერებზე ლაპარაკად იქცა. არც ესაა შემთხვევითი. კომპოზიტორს აქვს მშვენიერი ინსტრუმენტული პიესებიც, რომანსებიც, საორკესტრო პიესაც — სახელგანთქმული „საქიდაო“ და ბოლოს ოპერაც. მაგრამ გადაპარების გარეშე შეიძლება იმის თქმა, რომ მისი მუსიკალური აზროვნების ქვაკუთხედი — სიმღერაა. ამიტომ კომპოზიტორის მუსიკალური სტილის ანალიზი არსებითად მისი სიმღერების განსჯაცაა, ამ მუსიკალური ფენომენის გააზრებაცაა.

საოკარია სიმღერა, როგორც ფართი აღნიშნული ტერმინი. იგი უსაზღვრად ბევრ სახეობას აერთიანებს, უცილდევან სივრცეს მოიცავს, რომელშიაც ურთიერთგამომრიცხველი მოვლენებისაა გერთიანებული. ლადიქისთან დაკავშირებით მაინც ვარკვეული სფეროთი მოგვიხდება დამყავრებება. ეჭოდ, იმ სიმღერით, რომელიც პოეტურობის ხალხურ გავებასთანაა დაკავშირებული, ხალხური ზნეობის გამტარია და მას სასიცოცხლო ნარიშობის მნიშვნელობას ანიჭებს. მაშინაც კი, როდესაც ინტიმურ სიმღერაზე, ლირიკულ განზოგადებზე ვლაპარაკობთ.

ლადიქის სიმღერები სოციალური ობიექტივითაა გამსჭვალული და ადამიანთა თანაგრძნობას ადვილად ჰპოვენს. ჩვენ საგანგებოდ მოგვიხდება იმის აღნიშვნა, რომ ეს სიმღერები არც წამიერების აღმავრენა და ყოფილან გასკლამება არ ჩქარობს. წარმომავლობით იგი მართლაც ამ ყოფის სისხლხორცია, მაგრამ აღ დაშვილებების უფლება მას თავისი პოეტურობით მოუპოვებია. თავისი უნარიან ბეგნიად ვარგმო დაამშვენს, რომელშიც ადამიანებს, უფრო ზუ სხად, პარუტულ ქსეს უხდება ცხოვრება.

მართლაც, ვარკვეული თვალსაზრისით, სიმღერის ბედი ტალღას შეგვიძლია შევადაროთ, თანდათან რომ მატულობს, აწვირდება და ეველა სხვა ხმას რომ შთაიწივას. მერც კი, ნაპირს მიღწეული, ახალ ტალღაში გაუჩინარდება. ამ საერთო ხედვრს მომოდლ გამოჩენილი ნიშნუები თუ აშცადანა, რომელთაც თავის მინიატურულ ფორმაში დიდი სულიერი შიძობობა დაუტყვიათ და რომელთაც ცხოვრებისაგან არცელილი სხივის თამაში არ შემწედა, რომელშიც დროს თავისი ღარი გაუკვლავს. ლადიქის საუკეთესო სიმღერებსაც ეს ბედი რგებიათ: ხალხმა მილიო და შეიყვარა ისინი, რომ-



გორკ თავისი ნააზრე და განცდილი, როგორც თავისი წარმოდგენა სიკეთესა და სილამაზუნე. ის, რაც ამ ეპოქაში ლედიებს უთქვამს — უკვე ტრადიციის ეკუთვნის და ასეთი მუსიკის ბედით მართლაც რომ სანატრულია. დრო თვით ქადაგებასაც და ხუროთმოძღვრულ ძეგლებს უცვლის იერს და მით უმეტეს, ძალისმიერად უტყვის ისეთი ფაქიზი მატერიალისგან ნაკოსებს, როგორც სიმღერა გახლავთ. მაგრამ მაინც თვით დროც ეპოქურს დასაყვამს, ლადიის სიმღერე თავისი მადინათა ლიბრით. ის, რასაც ჩვენ ბუნებრივად და ნიდადგირსულს ვუწოდებთ — სწორედ მისი მადინა, მისი მახალა, მისი ხეტიმალა, მისი ძირი და ფეხებია. ვერც ის ვერ დაიჩივებს დიდოსტატის სახელს, რომელსაც მხოლოდ მადინს წიაღისეული-დან ზოვის უნარი განაჩნა და მისი დაწმუჭების ხელშია კი ვერ შეუძლებს და ვერც ის, ვინც სავსეკ დირიგების მასალაზე მუშაობას და თავის ხელობას ისეთ რაშეს ადებს, ზვალე რომ დაჟინდებუა, ფერს დაჟაკარავს და მოვირბიბუა.

რევაზ ლადიის ხელოვნების საიდუმლოება სწორედ ის გახლავთ, რომ მან მადინს ფასიც იცის და მისი დამუშავებისაც. მუსიკაში ის უყვარდა ფასობს, რომლის ფესვებიც ნიდავში ღრმად გადის ის სიმღერასაც მხოლოდ ეს თვისება უნარუნებს სიცოცხლეს. ამ „გაძქეფესებს“ სიმღერას სხვანაირი არომბატო დაჟაკარავს, არომბატი კეშმარტად აღამიანური გრძობისა, იმიტომ, რომ თვით წამიერი მხოლოდ მაშინაა რაღაც აზრით დატვირთული, როდესაც მარადიულის ნაგლეჩია, როდესაც თვით მასზეა დაფენილი ამ მარადიულის ჩრდილი.

ეს უკვე განსაკუთრებული ნიჭის ზედღრიაო — თქვენ მტკუვიო. მაგრამ თუ ხელოვნება კეშმარტია, მაშინ აუცილებლად განსაკუთრებულფასობასთან გვაქვს საქმე. მთავარია ამ განსაკუთრებულობის ფორმა დავადგინოთ. ამ შემთხვევაში მთავარია ის გამოვადგინოთ, რაც ლადიის შემოქმედებას განუმეორებლობას ანიჭებს, რაც განყოფილ მას სხვა სიმღერათა შორის, რაც კომპოზიტორის თავის საუთარ, სიმღერით მოპოვებულ ადგილს დაუსაკუთრებს ეკლტურაში. ვინც ახალ მხატვრულ სიამაღვილსა ქმნის, ის ნოვატორია იმისად მიუხედავად, აღმოჩენს თუ არა იგი ამავე დროს ახალ გამოსახველ ფორმებს, ხერხებს და სტრუქტურებს. რ. ლადიის სიმღერები გარკვეული თვალსაზრისით სიახლეა ქართული სიმღერის განვითარების გზაზე. ამ გზის განუმეორებელი მონაკვეთია, თუმცა „საერთო გზის“ ორგანული ნაწილიცაა, რადგანაც მას წინ რაღაცა უსწრებს და რაღაცა მას გააგრძელებს კიდევ.

ამ სიმღერის დამახასიათებელი ის გახლავთ, რომ თავიდანვე უკულაფერში იგი საყოველთაოზა ორიენტირებული. მასში გამოხატული იდეები არც ფსიქოლოგიურ პარალოქსებს არ გვათავაზობს და არც რაიმე სოციალურ-ეთიკური სიტუაციის განსაკუთრებულობას. სიახლე იმში მდგომარეობს, რომ კომპოზიტორი საყოველთაოზათვის თავის განსაკუთრებულ ინტონაციას, თავის განსაკუთრებულ მელოდიას პოულობს.


ამ სფეროშიაც „აღმოჩენის შანსი“ თითქოს უმნიშვნელია. ახა დააკვირდით: ლადიის ყოველი მელოდიური ნახატი მდიდარი გენეალოგითაა აღნიშნული, ყოველითან იმდენად უშუალოდაა დაკავშირებული, რომ თითქოს ერთი ნაბიჯიც კი საქმარისია, რომ ისევე მას დაუბრუნდეს. ამავე დროს კი პოეტური განსწავლების ნაყოფია, ლირიკული სითბოთაა გამსჭვალული.

სიმღერას მეტი ზომით, ვიდრე მუსიკალური ხელოვნების რომელიმე სახეობას, განაჩნა „მეგობრობის მოტენცილი“, დაახლოების და კონტაქტის შესაძლებლობაში. სიმღერა „შესაძლოა, ერთმა თქვას, მაგრამ იგი ისეთ ტალღაზე აწუხობილი, რომ თანალომობას, თანაზიარობას გულისხმობს. ლადიის სიმღერებში სწორედ ეს თვისებაა შენარუნებული. მის სიმღერებში მეგობრობის ხელია გამოწვდილი. და ის სითბო, რომელსაც იგი გვიზიარებს — მეგობრობის სითბოა.

მეორე თვისება, რომელიც ამ სიმღერის განსაკუთრებულობას განაპირობებს, მისი პოეტური ფუნქციაა. თუ მაინცდამაინც პოეტისტასა და რეკლუციის სიმღერებს არ ვიქონიებთ მხედველობაში (მე ხაზს ვუყვამ: ისეთ სიმღერებს, რომლებშიც სოციალური უკულმართობის მძაფრი კრიტიკაა მოცემული), ავდივლად დაგრწმუნდებით, რომ სიმღერა საზოგადოებად-იდეებით პასივის უშუალოდ გამოხატველი ფორმაა. ეს თვისება ლადიის სიმღერებში განსაკუთრებული უშუალობით შელავნებუა. ცხოვრება ჩვენი კომპოზიტორისათვის სილამაზისა და სიხარულის უმრტეტი წყაროა. ყველაფერს, რასაც აღამიანის ცხოვრებას შინაარსს აძლევს და ღირე-

ბულების პრეტენზია აქვს — მზის შუკი ანიჭებს მისთვის ვაზსაც და ტუხსაც, ღონისაც და სიუფაულისაც. მზის სხივი ხუროთმოძღვრების ძეგლებზეც თამაშობს და ლექსთა წყობაშიც აქვს. კომპოზიტორი შეტრფის ამას ყოველივეს, მაგრამ შეტრფის არა როგორც მემობეტი, რომლის მანვსაც პათოსი დაამიბინდა, არამედ როგორც ამ სილამაზის მონაწილე და მისთვის აბტურა მებრძოლი, მისი დამკვიდრების გზებში შეტარებოლი.

აქედან — ლადიის მუსიკის რამდენიმე თვისება: ღია, მისი მუსიკა ხალხურიდან და ყოფისაგან მომდინარეობს, მაგრამ არცერთ არ იმერტებს, ლადიის შემოქმედებით დამოკლებულება აქვს წყარობთან, თვით მანინაც კი, როდესაც თითქოს და „უმნიშვნელ“ შერბითი ჩაერევა მისგან დამოუკლებელი არხებულ მასალაში. მისი მუსიკა ცხოვრების მოუღებთან მისი, ლადიისეული დამოკლებულების ნაყოფია. მისთვის დამახასიათებელი პოეტური გა-



რევაზ ლადიე

ნოვაგადების მომენტებია ლირიზმი, სუბიექტური განცდის სიმკვეთრე და, მეორეს მხრივ, მგზნებაობა, ობიექტურის მახვილი გრძობა და „საერთოს“ გადმოცემისას გულმურავლება. ამიტომაც მის მუსიკაში და ეკრთოდ სიმღერებში ესეოდენ თავისებურად უერთდება პირად განცდის ობიექტური, ამიტომ ესეოდენ მოწიდი-ელოა ლირია, რომელიც სუბიექტურ დამოკლებულებას ახასავს და, ამავე დროს, სხვათა თანაგანცდასაც გულისხმობს.

ღრუკულ ემოციასაც გააჩნა თავისი სიუეტური, თავისი განფენილობა. მისწრაფება უკლმინაისისკენ, დაწუნარებისა და ჩაქრობის მომენტები. ეს სიუეტები ლადიისათვის არხებიად მელოდიამა მოთავსებული. მელოდია მისი მუსიკის ამოსავალი წერტილია, მისი გამოსახულების არა თუ ენტრალური, არამედ, შეიძლება თქვას,



ორივე სპექტაკლი სრული სისასით გამოხატავდა ახმეტელის რეჟისორული ძიებების არსს, ნაციონალური ფორმის მისიერ გაგებას, რაც მის სპექტაკლებში ძირითადად თავს იჩენდა „ეროვნული რიტმისაგან“ თავისიერი და პირველხარისხიანი მნიშვნელობის მინიჭებით. და, უკვეკლასი, რომ ამ გაგებიდან გამომდინარე, ყალიბდებოდა ახმეტელის სპექტაკლების აქტიორული სტილისტიკა, აქედანვე გამომდინარებოდა მასიური რიტმისებული მოძრაობების ფტიმირება და მატროსების გუნდური შეძახილები „რდევიაში“ და პარტიზანების „ანზორში“, ანით იყო პირობადებული, რომ ანზორისა და ახასს მოძრაობები და შესტები ლეკურივით ლდი და მსუბუქი იყო.

ახმეტელის სპექტაკლის ბოზოქარ რიტმს ხაზს უსვამდა ირ. გამრველის დიდებული მსატრობა. სპექტაკლის დეორატული კონსტრუქციები საპლატოს აძლევდნენ ანზორხორავას და ახმა-ვასასქს, რომ „მხარში გაშლილიყვნენ“. მთავარ გმითა სახეებიც, პარტიზანების მასის რიტმისებული მოძრაობა ორგანულად ეხამებოდა სცენის კონსტრუქციებს, რიაც სპექტაკლის თავისებურ პლასტიკურ ენას ქმნიდნენ. ხორავას ანზორი ოდნავადაც არ ჰგავდა თავის „მძას“ — სამხატვრო თეატრის სცენაზე დადგმული ეს. ივანოვის პიესის „კავშირის 14-69“ გმინს. არა ჰგავს არც ვარკუნულად (იგულისხმება!), არც ვინაგან — ტემპერამენტით, აქტიორული გამომსახველობითი სტილით. კარალოების ვერშინიან გულგაკაცურ სიბრძნეს, დარბაისლურ უხარლობას და რუსი კაცის გილიაფითი ძალის რწმუნებას უხვამდა ხაზს. ხორავას ანზორი იყო ბოზოქარი, სტიქიური, დაუოველები ძალა. იგი მთის არწივს ჰგავდა, მწვერვალების თავზე ამყავდ მოპირისმის, რომელიც პლასტიკურად „ჩაიწყურა“ მთის პეიზაჟში.

ქართული თეატრის ცხოვრება 30-იანი წლების ქუჩებიდან მარჯანიშვილისა და ახმეტელის გარეშე წარმოიშობა მსახიობებთან მუშაობის მათი პრინციპი განავითარა რეჟისორთა ახალმა პლედამ, რომელმაც ესტაფეტა უშუალოდ ამ ორი უდიდესი რეჟისორისაგან მიიღო. ბუნებრივია, რომ ამ თვალსაზრისით რაიმე სტრუქტურაზე, დაკანონებულ, ერთადერთ შესაძლებელ ფორმებზე, ლაპარაკი ზედმეტია. სცენური სახეობების „მარჯალეონებმა“ სულაც არ გამოიჩინეს თავი თავი სხვადასხვა თეატრალურ ხელოვნებაში მიმართულებათა და სტილისთა სეკციებში პრინციპულ თანამიმდევრულობას. ქართული თეატრი ამ წლებში ვითარდებოდა სიცოცხლისტური რეაქციის ხელოვნების იდეურ-ესტეტიკურ ნიადავზე, ისე ამკვიდრებდა ჰეროიკურ-რომანტიკური თეატრის, მარჯანიშვილის დღესასწაულებრივი თეატრის, სინთეტიკური აქტიორული ხელოვნების პრინციპებს. ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი, ტრაგედიალი და კომედიური პოლუსების გაბედული და რისიანი შეხვედრა ერთ წერტილში, სიცოცხლის მოყვარეობის დაუესტრომლი სტიქია და თეატრალური დღესასწაულის პათოსი თავისი დიდი მასწავლებლებისაგან — მარჯანიშვილისა და ახმეტელისაგან უშუალოდ მიიღო მემკვიდრეობად მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ. ფსიქოლოგიური ნიუანსების ნატივი შეგრძნება და ამ ნიუანსების ახალი თეატრალური ფორმით ფაგმოცემა, მსახიობის განცდათა სიღრმისეული ფორმების მიგნება ნიშანდობლივი თვისებები იყო მარჯანიშვილის ერთ-ერთი უთვალსაზრისო მიმდევრისა — ვასო ყუბიტაშვილისა, რომელიც ერთხანს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი იყო. სხვაგანადა, მტკნალები ძალით, მაგრამ უდავოდ ნაყოფიერად განაგრძეს ქართული თეატრალური ხელოვნების არსებობა საუკეთესო ტრადიციები რეჟისორებმა ა. ჩხარტიშვილმა, შ. აღსაბაძემ, ა. თაყაიშვილმა, და. ანთაქემ, აგრეთვე ა. ვასაქემ, რომელმაც თავისი დიდი აქტიორული გამოცდილება წარმატებით გამოიყენა რეჟისურის სფეროში — იგი წლების მანძილზე რუსთაველის სახელობის თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი იყო და ავითარებდა თავისი მასწავლებლების რეჟისორულ პრინციპებს.

ომმა მსახიობის ხელოვნებაში კიდევ უფრო მყარად დაამკვიდრა ჰეროიკული პრინციპი, ახლებური, თანადროული ფორმებით გაამდიდრა იგი. მსახიობის ხელოვნების ჰეროიკული ტენდენციები ორგანულად ეხამებოდა სამჭოთა ადამიანის კულმადიორი ცხოვრების რიტმს, ხალხის ცხოვრების სისხლმორცვეული ნაწილი გახდა. და რაც არ უნდა დაეხატა თეატრებს, — ომის ცხელ კვალზე დაწერილი პიესა იქნებოდა ეს თუ ნაწარმოებები, რომლებშიც მადლიან-ტივირად, ღრმად იყო წარმოჩენილი ჩვენი ხალხის, სამჭოთა ადამიანების საბრძოლველ ვირობა, ისტორიულ თემზე შექმნილი დრამა თუ ყვალაგუველი კლასიკა, ქართული თეატრის მსახიობები მხარს უზამდნენ ნიშანდობლივ — ისინი თამაშობდნენ მაყურებლისთვის, ვის მზრებზეც იწვა უმძიმესი ომის ტვირთი.

აქტიორის თამაშის სტილი ისევ ამაღლებული, ჰეროიკული რიტმითა. მსახიობთა მომწვევნი თათბა კი, რომელიც თეატრში 40-იანი წლებს შუახანს მოვიდა, ბუნებრივად, ორგანულად ეხიარა წინამორბედ შემოქმედთა თეატრალურ ტრადიციებს.

# ქველი თბილისის მთაწარი არტერიის და ზოგბიერთი წინადადება მისი რეპენერაციის შესახებ

სიმონ კინწურაშვილი

მშლი თბილისის მთაწარი არტერია ამჟამად წარმოადგენს რამდენიმე ქუჩის რიგს — ესაა შავთელის, ერეკლე II, სიონის, შარდენის ქუჩები. მის შუა ნაწილში მდებარეობს ერეკლე II მოედანი. მიემართება იგი მდინარე მტკვრის პარალელურად, ძველი ქალაქის ძირითადი ნაწილის, ე. წ. კალას აღმოსავლეთ განაპირა უბნებში, ბარათაშვილის ქუჩიდან<sup>1</sup>, ვიდრე ვახტანგ გორგასლის მოედანამდე (ყოფილი „ციხის მეიდანია“).

თითქმის ერთ კმ-იანი არტერიის განაშენიანება მდინარესა და ქუჩებს შორის არ არის ღრმა — აქ სასლემის ერთი ან ორი რიგია.

არტერიას უკვე ჩასახვისთანავე ქონდა ორგანული კავშირი მდინარესთან. ჩასახვა კი მან აუცილებლად დაიწყო მაშინ, როდესაც ციხე-ქალაქი თბილისი გადაიქცა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს — ქართლის დედაქალაქად, ე. ი. V-VI საუკუნეების მიჯნაზე. აქ, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, გადიოდა უმნიშვნელოვანესი ისტორიული საგაბრო გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, გზა, რომელიც ახალ დედაქალაქს აერთებდა ქართლის ძველ დედაქალაქთან — მცხეთასთან.<sup>2</sup>

არტერიის ჩასახვის დროს ისიც ადასტურებს, რომ მის გასწვრივ უკვე VI საუკუნეში აიგო ორი მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობა — შარის ეკლესია (ამჟამად ანჩისხატად წოდებული)<sup>3</sup> და სიონის კათედრალური ტაძარი.<sup>4</sup>

უდავოა, რომ ამ დროისათვის ქალაქის ახალი ტერიტორია ვრცელდებოდა ციხე-ქალაქის დასავლეთით და ჩრდილოეთით ბუნებრივ ტოპოგრაფიულ საზღვრამდის — სალაღაის წყლის მარჯვენა ნაპირამდე ეს ტერიტორია, ე. წ. კალა — შემოზღუდული უნდა ყოფილიყო უკვე აშენებული (ან შენებადი) ქალაქის ახალი თავდაცვითი კედლებით, ვინაიდან შეუძლებელია ვივარაუდოთ კათედრალური ტაძრის მშენებლობის დაწყება ქალაქგარეთ (5; გვ. 30-31). უფრო ლოგიკურაა ვიფიქროთ, რომ ყველაზე დიდი, მნიშვნელოვანი ნაგებობებით უნდა დაემშენებინათ ახალი დედაქალაქის მთავარი (თუ გინდ, პოტენციურად მთავარი) არტერია.

კალას ტერიტორია, სამი მხრიდან გარშემორტყმული თავდაცვითი სისტემით (თხრილები, კედლები, კოშკები...),<sup>5</sup> გამაგრებული ქალაქის ტიპურებით (მათი რიცხვი იცვლებოდა საუკუნეთა მანძილზე), ყოველთვის იყო ფეოდალური თბილისის ძირითადი დასახლებული ბირთვი.

ამ ხანაში, ე. ი. ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, — ქალაქის ცენტრი (ფუნქციური და არქიტექტურული) ძველ ადგილზე დარჩა — ქალაქის განივი ღერძის (მეტეხი, ნარიყალა) ფარგლებში. (ფ. 1).

მხოლოდ გვიანი ფეოდალიზმის ეპოქაში გადმოინაცვლა ქალაქის ცენტრმა კალაში, მისი მთავარი არტერიის გასწვრივ. XVII საუკუნის შუა წლებში მეფე როსტომმა (1632-1658 წწ.) გადმოიტანა სამეფო რეზიდენცია ქალაქის ცენტ-



დელიდან ქვევით, სიონსა და ანჩისხატს შორის. აქ, მტკვრის ნაპირზე, ააშენა მან სასახლე, რომლის შესანიშნავი „სპარსულ რიგზე“ არქიტექტურას აღფრთოვანებით აღწერდნენ თანამედროვენი.<sup>6</sup>

სასახლის წინ იყო საგამოდ ვრცელი მოედანი.<sup>7</sup> აქ ეწყობოდა დღესასწაულები, მეფის საზეიმო გამოსვლა, თეატრალური სანახაობები... მოედნის ჩრდილოეთ მხარეს ეწოდებოდა „სალაყბო“ — აქ იკრიბებოდნენ წარჩინებულნი და მსჯელობდნენ პოლიტიკურ სახსოვებზე... მოედნის შუაში ცივი წყლის წყარო იყო, შორიასხლოს — მეფის აბანო,<sup>8</sup> სადაც ცხელი გოგირდის წყალს თიხის მილებით თბილისის მინერალური წყლების საერთო რეზერვუაროდან მოედინებოდა.

მოედანს გარშემო დუქნებისა და სახელოსნოების რიგები ერტყა...

ქა იყო ხმაურანი, აღმოსავლური ხასიათის მოედანი, სადაც ირეუდა მრავალრიოვანი და მრავალენოვანი, ნაირგვარ ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი.

მოედნის ჩრდილოეთით, მაგისტრალის გასწვრივ განლაგებული იყო მეფის ოჯახის წევრებისა და დიდებულთა სახლები, ეზოები, სასახლეები — ეს არისტოკრატიული საცხოვრებელი უბნები იყო.

მოედნის სამხრეთით მაგისტრალს ეწოდებოდა „დიდი ბაზარი“, ან „გრძელი ბაზარი“. ქუჩის ორივე მხარეზე მიჯრით განლაგებული იყო დიდი და პატარა სავაჭრო ნაგებობები — ქარვასლები, ფუნდუკები.<sup>9</sup>

ამავე მაგისტრალის რაიონში მდებარეობდა კაკვასიაში პირველი სასტამბო შენობა — „სტამბის სახლი“.<sup>10</sup>

პოლიტიკური რეზიდენციის — ქალაქის ცენტრის აქეთ გადმოტანა თავდაპირველად იძულებითი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მოვლენა მაინც ლოგიკურ, ქალაქის ზრდით და ახალი სოციალური ძვრებით მომზადებულ ნაბიჯს წარმოადგენდა — სავაჭრო კაპიტალის ჩასახვა თბილისის უქადა საქართველოს და ამიერკავკასიის მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად გადაქცევას.

ამგვარად, ეს არტერი ჩასახვის დღიდან (VI ს.) ძველი ქალაქის (განსაკუთრებით კალას) ფარგლებში იყო ერთ-ერთი მთავარი (თუ ყველაზე მთავარი არა) ქუჩა, XVII ს-ის შუა წლებიდან კი მას „მეფის მიედანთან“ ერთად ნელ-ნელა დაეკისრა ცენტრალური მაგისტრალის მკაფიოდ დიფერენცირებული და ურთიერთდა-

მოკიდებული ფუნქციები (1; გვ. 7-22; 2.; ტ. I, გვ. 13): რელიგიურ იდეოლოგიური (მთავარი საეკლესიო ნაგებობები), კულტურულ-საგანმანათლებლო (სახალხო თეატრები და სანახაობები, სტამბა), სავაჭრო-საწარმოო (ქარვასლები, სავაჭრო რიგები, ხელოსანთა სამაქროები) და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი (მეფის სასახლე, სალაყბო და სხვ.).

ასე იყო 1795 წლამდე, როდესაც ირანელმა დამპყრობლებმა დაუნდობლად დაარბიეს თბილისი და, პირველ რიგში, მისი ძირითადი სავაჭრო-სამრეწველო, არისტოკრატიული ნაწილი.<sup>11</sup>

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) ახალი ადმინისტრაცია ეცადა ამ უბანში მოეყვია ფეხი და დაებრუნებია მისთვის ძველი ფუნქცია.

მაგრამ ეს ამბო მეცადინეობა იყო — ახალი, სწრაფად შეზარდი ბურჟუაზიული ქალაქი ვერ ეტეოდა შუასაუკუნეების გალავანში — იგი მიიწვედა აღმა, მტკვრის დინების წინააღმდეგ, ითვისებდა გ. წ. გაერთუბანის თავისუფალ მიწებს. აქ, „საარქონის გზის“ გასწვრივ (ახლანდელი ვ. ი. ლენინის მოედანი და რუსთაველის პრ.) ჩამოყალიბდა ქალაქის ახალი ადმინისტრაციული, კულტურული და სავაჭრო ცენტრი.

არტერიის ამგვინდელი სახის და შემორჩენილი ისტორიული მასალის — გრაფიკული დოკუმენტების შეჯერებით შეეცადათ გაეხსნათ მისი მხატვრულ-არქიტექტურული და გეგმარებით-ქალაქმშენებლობითი თავისებურებანი და ამის საფუძველზე დავადინათ აღდგენა-რეგენერაციის ზოგიერთი საწყისი მომენტი.

შემორჩენილმა გრაფიკულმა მასალამ მკველვარებს საშუალება მისცა ერთგვარად წარმოედგინათ ძველი ქალაქის (ეგრეთვე კალის) და ნაწილობრივ მისი მთავარი მაგისტრალის გეგმარებითი სტრუქტურა (ნ; გვ. 58, 60-61).

გეგმებზე (ვახუშტი ბაგრატიონის გეგმაც კი) ნათლად ჩანს, რომ კალას ქუჩების ქსელის სტრუქტურა მთლიანად ექვემდებარება ჩვენს არტერიას — ქალაქის ყველა ზიშვირთან მისკენ, როგორც მთავარი მაგისტრალისაკენ, მიემართება ქუჩები, ქუჩაბანდები, რომლებიც მდინარისაკენ ეშვებიან. (ფ. 2).

გვიანფეოდალური კალას განაშენიანება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქალაქის რიგითი ერთ-ორ სართოვანი პატარა საცხოვრებელი კვარტალები ტერასებად ეშვებოდნენ მდინარისაკენ; განაშენიანებიდან ბევრ ადგილას ამოწვე-

რილი იყო ეკლესიების ქვეს მასიური ტანები და გუმბათები: ქუჩები მდინარისაკენ ან პერპენდიკულარულად ჩამორბოდნენ, ან იკარგებოდნენ მჭიდროდ მიჯრილი სახლების ქაოსში... განაშენიანება მთავრდებოდა შედარებით მსხვილმასშტაბიანი ნაგებობებით მდინარის პირას, მთავარი მაგისტრალის გასწვრივ — ეს იყო კალას მასივის წამყვანი რიგი, მისი მთავარი აკორდი. განაშენიანების ეს ხასიათი იკითხება XIX ს-ის 30-იანი წლების დოკუმენტური ხასიათის გრაფიკულ ნახატზეც კი (მხატვარი ჩერენცოვი), თუმცა ამ დროისათვის კალაში უკვე გაჩნდა რამდენიმე დიდი, რუსული კლასიციზმის სტილში აგებული შენობა და XIX ს-ის პირველი ნახევრის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ე. წ. თბილისური საცხოვრებელი სახლები ხის ფართო, მოხარბატებული მოაჯირიანი აივნებით და კლასიკური დეტალებით. ასეთია ამ უბნის ხასიათი დღესაც (ფ. 3).

ამ მთავარი რიგის სილუეტს ოდიოვან სამი ძირითადი აქცენტი განსაზღვრავდა:

- 1) ანჩისხატის ეკლესია სამრეკლოთი (ფ. 4, 4ა),
- 2) „მეფის მადენის“ მსხვილი „ლაქა“ სასახლის კომპლექსით (ფ. 5, 5ა) და
- 3) სიონის ტაძარი სამრეკლოთი (ფ. 6, 6ა). მათ შორის იყო რივითი განაშენიანება (თუმცა უფრო მსხვილი, ვიდრე კალას დანარჩენ ნაწილებში), რომლის სილუეტს, როგორც

აღენიშნეთ, ამდარბედა პატარა ეკლესიების გუმბათები და მეჩეთების მინარეთები.

მართალი არიან ის ავტორები (7; გვ. 58), რომლებიც თვლიან, რომ ფოცალური თბილისის ახალმა ცენტრმა, მისმა მთავარმა მაგისტრალმა (ქალაქის ფუნქციურმა ღერძმა) ვერ ჰპოვა მხატვრული სრულყოფა და ძველი ქალაქის მთავარ დომინანტთან — მეტეხ-ნარყალასთან დაჭვემდებარებულ როლს თამაშობდა. მაგრამ აქ ყურადსაღებია შემდეგი გარემოება:


ა) ამ მაგისტრალის და მოედნის ანსამბლმა ვერ მოასწრო საბოლოო ჩამოყალიბება (თუმცა კი არსებობდა ამის ფუნქციური და მხატვრული წინაპირობა), ვინაიდან ქალაქის შედარებით წყნარი, მშვიდობიანი განვითარებისათვის ცოტა დრო იყო (ერთნახევარი საუკუნე);

ბ) მაგისტრალი ან მოედანი (თუკინდ მთავარი) თბილისის ბუნებრივ სპეციფიკურ პირობებში (რთული რელიეფი, მრავალპლანიანი აღქმა, გრძივი ღერძი) არ შეიძლება განვიხილოთ ცალკე, გამხოლოებით. იგი წარმოადგენს მთელი მოცულობით-გვემარებითი ჭაოვილის ზინთფურ ნაწილს. ამ მაგისტრალის და მოედნის განაშენიანება შეიძლება არ გამხდარიყო დომინანტი მთელი ქალაქისათვის (ალბათ, არც გახდებოდა), მაგრამ თბილისის ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ეს იყო ახალი, უფრო

სურ. 1







სურ. 2

რთული საფეხური ფეოდალური ქალაქის ანსამბლური განვითარებისა.

ამ არტერიამ თავისი გეგმარებით, გაბარიტებით, მასშტაბით, ფეხმავლისა და ქუჩის ინტერიერის ურთიერთშეფარდებით, სამეზავრო ვიზუალური კავშირებით დღეს-დღეობითაც შემოინახა მიმზიდველობა, შეიძლება ითქვას, შუასაუკუნეების არმატი, კიუხედავად იმისა, რომ განაშენიანება (ცალკეული სახლების არქიტექტურა) აქ სწვადასხვა დროისაა (VI ს-დან XX ს-ის პირველ ათეულ წლებამდე), სხვადასხვა ხასიათისა და ხარისხითაც არ არის ერთგვაროვანი. ეს მაგისტრალი მაგალითია მრავალი საუკუნის მანძილზე სააღმშენებლო შრეებით შექმნილი ქალაქის კოლორიტული ქუჩის ანსამბლისა.

ქუჩის ყოველ მოსახვევში, სახლებს შორის ლიობებში, მოცულობათა თავმოყრაში შეიძლება გამოვავლინოთ, დავინახოთ არა მარტო ფუნქციური, არამედ მხატვრული მხარე.

აქ განაშენიანების თავისებურება ვლინდება ფეხმავლის ნელ გადაადგილებასთან ერთად (როგორც შეგფერის ფეოდალურ ქალაქს), ერთი აქცენტოდან მეორე აქცენტისაკენ, ერთი მაჟიოდ გამოკვეთილი დასრულებული „სურათიდან“ (პლენერი და არქიტექტურა) მეორისაკენ. ქუჩის „ინტერიერი“ მდიდრდება განივი ხედვებით, რომლებიც იხსნება პერპენდიკულარული ქუჩებიდან: დაავლეთისაკენ — ცალკეული ვერტიკალური აქცენტებია (ეკლესიის გუმბათები) და შორეული ხედვები (მთები, ნარიყალა), აღმოსავლეთისაკენ — მტკერის სანაპიროები.

არტერიის არქიტექტურულ-მხატვრული სახის სრულად გახსნისათვის საჭიროა ყველა ცალკეულ შემთხვევაში დაფიქსირდეს, დადგინდეს საგზაო-ხედვითი წერტილები (ადგილები). ჩვენ შემთხვევაში სულ 28 ასეთი წერტილი დავინიშნეთ.<sup>12</sup>

მოკლე მონაკვეთი არტერიის დასაწყისიდან (ფ. 7); სადაც უნდა ყოფილიყო ე. წ. „წყლის

სურ. 3



კარი<sup>13</sup> პატარა სამკუთხა, აღმოსავლეთისაკენ, მტკვრისაკენ დაქანებულ მოედნამდე და ანჩისხატის მიმდებარე ანსამბლი შედარებით სწრაფად იშლება: ანჩისხატის სამრევლოს გუმბათი (1675 წ.), შემდეგ თვით ანჩისხატი. ეს ორი ნაგებობა თითქოს „იჭერს“ მოედნის განაშენიანებას. მოედანზე გამოდის რამდენიმე არქიტექტურულად საინტერესო აივნაინი საცხოვრებელი სახლი (შავთლის 24, 22 და სხვ.). სამრევლოს ტიშკრის ღერძიდან სამხრეთისაკენ დაწეული გუმბათი აგვირგვინებს ანსამბლს და თან თითქოს მიანიშნებს საით გრძელდება მარშრუტი.

ვიწრო „ღერეფანს“ (სიგანე 3,6 მ) ანჩისხატის სამრევლოდან მივყავართ მეორე მნიშვნელოვანი კანძისაკენ — „მეფის შეიდნის“ (ერეკლე II მ.) ფართო პანორამისაკენ. „ღერეფანის“ სამხრეთ-დასავლეთ მხარეს გვიან — XIX ს-ის შუა წლებში ჩამოყალიბებული განაშენიანების საინტერესო მხატვრული ხეობია — აგურის ლობეების მიღმა თავისებურ რიტმს ქმნის ეზო-კურდონერები, რომლებიც გახსნილია ქუჩისაკენ, ხოლო სამი მხრიდან შემოფარგულია ორ-სამ იარუსიანი აივნების რიგებით. მზით განათებული კურდონერების რიტმი მხატვრულ კონტრასტს ქმნის ჩრდილო-დასავლეთის მხრის თითქმის ყრუ კედლის ზოლიან.


რთული კონფიგურაციის, ინტიმური, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაქანებული ერეკლე II მოედანი ნელა, ყოველგვარი მახვილი აქცენტების გარეშე იხსნება, — მარჯვნიდან თითქოს შეუმჩნევლად ჩნდება პატარა კარის ეკლესიის (1710 წ.) აღმოსავლეთი ფასადი და ყოფილი საცხოვრებელი სახლის (XIX ს-ის 40-იანი წლები; ამჟამად სახ. თეატრალური მუზეუმი) გვერდითი ფასადი. ეკლესია და სახლის მეორე სართულის ბალუსტრადიანი აივანი თითქოს კარნახობენ მოედნის განაშენიანების მასშტაბს, მოედნის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს გამოძვლილი ორ-სამ სართულიანი აივნაინი საცხოვრებელი სახლები თითქმის უკლებლივ მხატვრულად ღირებულია.

აღმოსავლეთ მხარეს მოედანი აქცენტირებულია რუსული კლასიციზმის ყაიდაზე აგებული დიდი სახლებით.<sup>14</sup>


ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოედნის განაშენიანების კონტრუსტი, შენობათა სახურავების თავზე შემოჭრილია ცისფერსახურაიანი ეკლესიის გუმბათი (აკოფიანის ქ. 6) და მთაწმინდის სილუეტი (ზაფხულობით ეს აქცენტები დაფარულია ხეების ვარჯებით).



სურ. 4




სურ. 5



სურ. 6






სურ. 4ა



სურ. 5ა



სურ. 6ა

მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იწყება მეორე ვიწრო „ღერეფანი“ — ერეკლე II და სიონის ქუჩები, რომლებიც მოშენებულია XIX ს-ის დასაწყისის, არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო საცხოვრებელი სახლებით. „ღერეფანს“ მივყავართ არტერიის შესანე მნიშვნელოვან ანსამბლთან — სიონის კათედრალური ტაძრის გარემოცვასთან.

ანსამბლი იხსნება რამდენიმე ვიზუალური „დარტყმით“ — დიდი სამრეკლო; სიონის ტაძრის გუმბათი განაშენიანების თავზე; ტაძრის მთლიანი მოცულობა მცირე სამრეკლოთი.

ოთხკუთხა მოედანი (იგი წარმოიშვა საცხოვრებელი სახლის ალების შემდეგ) იძლევა ანსამბლის მომგებიანი წერტილიდან აღქმის საშუალებას. ანსამბლს ამდიდრებს მოშორებით (ლესელიძის ქუჩის გადაღმა) მდგარი ნორაშენის ეკლესიის მეტყველი სილუეტი და მის უკან მდგარი ჯგერის მამის ეკლესია.

და ისევ „ღერეფანი“ — ეკლექტიკური არქიტექტურის ყოფილი ქარვასლების სამსართულიანი შენობები, რომლებიც ქმნიან საჭირო, „ჩაყვტილ“ ატმოსფეროს.

ლესელიძისა და სიონის ქუჩებს შორის ამჟამად არსებული სამკუთხა სკვერის (ესეც წარმოიშვა საცხოვრებელი სახლების დანგრევის შედეგად) საშუალებით კარგი პანორამული ხედი იხსნება (ეკლესია „ციხის საყდარი“, სინაგოგა, „ციხის უბნის“ ტერასული განაშენიანება, ნარიყალა და „ქართლის დედა“), მაგრამ, ჩვენი აზრით, სკვერი უშლის ხელს საერთო განწყობილებას. აქ საავადმებულო დაკარგულის აღდგენა. მაშინ უფრო მკაფიოდ შეიძლება ხაზი გაესვას ქალაქისათვის დამახასიათებელი სამი ქუჩის განშტოებას.<sup>15</sup>

„ღერეფანი“ გრძელდება შარდენის ქუჩით (ყოფ. „ბნელი რიგი“ — ძალზე ზუსტი, დამახასიათებელი სახელწოდება; ფ. 8). მას გაეყვართ საბოლოო მიზანთან — ვახტანგ გორგასლის მონუმენტზე. აქ იხსნება ძველი თბილისის მთავარი არქიტექტურულ-მხატვრული დომინანტის — მეტეხი-ნარიყალას-პანორამა (ფ. 9, 10). იგი ჩნდება მთლიანად, მოულოდნელად, მომგებიანი რაკურსით.

ჩვენს წინაშეა ქუჩის (ქუჩების რიგის) ანსამბლის ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც დამახასიათებელია ფეოდალური თბილისის გვეგარებისა და განაშენიანებისათვის. ეს არ არის წინასწარ გვემოუხად ჩაფიქრებული პროექტის ნაყოფი. არა-ლეგულარული, მდინარის გასწვრივ გაჭიმული, ძალზე რთული ტოპოგრაფიის ქალაქი ემებდა და ნახულობდა თავისებურ, მხოლოდ მისთვის დამა-

ხასიათებელ ქალაქმშენებლობით-მხატვრულ სერ-  
ხებს პირველხარისხოვანის მფორეხარისხოვანის  
საშუალებითა და პირიქით<sup>16</sup> გახსნიასათვის.

გარდა ამ წამყვანი, ჩვენი აზრით, დამასასია-  
თებელი საგზაო და სივრცითი ხედვითი კავშირე-  
ბისა, უფრო დაწერილებითი ანალიზის შემდეგ  
შეიძლება გამოშვლავდეს კიდევ რამდენიმე ახა-  
ლი კომპონენტი.<sup>17</sup>

ამ ძველი არტერიის ნაგებობათა, გვემარების  
ისტორიისა და თანადროულობის შესწავლა სა-  
შუალებას გვაძლევს წამოვაყენოთ რამდენიმე  
წინადადება მისი რეკონსტრუქციისა და რევენ-  
რაციის თაობაზე.

მთავარი წინადადება — გადაიქცეს ეს  
ქუჩათა წყება, მთელი არტერიის  
ტურიტულ მარშრუტად.

ამისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა:

1. მატარალზე და მილიადად მოედანზე  
მოვსპობთ „მამინიზებული სფერო“ და გადააქე-  
ციოთ არტერია ფეხმავალთა ზონად (პარალე-  
ლური სატრანსპორტო მავიტრალეებს — ლე-  
სელიძის ქუჩისა და სანაპიროს სიახლოვე აიის  
სრულ საშუალებას იძლევა).

2. ჩატარდეს გვემამომიერი, ეტაპური რეგე-  
ნერაცია საცხოვრებელი სახლებისა (აუცილებ-  
ლად უნდა დარჩეს საცხოვრებლის ძირითადი  
აგლომერაციები. წინააღმდეგ შემთხვევაში უბა-  
ნი გადაიქცევა მკვდარ მუზეუმ-დერეფად).

3. ჩატარდეს ზოგიერთი საწარმოო, აღმინის-  
ტრაციული, სავაგრო და, აგრეთვე, საცხოვრე-  
ბელი სახლების ადაპტაცია და რევენერაცია. აი,  
ზოგიერთი კონკრეტული წინადადება:

ა) ყოფილი გუბერნატორისა და საკრებულოს  
შენიშები გადაეცეს თბილისის ისტორიისა და  
ეთნოგრაფიის მუზეუმს. მის ექსპოზიციიში უნ-  
და ჩაერთოს ყოფ. მეფის აბანი და ურთ-ერთი  
ახლომდებარე საცხოვრებელი სახლი XIX საუ-  
კუნის პირველი ნახევრის თბილისური ყოფის  
საჩვენებლად.

ბ) საცხოვრებელ სახლში შავთელის ქ. 6  
(იგივე ჩახრუხაძის ქ., 17) გაიხსნას ნიკოლოზ  
ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი:

დ) ყოფილ პატარა ჭარავსლაში (ამჟამად  
საცხოვრებელი სახლი — ერეკლე II ქ., 8-10)  
გაიხსნას ასალგაზრდული შეხვედრების კლუბი.

ე) ზოგიერთი სახლი შეიძლება ადაპტირებულ  
იქნას, როგორც სასტუმროები.

4. აუცილებლად უნდა გატანილ იქნას ან  
ზონიდან საწარმოო ხასიათის დაწესებულებები  
და საწყობები.


5. ანჩისხატის ეკლესიაში მოეწყოს თანამედ-



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9





სურ. 10

როვე გამოყენებითი ხელოვნების (ჭედური, კერამიკა, ქსოვილები, და სხვ.) ნიმუშების გამოფენა.

6. მოეწიოს:

ა) სიონის ქუჩის ყოფილ სავაჭრო რიგში ეროვნული სამხარეულოს კავერესტორნები, სასაუზმეები (სამაწვადე, თონე, სახინკლე, საჭაშნიკო, ჩაი-ზანა, აღმოსავლური და ეროვნული ტკბილეული, სამაწვანე, საბაჭაპურე და სხვ.).

ბ) ყოფილ დიდ ქარვასლებში (სიონის ქ. 8, 13) — დიდი სავაჭრო დაწესებულებები.

გ) შარდენის ქუჩის ყოფილ სახელოსნო რიგებში — სახელოსნოები სუვენიერების დასამზადებლად და გასაყიდად (კერამიკა, ნოხები, ჭედურობა, ეროვნული კოსტუმები და ქუდები, მუსიკალური საკრავები და სხვ.).

7. სპეციალური დენდროლოგიური პროექტით ჩატარდეს მწვანე ნარგავების მთლიანი რეკონსტრუქცია იმ მიზნით, რომ გამწვანებამ ხელი შეუწყოს საგზაო და სივრცითი კავშირების საუკეთესოდ გამოვლენას.

8. არტერიის, მოედნის და პერპენდიკულარული ქუჩების საგალი ნაწილის ასფალტი შევსვილი იქნას ქვაფენილით, რიყის ქვით ან ე. წ. „ქართული აგურით“ (გამოყენებულ იქნას ერეკლე II მოედანზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ფენილის სასიათი).

9. დაყენებულ იქნას ქუჩებისა და მოედნის მასშტაბისა და ხასიათის შესაფერი გასანათი ბელი ხელსაწყოები; ამავე დროს, გათვალისწინებული იქნას ცალკეული სახლების ან ანსამბლების დამის მხატვრული შენათება; დაიმალოს გაზის მილები.

10. გააზრებულ იქნას ერეკლე II მოედნის ტურისტულ ფორმად გადაქცევა შესაფერი დასვენებისა და ვართობის ორგანიზაციით („ბერიკაობა“, „ყვენობა“, თოჯინები და სხვა თეატრალური სანათაობები).

11. გააზრებულ იქნეს ზოგიერთი შიშველი გვერდითი ფასადის არქიტექტურული გადაწყვეტა.

სტატიაში ჩვენ შევეცადეთ:

ა) დაგვედინა ძველი თბილისის მთავარ არტერიაზე არსებული (ან დაკარგული) ძირითადი მატერიალური და ისტორიული ღირებულებანი; ამასთან, მუდამ გვახსოვდა, რომ არტერია თვითონ მთლიანად წარმოადგენს ქალაქშენებლობით-გეგმარებით და არქიტექტურულ-მხატვრულ ისტორიულ ძეგლს.

ბ) დაგვედინა საგზაო და სივრცობრივი ხე-

სურ. 11



დვითი კავშირები, რომლებიც უფრო მეტად ამ-  
ფლანგებზე მთავარ ანსამბლებს. ამ ანსამბლების  
შემაკავშირებელ რგოლებს და ანსამბლების შო-  
რეულ პლანებს;

გ) წარმოგვედინა ზოგიერთი მოსაზრება  
მთელი არტერიის, მისი რგოლების, ცალკეული  
სახლების მოდიფიკაციის გზები იმ მიზნით,  
რომ არტერია მომავალში იქცეს საქართველოს  
სსრ დედაქალაქის ისტორიულ წარსულთან გაყ-  
ნობის მთავარ ტურისტულ მარშრუტად.

**შენიშვნები:**

<sup>1</sup> ეს ქუჩა წარმოიშვა XIX ს-ის 30-იან წლებში,  
როდესაც მდინარე საღალაქის ყველა კოლექტორთან  
გაახალურეს, ხოლო აქ არსებულ ე. წ. ავანახთ ხეყა  
ამოკლეს.

<sup>2</sup> ძველი თბილისის დაგეგმარებისა და არქიტექტუ-  
რის კერძო და საერთო ხასიათის საკითხებზე მსჯე-  
ლობა ძალზე ჭირს, ვინაიდან შემოგვიჩანს ცოტა, ისე  
შბოლოდ გვიანფოდალური ხანის დოკუმენტური შა-  
სალა: შარდენის (1673 წ.) და ტურნეტურის (1701 წ.)  
გრაფიკები; ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი  
გეგმა (1735 წ.); რუსი კარტოგრაფებისა და მხატვრე-  
ბის ნაშუგვერბი (XVIII ს-ის ბოლო, XIX ს-ის  
დასაწყისი). მასალას ერთგვარად აქცებს ქართველი  
ავტორების, რუსი და უცხოელი მოგზაურების ჩანა-  
წილები.

<sup>3</sup> აგებულია VI საუკუნის დასაწყისში. XVIII ს-ში  
მნიშვნელოვნად გადააკეთეს. 1958 წელს ჩატარდა სა-  
რესტავრაციო სამუშაოები (ხელმძღვანელი რ. გვერდუ-  
წიფიძე).

<sup>4</sup> სიონის, როგორც ტფილელი ეპისკოპოსის კათე-  
დრალის მშენებლობა დაიწყო VI ს-ის მეორე ნახევარში.  
დაამთავრეს VII ს-ის 20-იან წლებში. მრავალჯერ  
გადაეთვალი, შეეცალა სახე. ბოლნისის ოქროსფერი  
ტფიფი მოაპირაყეთს 1710 წ.

<sup>5</sup> ქიონდა თუ არა კვლეული კალა აღმოსავლეთიდან,  
მეტრის ნაპირის გასწვრივ, არ არის დადგენილი.

<sup>6</sup> შემდგომში ამ რაიონში ვახტანგ V (წ. 1675 წ.)  
აუშენა ახალი სასახლე, რომელიც მოსმეს მესულმანე-  
ბმა. 1783 წ. ერეკლე II (1720—1798 წწ.) მიერ აგე-  
ბულ სასახლე კვლავ დამპყრობლებმა გაანადგურეს  
(1795 წ.).

<sup>7</sup> ახლანდელი ერეკლე II მოედანი მხოლოდ ნაწილად  
ძველი მოედნისა, რომელსაც სხვადასხვა ავტორის  
გადმოცემით, სხვადასხვა დროს ეწოდებოდა „ლილი  
მივლიანი“, „ბატონის...“ „მეფის...“, „ხემა მივლიანი“.

<sup>8</sup> 1795 წლის შემდეგ ამ შენობაში ფუნქსიონალური  
და სასაბუჟო პალატა იყო. 1948-49 წწ. ნავებობის ნარე-  
ჩენები გაწმინდეს (ა. კალანდაძე) და აზომეს (ე. მე-  
ლითაიფი). 1958 წელს კი აღადგინეს და გააბარეს  
(ხელმძღვანელი რ. გვერდუწიფიძე).

<sup>9</sup> მათი არქიტექტურის შესახებ ძნელია მსჯელობა—  
ისინი არ შემორჩენილან. დღემდის მოჩვეული ყოფი-  
ლი ქარავლის შენობები (ამჟამად გამოყენებული საც-  
ხოვრებლად, საწაუბრებლად, დამუშავებულგებამდ) გვიან-  
დელი (XIX ს. მეორე ნახევარი — XX ს. დასაწყისი),  
და დროისათვის დამახასიათებელი ეკლექტიკური  
ფასალებით. საინტერესოსა მათი ტრადიციული გვეგმი-

ური გადაწყვეტა — ნავებობის ძირითად ბირთვს  
წარმოადგენს შიდა ოთხკუთხა ხეო, რომელიც ყოველ  
სართულზე პერიპეტრული არის მოშენებული და  
გალერგებით (სიონის, 13 (1912 წ.) და 8, ერეკლე II,  
8-10 და სხვ.) (1; გვ. 21-22; 2; ტ. II, გვ. 9-22).

<sup>10</sup> სკამბა რამდენიმეჯერ გადაიტანეს, გაფართო-  
ვეს. ბოლოს, 1764 წელს განადგურებამდ (1795 წ.)  
იგი ამყოფებოდა მეფის სასახლის ეზოში (5; გვ. 323-  
328).

<sup>11</sup> ქალაქის 1802 წლის გეგმაზე ამ ეზოშია სასახლე,  
ორი მეჩეთი, ორი ბატარა ეკლესია აღნიშნულია, რო-  
გორც „განადგურებულნი“. აღარ არის აქ არც მეფის  
ოჯახის წევრებისა და დიდებულების სახლები.

<sup>12</sup> ამ წერტილების დაზუსტებაში მინაწილობა  
არქიტექტორი გ. ორბელი.

<sup>13</sup> ვიშნოვანები, რომ მომავალი არქეოლოგიური  
ვათარბები დაზუსტებს ამ ქარის და ამდინდ მავის-  
ტრალის საწყის ადგილმდებარეობას.

<sup>14</sup> ამჟამად ერთ მთავარში თბილისის აღმასკომის  
შინაგან საქმეთა სამმართველოა. მისი მშენებლობა  
1809 წ. დაიწყო. რამდენიმეჯერ გადააკეთეს. იგი იყო  
გუბერნატორის რეზიდენცია. მეორე სახლი კი ამჟამად  
საცხოვრებელია (ერეკლე II მ. 3). იგი აშენებუ-  
ლია XIX ს-ის დასაწყისში. აქ იყო სახელმწიფო და-  
წესებულებები — საკრებულო. მოვლანზე გამოვად  
ფასაჩ ჩუენი საუკუნის 30-იან წლებში შეუცვალა  
სახე.

<sup>15</sup> საჭირო იქნება კიდევ ერთი დაჯერებული ნაწილი  
აღდგენა — უნდა გაისწმას ძალზე ვიწრო დამახასია-  
თებელი გასასვლელი ყოფ. ქარავლის (სიონის ქ. 13)  
და გაერთიანება „ნარიყალა“ ამჟამინდელი ფესსაცემ-  
ლების ფაბრიკის შენობებს შორის.

<sup>16</sup> ჩვენ შეგებულდა არ შეეცხებ ჩუენთვის საინ-  
ტერესო არტერიის სილექტის დახასიათებაში, მა-  
სახებს თბილისის საერთო განაშენიანებაში. ეს რთე-  
ლი, ცალკე კვლევის საგანია.

<sup>17</sup> იმვე არტერიაზე უკან სვლის დროს საგზაო და  
სივრცობრივი კავშირების როლს ასრულებენ: (1)  
შარდენის ქუჩიდან სიონამდის — დიდი სამრეკლო,  
(2) სიონის ქუჩაზე — ორსართულიანი საცხოვრებელ  
სახლის თუქის აფენი (ერეკლე II-ის ქ. 2), ხოლო  
შემდეგ ჩამომსხმულ-მეჭანაიური ქარხნის შენობა,  
გვერდითი ფსადი; (3) ერეკლე II მოედნიდან შეათე-  
ვის ქუჩის გაყოლებით — ანისბატის სამრეკლო  
(ფ. 11).

**მითითებული და გამოყენებული ლიტერატურა**

1 ბერძნული შიშისა, თბილისის გარეგანი სახე  
XVIII საუკუნეში, თბ., 1965.  
2 ბერიძე ვახტანგ, თბილისის სურთომოლოგია,  
1801—1917, ტ. I, თბ., 1960, ტ. II, თბ., 1963.  
3 ბერიძე თეიმურაზ, ... და აღმოკენდა თბილისი,  
თბ., 1977.  
4. კარბელაშვილი მერი, კონწრუარავილი სიონი,  
ჩანებრიძე ნოდარ, თბილისის სურთომოლოგული გზა-  
მკვლევი, თბ., 1958.  
5 მესხია შ., გვერდუწიფიძე დ., დუმბაძე დ., სურ-  
გულაძე შ., თბილისის ისტორია, თბ., 1958.  
6 მ. ღვირილაძე თ. პ., История градостро-  
ительства Тбилиси, автореферат на соискание учен-  
ной степени доктора архитектуры, Тб., 1975.  
7 Цицхадзе Вахтанг, Тбилиси, Архитектура ста-  
рого города и жилие дома первой половины XIX  
столетия, Тб., 1958.



# გიორგი გეგეჭკორი

ლალი ყურულაშვილი

მსახიობის შემოქმედებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როლზე მუშაობის პროცესს: ეს პროცესი ორი ნაწილისაგან შედგება — რეპეტიციები თეატრში და დამოუკიდებელი მუშაობა როლზე. პირველ ყოველთვის ორგანიზებული მსახიობმა წინასწარ იცის, რონელ საათზე უნდა გამოცხადდეს რეპეტიციაზე, პიესის რომელ ეპიზოდებზე იმუშავენ და ა. შ.

სულ სხვაა როლზე დამოუკიდებელი მუშაობა. მას არც განსაზღვრული საათები აქვს, არც რაიმე წინასწარმუშავებული გეგმა. მსახიობი დამოუკიდებლად მხოლოდ მაშინ კი არ მუშაობს, როცა როლით ხელში მაგიდასთან ზის, ან რაიმეს კითხულობს პიესის, მისი ავტორის, ეპოქის, ყოფი: შესახებ, არანედ მაშინაც, როცა ქუჩაში დადის, როცა ისვენებს, როცა ნაცნობებს ესაუბრება — ერთი სიტყვით — ყველგან და ყოველთვის. იშვიათია შემთხვევა, როდესაც მსახიობი ზუსტად ახერხებს იმის განსაზღვრას — სად, როდის, რა ვითარებაში იპოვნა როლის ძირითადი მარცვლი, როლის მიჯნო სახეს. ეს შეიძლება, ერთ შემთხვევაში, მესუბუ-მეექვსე რეპეტიციაზე მოხდეს, შეიძლება — უკანასკნელ, გენერალურ რეპეტიციაზე, შეიძლება ქუჩაში, ან თეატრის სამკერვალოში — როლისათვის კოსტუმის მოზომების მომენტში, ან იქნებ მაშინ, როცა მსახიობი გატაცებით უყურებს ფეხბურთს და თითქოსდა სულაც არ ფიქრობს როლზე, ერთი სიტყვით — ყოველთვის სხვადასხვაგვარად ხდება სახის პოვნა. ერთი კი ცხადია, რეპეტიციებზე და როლზე დამოუკიდებელ მუშაობას მსახიობისათვის თანაბარი მნიშვნელობა აქვს და არასოდეს, აცრვრთის უგულებელყოფა, ზერეულედ მიდგომა, კარგს არაფერს მოიტანს.

საერთო წესიდან გამონაკლისს არც გიორგი გეგეჭკორი წარმოადგენს, როლზე მუშაობის, როლის მხადების პროცესი

მის ცხოვრებაშიც გადამწყვეტია. რაგინდ პატარა მოცულობის, ერთი შექედებით უმნიშვნელო როლიც არ უნდა ხედვამას წილად, იგი ყოველთვის მთელი დატვირთვით, სერიოზულობით მუშაობს რეპეტიციებზეც და დანოუკიდებლადც: სამისოდ მას განსაზღვრული საათები არა აქვს. მუდამ ფიქრობს, მუდამ ეძებს, უკვირდება ყველაფერს, რაც მის ირგვლივ ხდება, იმასსოვრებს. იმასსოვრებს არა მარტო ნანახსა და გაგონილს, არამედ განცდილსაც. იმასსოვრებს და საჭუროების შემთხვევაში გონებისა თუ გრძნობის საღაროდან ამოატივტივებს საჭირო განცდას, სურათს, ფაქტს, პორტრეტს, შემთხვევას, დეტალს, ამოატივტივებს, გადააუშვავებს, მიუსადაგებს დღევანდელ საჭიროებას.

მსახიობი თავისი დროის ღვიძლი შვილია. მისი ტივილებსა თუ სიხარულის სცენაზე გამოშტანი. მსახიობს, როგორც ყველა, სხვა ხელოვანს, აქვს თავისი პოზიცია, აქვს მოთხოვნილება გარკვეულ საკითხებზე ესაუბროს მსყურებელს აქვს გარკვეული სიმართიები და ანტაპათიები ამა თუ იმ ავტორის, პიესის, როლის, რეჟისორის, პარტნიორების მიმართ. მაგრამ მსახიობი, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედებითი კოლექტივის წევრია და არასოდეს არ არის თავისუფალი თავის არჩევანში. იგი, თუ ის ქემშირითი პროფესიონალია, ვალდებულია დაემორჩილოს თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას, ითამაშოს როლი, რომელსაც მას დააკისრებენ. სწორედ ასეთი პროფესიონალია გიორგი გეგეჭკორი. იგი არასოდეს არ ამბობს უარს როლზე იმის გამო, რომ ეს როლი პატარაა. არაერთხელ უთქვამს — საქმე როლის სიდიდეში არ არის, თუ პატარა როლი არის რაიმე სათქმელი, მე ის მირჩევნია ზოგიერთ მთავარსო. არც მაშინ ამბობს გ. გეგეჭკორი უარს როლზე, როცა არ მისწონს. და ან კი როგორ შეიძლება სხვაგვარად. დღიდან თეატრში მოსვლისა, გ. გეგეჭკორიც, როგორც ყველა სხვა მსახიობი, უკმაყოფილო ბევრად უფრო ხშირად ყოფილა მიღებული



ღონ სეზარ ლე ბაზანი — გ. გეგეჭკორი

როლით, ვიდრე გახარებული. მაგრამ უკმაყოფილება არასოდეს გამბარა მისთვის გულგრილობის, არაშემოქმედებითა დამოკიდებულების მიზეზი. გ. გეგეჭკორმა შესანიშნავად იცის, რომ მოსწონს თუ არა როლი, რადგან მასზე მუშაობის, მაცურებელთან შეხვედრაც მოუხდება და მაშინ არც იმას იკითხავს ვინმე — მოსწონდა თუ არა შემსრულებელს მისი როლი და არც რაიმე შედავას დაუშვებს. იცის, რომ, მაცურებელთან პირისპირ დარჩენილი, უკვე თვითონ არის პასუხისმგებელი იმაზე, რასაც სცენაზე აკეთებს. იცის, და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მაცურებლის წინაშე არ შერცხვას, მუდამ პირნათელი იყოს.

გ. გეგეჭკორი არასოდეს ივიწყებს, რომ თეატრი კოლექტიური შემოქმედებაა და თუ მუშაობის დროს მსახიობი გულგრილია, თუ ის არ არის შემოქმედებითად განწყობილი, გარდა იმისა, რომ თვითონ ვერაფერს აკეთებს, იგი სხვასაც უშლის ხელს. ამის უსვლბას კი იგი თავის თავს არასოდეს არ მისცემს. ამიტომ სხვებისგანაც ამასვე მოითხოვს და ყველაზე ძნელად კოლექტის მუშაობის დროს უკურადღებობას, გულდამწვინებებს, უდისციპლინობას, არაპროფესიულ საქ-

ციელს აპატიებს. მას აღიზიანებს რეპეტიციანზე გულგრილი მშვიდი ადამიანის დანახვა. გ. გეგეჭკორი რეპეტიციანზე ყოველთვის მომზადებული მოდის. თავს არიდებს ყოველგვარ გარეშე საუბარს მუშაობის დაწყების წინ, ცდილობს გამოიმუშაოს საჭირო განწყობა და საშინლად ბრაზობს, როდესაც ვინმე ხელს უშლის.

მუშაობა ახალ სცენურ სახეზე, როგორც წესი, პიესის გაცნობით იწყება. „როლზე მუშაობის დროს პირველი შთაბეჭდილება ძალზე დიდ გავლენას ახდენს ჩენს ფსიქიკაზე, — გვეუბნება გ. გეგეჭკორი, — ...პიესის პირველი წაკითხვის დროს მსახიობი ფანტაზიით წარმოიდგენს მონავალ სპექტაკლს, ხოლო თუ როლები უკვე განაწილებულია, თავის მომავალ როლსაც. თუ განაწილება ცნობილი არ არის, მსახიობი გუნებაში ირგებს იმ როლს, რომლის თამაშიც უნდა...“

არის შემთხვევები, რომ გ. გეგეჭკორი პიესის პირველი წაკითხვის დროს რაღაც ისეთს დანახავს, რაც შემდგომ მუშაობაში ძალიან ეხმარება, ხდება პირიქითაც — არაფერი ხელრასაჭიდი, არავითარი სიყვანდე. ასეთ შემთხვევებში მას ძალიან უჭირს, იწყება წვალბება და რევისორთან და პარტნიორებთან ერთად უფრო განზოგნება რაღაცისა, ვიდრე ძიება. თუკი სახეში საძიებელი რამ არის, არ შეიძლება მან თუნდ ოდნავი მინიშნებით მაინც არ გაუღულოს მსახიობს პირველი კითხვის დროს. დიდი მნიშვნელობა აქვს გ. გეგეჭკორისათვის პიესის ენობრივ მხარესაც. თუ პიესის ენა ჟანრის შესატყვისია, თუ ის ზუსტად გამოხატავს გმირების გრძნობათა ბუნებას — ეს უადვილებს სახეზე მუშაობას, გმირის სწორად დანახვას. თუ ენა მიდარია, ხატოვანი, ადვილია გრძნობების, ემოციათა გადაცემა. მაგრამ როცა ენა მძინეა, უსახური, ფრაზები მოუქნელი, გაუმართავი — მაშინ გმირის სულში ჩახედავაც თითქმის შეუძლებელია და მაცურებლისთვის რაიმე აზრის გასაგებად მოწოდებაც. და ასეთ შემთხვევაში, გ. გეგეჭკორი, როგორც ყველა ჭეშმარიტი არტისტი, ცდილობს შეძლებისდაგვარად გაათავისუფლოს თავისი ტექსტი ნაკლოვანებებისაგან, სასიყრთ და სხარტი გახადოს იგი.

თეატრს პრობლემებს, თემებს ცხოვრება კარნახობს. და რადგან ცხოვრება უკიდევანოდ მრავალსახოვანია, პრობლემებისა და თემების გრაციულ უსაზღვროა. ყველას თავისებური გადაწყვეტა ესაქორიება. ყველა პრობლემას, ყველა თემას — შესატყვისი ჟანრი უნდა მოეძებნოს, მოვლენებისა და გრძნობების წარმოსახვის საგანგებო სტილისტიკა. ჭეშმარიტი შემოქმედით-დრამატურგი, გარდა იმისა, რომ აქვს საკუთარი ხელწერა, საკუთარი სტილი, მანერა, ყოველი ახალი ნაწარმოებისათვის ძიებებს იმ ჟანრბრივ და სტილისტურ თავისებურებას, რომლებიც კონკრეტული შემთხვევისთვის იქნება შესატყვისი, რაც მოეხმარება დღევანდელი საოქნელის უფრო ხატოვანად თქმაში. და მსახიობი, როლზე მუშაობის დროს ვალდებულია, თუკი წარმატების მოპოვება სურს, უწინარეს ყოვლისა, იპოვოს გასაღები იმ პიესის, იმ როლის საიდუმლოებათა გასახსნელად, რომელთანაც დღეს აქვს საქმე, მოძებნოს ხერხები, რომლებითაც ამ ჟანრის, ამ სტილის ნაწარმოების სცენაზე უტყუარად გააცოცხლება იქ-

1 Г. Гегечкори — Ответы на анкету Гос. Академии художественных наук, по психологии творчества. (დაბეჭდა მსახიობის პირად არქივში).



ნება შესაძლებელი. სწორად განსაზღვრული ჯანრი, მისთვის სწორად ნაპოვნი გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები მსანიობს შესაძლებლობას აძლევს მაყურებელს გადასცეს, გაუსიაროს თავისი გმირის სურველები, აზრები, გრძობები. სწორედ ამისკენ არის მიმართული გ. გვემქორის ყოველი ნაბიჯი როლზე მუშაობის დროს. როდესაც რეპეტიცი-აზე, რეჟისორთან და პარტიზორთან ერთად პიესისა და როლის ანალიზი გაკეთდება, როცა გარკვეულია, რა ჯანრის ექნება მომავალი სპექტაკლი, გარკვეულია მისი სტილისტიკა, გ. გვემქორი უკვე ყველგან, რეპეტიციებზეც და დამოუკიდებლადაც, ეძებს გამომსახველ საშუალებებს, დეტალებს, ხერხებს, რომ მისი გმირიც შესესივს იმავე სტილისტიკაით იყოს დახატული, როგორცაა — სპექტაკლი, რომ არსად ულალატოს ჯანრს, არ ამვიარდეს საერთო გადაწყვეტილში. ყოველივე ამისათვის მას აუცილებლად სჭირდება თავისი გმირის სურვილების, მისწრაფებების, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ძალზე ნათლად დანახვა, სჭირდება თავისი გმირის ბიოგრაფიის ისევე დეტალურად ცოდნა, როგორც საკუთარი იცის. ჩვეულებრივ, ყველაფერ ამას სწორი მიმართულება რეპეტიციებზე ეძლევა ხოლმე. მაგრამ თუ მუშაობაში გ. გვემქორი შეხვდა ისეთ რეჟისორს, რომელიც პიესაზე მუშაობის ამ გზას არ მიჰყვება (ეს უმეტესად კინოსა და ტელევიზიაში ხდება), მსახიობი ცდილობს იქნისა და თავისი როლის ანალიზი დამოუკიდებლად გააკეთოს, მიახლოებით მანც დაადგინოს როლის გამჟოლი მოქმედება და შეამოცანა, რომლებიც შემდეგ მუშაობის პროცესში უსათუოდ დაუსტდება, განსაზღვროს თავისი გმირის სურვილების

წრე. ყოველივე ეს მსახიობს ეხმარება სახის ბუნების დროულ წვდომაში, როლის მთავარი და მეორეხარისხიანი მოქმედებების უსტად დადგენაში, აქცენტების სწორად განაწილებაში, გმირის ქცევათა ლოგიკის აღმოჩენაში, ნაწარმოების ეანრობრივი თავისებურებით ნაკარნახევი საშუალებების მოძებნაში.

გარდა პიესაში ამოკითხული თუ ფანტაზიით შექმნილი ცხოვრებისა, გ. გვემქორი როლზე მუშაობის დროს უხვად იყენებს ლიტერატურულ და ისტორიულ მასალებს (როდესაც საქმე კლასიკურ ან ისტორიულ პიესასთან აქვს), ცხოვრებისეულ დაკვირვებს, რომლებითაც სულ უფრო და უფრო მიდრეკილება მისი მისხიერების საღარო.

სხვადასხვა შემთხვევაში გ. გვემქორი სხვაგვარად ეძებს მასალებს სახის სულიერ სიღრმეში ჩასახედად. ერთი კი ყოველთვის უცვლელია — დრმა, სერიალური, დაფიქრებული ნუშობა.

როდესაც მასალა შესწავლილია, ხოლო გამჟოლი მოქმედება, ზემოთხანა, ნაკვეთი და ამოცანა-სურვილები დადგენილი, გ. გვემქორისათვის დგება მუშაობის ახალი ეტაპი — დანაწევრებული სახის, თუ შეიძლება ასე ითქვას, — გამოთქლება. ჯერ ნაკვეთები ერთიანდება მოქმედებების მიხედვით, შემდეგ იგება მთლიანი ხაზი, ნაწილდება აქცენტები, ხდება მთავარის წინ წაბოწევა, მეორეხარისხიანის — უკანა პლანზე გადატანა — როლი ინატება შუქ-ჩრდილებით. ეს უკვე სცნაზე მთლიანი, უწყვეტი რეპეტიციების დროს ხდება, და რაც უფრო ცოტაა უწყვეტი რეპეტიციები, მით უფრო დამთავრებულია მუშაობის ეს ბოლო ეტაპი — სახის გამთლიანება. და ასეთ დროს, არც თუ იშვიათად, როლში იგრძნობა სწორი გადაწყვეტა, არის ბევრი კარგი მოგონება, დეტალი, მაგრამ სახეს აკლია მთლიანობა. ასეთ ვითარებაში მთლიანი რეპეტიციების მაფიგრობას გ. გვემქორს უწევს პირველი სპექტაკლები.

როლზე მუშაობის დროს გ. გვემქორისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებას, იმას, თუ როგორი ხერხებით არის გაფორმება შესრულებული, — რატომ სწორედ ასე, და არა სხვაგვარად. დეკორატიული გაფორმებას, სპექტაკლის მხატვრულ გადაწყვეტას უფარდებს მსახიობის თავისი გმირის გარეგნობას თუ შესრულების მანერას, რადგან სწორედ გაფორმებაში ხვდავს იგი სპექტაკლის რეჟისორული გააზრების გარეგან გამოვლენას. ამიტომ უჭირს მას თამაში ისეთ სპექტაკლებში, რომლებსაც მკვეთრად ჩამოყალიბებული რეჟისორული და მხატვრული გადაწყვეტა არ გააჩნია.

სპექტაკლის დეკორატიული გაფორმებასთან უმკაცრეს კავშირში წყვეტს გ. გვემქორი თავისი გმირის გარეგნულ დახასიათებას, მხატვრის მიერ ნაკარნახებ ჩაცმულობას უსადაგებს გრიმსა და პლასტიკას. ზოგიერთი მსახიობისათვის გრიმი არის მხოლოდ საშუალება — რაც შეიძლება მეტად შეიცვალოს სახე. აუცილებელია გრიმის საშუალებით არსებითად განასხვავოს ერთიმეორისაგან ყველა თავისი გმირი. არიან ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება მსუბუქი გრიმი გაიკეთონ, რომ მაყურებელმა უფრო ადვილად დაინახოს მათს არსებაში მომხდარი შინაგანი გარდასახვა, დაინახოს გმირის შინაგანი სახე. ასეთი მსახიობები ხშირად სრულიად უმნიშვნელო დეტალს ჯერდებიან — ჩამუჭებული, ჩაღრმავებული თვალის უკუები, აჯაგრული წარბები, ან პირიქით, სულ ოღნავ შესამჩნევი, პატარა, მოხდენილი წვერი, სუ-

ნიკოლოზ ბარათაშვილი — გ. გვემქორი



ფთად გაპარსული პირი, ან, რამდენიმე დღის გაუპარსავი სახე... ან რომელიმე სხვა წვრილმანი, და უსათუოდ ისეთი, რომელიც გვირის შინაგანი არსიდან გამოიმდინარებოს. სწორედ ასეთებს განეკუთვნება გ. გვეგეჭორი.

დავალაგოთ როლების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გ. გვეგეჭორის ფოტოსურათები, რამდენ რამეს გვეგეჭვიან ისინი... პირველი, რის მიზნითაც არ შეიძლება გულგრილად გვერდის ავლა, ის არის, რომ ძნელად დაინახავთ მათ შორის ისეთს, რომელიც სრულიად არაფერს გეუბნებათ. ყოველი სახე ცხოველ აზრებსა და ემოციებს გამოხატავს, გვესაუბრება, თავის გულში გვახედებს. თვალის ერთი შეადარებინათ კი, უმაღლეს გვატყვევებს ის ნრავალფეროვნება, სახეთა იქ სიმდიდრე, ხასიათების ის სიმძაფრე, რომელიც ჩვენს წინ გადაშლილი ფოტოებიდან გვიმზურს. ხოლო თუ უფრო დრმაღ სხვაგვარი დებიოთ, დავინახავთ, თანდათანობით როგორ იცვლება მსახიობის დამოკიდებულება გრიმისადმი. შემოქმედების პირველ წლებში გ. გვეგეჭორი რთულ გრიმს იყენებდა. შემდეგ თანდათან დაიწყო გრიმის განსუბუქება, სახის განაჩიბისუფლებაც შედგებოდა ტვირთისგან, შეინარჩუნა მხოლოდ სიფაქიზე და დახვეწილობა გრიმის ხელოვნებაში. ბოლო წლების ფოტოებზე, მიუხედავად მინიმალური გრიმისა, მსახიობს სახე ყოველთვის შეცვლილი აქვს. იმიტომ რომ, იცვლება თვალები. თვალები, რომელთაც გრიმს ვერ გავკეთებ, პარიკს ვერ ჩანოაქმევ, წვერსა და უღვას ვერ დააკრავ. თვალები, რომელთათვისაც გრიმიც, პარიკიც, წვერულვამიც — შინაგანი გარდასახვაა, გვირის შინაგანი არსის

განსხვავებულობა. მაგრამ გრიმის მინიმუმამდე დაყვანა მსახიობისთვის როდი ნიშნავს — არ იფიქროს გრემიჭეუბრა, რაც უფრო მსუბუქი ხდება — გვეგეჭორის გრიმს — შინაგანი უფრო მეტ დროს ანდობებს მსახიობი იმ ერთადერთი დეტალის პოვნას, რომელიც მის გვირის დახასიათებაში დაეხმარება შესაქმნელი სახისათვის საჭირო დამახასიათებელ შტრიხებს. გ. გვეგეჭორი ეძებს ფოტოში შესვედრილ დამახასიათებელ, ფერწერულ ტილოებზე, ფოტოსურათებზე, ეძებს ყველგან, ყველა სახეში. არა, ისე ნურავინ გაავიგებს, თითქოს საგანგებოდ ეძებდეს. სადაც არ უნდა დაინახოს საინტერესო დეტალი — იმისთვის, მერე კი, როცა რომელიმე თავისი გვირის სახე აქვს მოსაძებნი, საათობით ზის სარკის წინ, მესხიერების განჯინებიდან ხან ერთ დეტალს ანოილებს, ხან მთორებს, ხან უღვასშ დაიკრავს, ხან წვერს, ხან ორივეს მოიცილებს, მერე კლტაც სხვაგვარად დაიკრავს, მოივრებს სხვა ფორმის წვერსა თუ უღვასშ, თვალებს ხან ჩამაშუქებს, ხან ამოიყვანს, წარბს ხან მაღლა აიგანს, ხან დაბლა დაუშვებს. ხან შვირ წარბს გაავიგებებს, ხან ძლივს დასანახს. თმას ხან ასე გადაივრცენის, ხან ისე.

არანაკლები ყურადღებით ეკიდება გ. გვეგეჭორი გვირის გარეგნობის სხვა მხარეებსაც — მაგალითად, პლასტიკას, რომლის სახიერებაზე ბევრად არის დამოკიდებული შექმნილი რაბის სახიერება: ეძებს მხოლოდ და მხოლოდ ამ სახისათვის შესაფერ სიარულს, ნიძრათობებს, შესტს...

და ბოლოს, კიდევ ერთი. პლასტიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ტანსაცმელი, აქაც ყველაფერი ყოველთვის ზუსტად უნდა ქონდეს გააზრებულთ, უფვეწლად უნდა იცოდეს — რა აცვია მის გვირს, როგორი ქუდი ახურავს, როგორი ფეხსაცმელი... შარვალი... პერანგი... პიჯაკი... მორგებულ აქვს ტანსაცმელი თუ, პირიქით, უგერტიოდ მოჩაწული... ახალი აცვია თუ ძველი... ხომ არ მზარობს ხელჯობს, ან სათვალეს... თუ ხმარობს — როგორ... ან მისასხამი რომელი ეპოქისა სჭირდება.

ტანსაცმელი კარნახობს მოძრაობებს — ჩოხას და აზიურ ჩემქას სხვანაირი ნიშნებრა შეტყფრის, მაღალყვლიან ესპანურ ჩემქასა და მოსასხამს — სხვანაირი, სამხედრო ფორმას — სხვა, თანამედროვე კოსტუმს — სულ სხვა... სულ უბრალო მაგალითი — საციოდავად მზრებჩამოყრილი, პერანგამოჩაჩული პატიმარი ტვირან გულოიანი, რაწამს გამცემლი-ძისეული მოხდენილი პიჯაკი მზრებზე მოიგოდ — წელში გასწორდა, თავიც სხვანაირად უჭირავს... მზრებიც... პერანგიც გაისწორა... და ეს ხდება ჩვენს თვალწინ, სცენაზე, ერთ წამში...

ან კიდევ — დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში შემოსულმა მსახიობმა გ. გვეგეჭორმა ჩამოსხნა საგამოფერო ვიტრინიდან ყაბალახი, დაუდევრად მოიგოდ მზარზე და მისი პლასტიკა წამს შეიცვალა. ის უკვე ისე დადის, ისე მოძრაობს, როგორც მისი გვირი...

და რადგან ასე დიდი მნიშვნელობა აქვს გ. გვეგეჭორისთვის ტანსაცმელს, ბუნებრივია, რომ ის ძალზე მომთხოვნი, ჭირვეულიც კი არის, როდესაც საქმე მის შეკვრებას თუ მორგებას ეხება. ძალზე ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმასაც, რომ მიღებული ესკიზი ზუსტად შესრულდეს, იმასაც, რომ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იყოს შეკერილი — ადგილზე იყოს ყველა ნაკვიცი, ყველა ხაზი, ყველა დიდი, ყველა დუგმა. თუ საჭიროა ცხვირსახიოცი, ის ყველა რეპეტიციზე უნდა ქონდეს აკიბილი. და კიდევ ერთი აუცილებელი — ტა-

ჰამლეტი — გ. გვეგეჭორი





წუ და ფეხზე ყველაფერი ისე უნდა ჰქონდეს მორგებული, რომ არსად არაფერი უჭერდეს, ხელს არაფერი უშლიდეს, არაფერი იპყრობდეს მის ყურადღებას მაშინ, როცა ეს ყურადღება როსს ეკუთვნის. ამიტომ იქცევა გ. გვეშკორისათვის ტანსაცმლის შეკერვა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად თეატრის ხარაზისა თუ მკერავისათვის. ამიტომ არის მსახიობი ყოველი მოსინჯვის დროს ასე ახრებულ.

როდესაც გრიმი დაუსტებელი აქვს, კოსტუმი კი მორგებული, თავისად ქვეული, როცა მსახიობი დაუფლავლია სახეს, მას უკვე ისე ღრმად აქვს გამჯდარი ფსიქიკაში გმირის მოღაიანი არის, რომ შეუძლია უგრძობად და უკოსტუმოდ, საკონცერტო შესრულებითაც წარმატებით გაითამაშოს როლი. ასეთი შემთხვევები მსახიობს ჰქონია, როდესაც ვისინე შემოქმედებით საღამოზე რომელიმე როლის ნაწყვეტი გაუთამაშებია.

რადგან რუსთაველის თეატრის მსახიობთა დღევანდელი წამყვანი თაობა თანამედროვე ანსამბლური თეატრის შექმნისათვის იღვწის, კოლექტიურ შემოქმედებას ამკვიდრებს, უკვე თავისთავად ცხადი ხდება, რომ აქ ცალკეულ მსახიობთა გამარჯვება კი არ არის მთავარი, არამედ მტკიცედ შეკრული სპექტაკლის, სახეთა მწყობრი სისტემის შექმნა.

ამიტომ აქვს გ. გვეშკორისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა როლზე მუშაობის დროს იმას, თუ ვინ არიან და როგორ მუშაობენ მისი პარტნიორები. რამდენადაც უფრო ადვილად, ნაღვ პოულობს სახეს პარტნიორი, იმდენად უადვილდება მუშაობა გ. გვეშკორისაც. და პირიქით, თუ პარტნიორს უჭირს სახის პოვნა, თუ პარტნიორი იბნევა, წვალობს — ეს მასაც ხელს უშლის. ასევე რეჟისორთან ურთიერთობაშიც — როდესაც გმირის სახის გაგებაში მსახიობის და რეჟისორის აზრი ერთხვევა ერთმანეთს, მუშაობა ადვილია და სასიხარულო, ხოლო თუ გააზრებაში რაიმე არსებით განსხვავებას აქვს ადგილი, მუშაობა უძნელდება. და მსახიობი ცდილობს, ან საკუთარი თავი გადაარწმუნოს, ან რეჟისორი, და მიაღწიოს ურთიერთგაგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოქმედება არ გამოვა.

თუ რაიმე მიზეზით ვერ მოახერხა პარტნიორთან კონტაქტის დამყარება, გ. გვეშკორს არ გამოსდის მასთან საერთო სცენები და ირდევს როლის მთლიანობაც. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან სპექტაკლში ყველა და ყველაფერი ერთმეორეზეა გადაჯაჭვული. და რადგან მისთვის ასე დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორს, ამიტომ არის გ. გვეშკორი თვითონაც განსაკუთრებით გულსხმიერი თავისი პარტნიორებისადმი. გულსხმიერი და თან მომთხოვნი. ამის გამო არის იგი ერთხმად აღიარებული საუკეთესო პარტნიორად; ამის გამო უხარია მასთან მუშაობა ყველა მსახიობს.

სხვადასხვაგვარად ხდება მსახიობი მიერ მხატვრული სახის დაუქმება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. გ. გვეშკორს ზოგჯერ სახისათვის პირველ რეპეტიციებზევე მიუბნია, ზოგჯერ გმირის სულიერ ცხოვრებას თანდათანობით ჩაწვდომია, მაგრამ ისიც მომხდარა, რომ ბოლომდე, უკანასკნელ რეპეტიციამდეც კი ვერ მოუხერხებია იმ რადაც იღუპლის პოვნა, რის გარეშეც როლი არა და არ გამოდის. თითქმის ყველაფერი ნათელია — სახეს კი ვერა და ვერ უახლოვდება. ყოველთვის რაღაც უსტატება ხელიდან...

ხდება ხოლმე, რომ სცენური გმირი მაყურებელამდე დაუსრულებელი სახით აღწევს და, მიუხედავად ამისა, მსახიობი-



ქები სტოკანი — გ. გვეშკორი

სათვის პრემიერის დღეს მთავრდება როლზე მუშაობა. სულ სხვაგვარია გ. გვეშკორის აქტიური ბუნება. ის წარმატებით ნათამაშებ როლზეც კი არ წყვეტს მუშაობას, და ნიუ უფრო — დაუსრულებელ სახეზე. ის ექებს თავის შეცდომებს, ექებს სად რა დააკლო, სად რაში გადააჭარბა, და ყოველთვის პოულობს რაღაც ახალს.

ყველაფერი, ყოველდღიური ცხოვრების ყველა წერილობითი ვლინდება გ. გვეშკორის მაღალი პროფესიონალიზმი, და ამავე დროს, იმამიც, რომ იგი თეატრში ყოველთვის დანიშნულ დროზე ბევრად ადრე მოდის. მოდის შინაგანად მოზადებული, დასვენებული. საკანმულოში შესვლისთანავე გულდასმით ამოწმებს ტანსაცმელს — ხომ ყველაფერი წესრიგშია, ხომ კარგად არის დაუთოებული, გაწმენდილი. შემდეგ ამოწმებს თავის პირად რეკვიზიტს და დამშვიდებულ უჯდება გრიმს, ემზადება წარმოდგენისათვის, ემზადება საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე წარსადგობად. და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი წარმოდგენის დაწყებას სრულიად მომზადებული ხდება, ერთსა და იმავე როლს იგი ყოველთვის ერთნაირი სიძლიერით ვერ თამაშობს. იმისათვის, რომ მაქსიმუმი მისცეს დღევანდელ წარმოდგენას, მსახიობი-

სათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიონების დღევანდელ განწყობას.

მაყურებელთან კონტაქტის დასამყარებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსახიობის პირველ გამორჩენას სცენაზე, პირველი ყვანის, პირველი სიტყვის ზუსტად იმდენ დატვირთვას, რამდენიც დარბაზთან უსილაგი ძაფებით დაკავშირებული სათვის არის აუცილებელი. გ. გეგეჭკორი ყოველთვის გრძნობს მაყურებელთა დარბაზის განწყობას და ეს ეხმარება კონტაქტის დამყარებაშიც, როლის შესრულებაშიც. მაყურებლის სწორი რეაქცია მისთვის მასტიმულირებელია. თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ მსახიობი სცენაზე თავს კარგად გრძნობს, ყველაფერს ზუსტად ასრულებს, პარტიონირებიც კმაყოფილი არიან მისით, მაყურებელი კი გულგრილი რჩება. რაღაც დააკლდა, ძალიან პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი... და მსახიობი ცდილობს იპოვოს ის „რაღაც“.

გ. გეგეჭკორის გამოსვლა სცენაზე ემოციურად და აზრობრივად იმიტირებს არის საესე, რომ სცენაზე ყოფნა მას ყოველთვის დიდ სიხარულს ანიჭებს და კიდევ იმიტირებს, რომ მერამდინადაც არ უნდა თამაშობდეს როლს, ის ყოველთვის ისე თამაშობს, როგორც პრემიერას. ყოველდღე, დღევანდელი მაყურებლისათვის, ახლად თანაშობს პრემიერას. ეს კი მაყურებლისადმი მსახიობის უდიდესი პატივისცემის გამოხატვაა.

მისი ხელოვნება უაღრესად თანამედროვეა — აზრი ყოველთვის ქმედითი, აქტიური, ემოციური — ძუნწი, შეგავშირებული, შინაგანად საესე.

მოულოდნელობითაა აღსავეს თეატრის ცხოვრება და ხშირად ეს მოულოდნელობები ძალზე რთულ ვითარებაში აყენებენ ხოლმე მსახიობს. ერთ-ერთი ასეთი სირთულეა სპექ-

ტაკლში ერთი მსახიობის ნეორით მოულოდნელი შეცვლა. ამას მრავალი მიზეზი აქვს, უმეტესად კი, მსახიობის უცვლელად დამყოფობა. და როდესაც მსახიობი სხვის მაგილად უცვლელად სპექტაკლში, ეს დიდი გამოცდაა მისთვისაც და სპექტაკლის მონაწილე კოლექტივისთვისაც. და, როგორც წესი, გ. გეგეჭკორი ყოველთვის მაქსიმალურად ყურადღებიანი სპექტაკლში შემთხვევით შესული პარტიონირის მიმართ.

ზოგჯერ მზა სპექტაკლში შეჭავთ ახალგაზრდა მსახიობი, ეს კიდევ უფრო რთულია. გამოცდილს ოსტატობა მაინც დაეხმარება, ახალგაზრდას კი... აქ კიდევ უფრო გულისხმიერია ოსტატი მსახიობი. ცდილობს გაუადვილოს გამოუცდილს მის წინაშე დასმული ძნელი ამოცანისთვის თავის გაართმევა. გ. გეგეჭკორი ყოველთვის, რომ ჭეშმარიტად ჩინებულ მსახიობი სერიოზული, ფაქიზი, ღრმა და ძალზე საფუძვლიანი პედაგოგიც არის.

მაგრამ მზა სპექტაკლში მოკლე დროში შესვლა ხომ მხოლოდ ახალგაზრდების სფეროში არ არის. თვით გ. გეგეჭკორისაც ჰქონია არაერთი ასეთი შემთხვევა.

ერთხელ, რუსთაველის თეატრში მოვიდა ცნობა, რომ თბილისში, საგანგებოდ „სეილემის პროცესის“ სანახავად, ჩამოიღეს საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი არტურ მილერი. იმ დღით, როდესაც ეს ცნობა მოვიდა, სერგო ზაქარაიძე თბილისიდან მიემგზავრებოდა. მას უკვე ერთი კვირა ელოდა გადამღები ჯგუფი. ნიურნული იყო ექსპედიციის ვადა და მსახიობის მეტად დავვიანებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო. საჭირო გახდა სხვა გზის გამოძახება. ეს გზა იყო მინი სხვა მსახიობით შეცვლა. დრო ძალიან მცირე რჩებოდა — სამი დღე. თეატრის კელმძღვანელობა საკონტრაქტო ჩავარდა. ექვბდნენ შეხვედრის ხელშეწყობას. დიდი ხნის ფიქრის



ბესიგენოვი — გ. გეგეჭკორი („მდაბინი“)

ბეკია — ს. ზაქარაიძე, პლატონი — გ. გეგეჭკორი („სამანიშვილის დღინაც-ვალი“)






შემდეგ არჩევანი გ. გეგეჭკორზე შეჩერდა. და არც შემც-  
დანა.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გ. გეგეჭკორის ცხოვრე-  
ბაში გასტროლებს. ისევე, როგორც ყველა ტუმშიარტ მსახი-  
ობს, ნასაც უყვარს ახალ მაცურებელთან შეხვედრა, მის სა-  
მსჯავროზე თავისი ქმნილებების გატანა. სასისხარულთა და  
ამაღლებელი მსახიობისათვის ახალი, ახლად შექმნილი  
სახის თავისი, მუდმივი, ნაცნობი მაცურებლისათვის ჩვენი-  
ბა, რომელიც კარგად გიცნობს, რომელსაც კარგად იცნობ,  
რომლისაც გესმის შენ და რომელსაც ესმის შენი. მაგრამ  
სულ სხვაგვარად ამაღლებელია შეხვედრა უცნობ მაცურე-  
ბელთან.

მაგრამ გასტროლები მარტო უცნობ მაცურებელთან შეხ-  
ვედრის სისხარული როდია — ეს არის უცნობი სცენა, რო-  
მელიც ხშირად შენი თეატრის სცენაზე უფრო პატარაა და,  
მამსადაზე, ბევრი რამ იცლება სპექტაკლის გაფორმებაში.  
ეს არის უცნობი კულისები, სადაც მსახიობი თავს საკმაოდ  
უბერხულად გრძნობს. ეს არის უცხო საკაზმულო, სადაც  
ხშირად ყველა ერთად იკეთებს გრიმს, სხვისი მაგიდა, სარ-  
კე... ეს არის უცნობი დარბაზი და ხშირად მსახიობმა არ  
იცის, როგორ წარნართოს ხმა, რომ თავისი სიტყვა ყველას  
მიაწვდინოს. ერთი სიტყვით, ბევრი რამ არის უცხო და ხე-  
ლის შემშლელი. ხშირად გასტროლებს თან სდევს დადლი-  
ლობა, მოუწყობელი ყოფა, საუკეთესო შემთხვევაში — კარ-  
გი, მოხერხებული ნომერი სასტუმროში, მაგრამ აქაც ხომ



მაქსიმე ნემსიწვერაძე — გ. გეგეჭკორი,  
გატანვ კვლედიძე — ე. მაღლაშვილი  
(„ჩვენი თანამედროვე“)

ნათანი — გ. გეგეჭკორი, რუზა — მ. ჯი-  
ნაშია („ნათან ბრძენი“)

აბაკუსი — გ. გეგეჭკორი („მონოლოსი“).



ყველაფერი უცხოა, უჩვეულო. და, მიუხედავად ყოველივე ამისა, გასტროლები მსახიობისათვის ყოველთვის სასურველია. რადგან რაც უფრო მეტ მაყურებელს შეხვდება, რაც უფრო ბევრ ადამიანებს აზიარებს თავის ხელოვნებას, ნით უფრო ბედნიერია მსახიობი. სწორედ ამიტომ უყვარს გასტროლები გ. გეგეჭკორს.

განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს თეატრს და განსაკუთრებით რთულია გამოსვლა ისეთი მაყურებლის წინაშე, რომელსაც შენი ენა არ ესმის. მსახიობისათვის ასეთი გასტროლები ერთიადად უფრო მძიმე გამოცედა. თუ ჩვენ შევთანხმდით, რომ მსახიობის ხელოვნებამ უმოთაგრე- ის არის სიტყვა, სიტყვიერი ქნედავმა, იმასაც მიივლევით თუ რა სირთულეს უქმნის მსახიობს ენობრივი ბარიერი.

გ. გეგეჭკორს კი ასეთ პირობებში ბევრი როლი უთამაშია. მოსკოვში: მონტანო, ბატინიშვილი ივანე, ექვთიმე ქათამაძე, ქორო („ისინი შეხვდნენ ერთმანეთს“), გაიოზ ვადალენდია, დონ-ხაიმე, კოტე მათიაშვილი, გლოსტერი, ბ-ნი შალვა, მგელი, პლატონ სამანოვილი... კიევში: მონტანო, კაცი მანტიო, ექვთიმე ქათამაძე, ვერვანში: — გლოსტერი... და ყოველთვის დირსხულად გამოსულა მაყურებელთან ამ „ორ-თაბრძოლიდან“, ტაში, მრავალი მილოცვა, გულთბილი სიტყვა, პიესისა და თეატრალური სასოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაუმსახურებია. გამარჯვებული, ფრთაშესხული დაბრუნებულია მშობლიურ ქალაქში, თავის მაყურებელთან.

თუ საპასუხისმგებლოა საერთოდ ყოველი საგასტროლო მოგზაურობა, მით უფრო მნიშვნელოვანია და პასუხისმგებელი მოგზაურობა საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ — შეხვედრები უცხოელ მაყურებელთან. არც ამ რიგის სიხარული დააკლდა გ. გეგეჭკორს. რუმინელმა მაყურებელმა მისი შესრულებით ნახა მგელი და არაშადა, თაღლითი ნაე კაცყანეუ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და პოლონეთის სასოგადოებამ — პლატონ სამანოვილი, თარხანა („მინის შვილები“) და კვლავ მგელი, 1974 წლის ივნისში გ. გეგეჭკორის პლატონ სამანოვილს შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საანრიუკენის მცხოვრებნი, 1977 წელს კი მექსიკელი მაყურებლები. ყოველი ეს შეხვედრა ორმხრივი სიხარულით მთავრდებოდა. მაყურებელი ენობრივად საკარგიველს ხელოვნებას, მისი მოწინავე თეატრის — რუსთაველის თეატრის კოლექტივს და გ. გეგეჭკორის სახით, ამ კოლექტივის ერთ-ერთ წამყვან მსახიობს, თვით თეატრი და გ. გეგეჭკორი კი იმკიდნენ წარმატების სიხარულს, ახალ, უცხო მაყურებელთან შეხვედრას სიხარულს.

გ. გეგეჭკორი მუდამ გასაოცარი დატვირთვით მუშაობს. მისთვის თითქმის არ არსებობს დასვენების დღე. მსახიობის ჩვეულებრივი დასვენების დღე — ორშაბათი — გ. გეგეჭკორის ცხოვრებაში, ვფიქრობთ, სხვა დღეებზე უფრო მეტად აკია დატვირთული. ძირითადად სწორედ ორშაბათებზე მოდის მსახიობის მუშაობა რადიოში, ტელევიზიაში, ორშაბათ-

ისათვის იგეგმება უნიტარესად გადაღება თუ გახშირდება. გრამფირფიტებზე ქართული ლიტერატურის საკუთრივ ნიმუშებისა თუ ზღაპრების ჩაწერა საშუალო სყოფლისათვის. ორშაბათისთვის, და ყველა სხვა დღეებში — თეატრიდან თავისუფალი საათებისათვის. გ. გეგეჭკორისა და მრავალი მისი კოლეგის სამუშაო დღე მეტწილად დილის 9 საათიდან იწყება — ამ დროს ან კინოსტუდიაში წინა დღიდან დარჩენილ კადრებს ამოვანებენ თეატრში რეპეტიციის დაწყებამდე, ან რადიოში ერთი-ორი პატარა ლექსის, იგავის, ზღაპრის ჩაწერას ასწრებენ. რამდენე — რეპეტიცია (ეს მაშინ, როცა გ. გეგეჭკორი თეატრში რაიმე რთულ, მნიშვნელოვან სახეზე არ მუშაობს). რეპეტიციის შემდეგ ისევ — რადიო, ტელევიზია ან დებლიაგი. ხოლო თუ სადამის რეპეტიცია ან საქმეტაკლი არა აქვს — მაშინ დღის მეორე ნახევარი გადაღება შეიძლება დაეთმოს.

ასევე გადატვირთული აქვს მეტწილად გ. გეგეჭკორს ზაფხულში. ვარდა რაიმე განსაკუთრებული შემთხვევისა (ზამთრის ნატურის გადაღება...), კინოსტუდიაში ხომ ექსპედიციებს ჩვეულებრივ ზაფხულს უკავშირებენ: ამ დროს ბუნება უფრო ლამაზია და უხვი, ნატურაზე მუშაობა უფრო ნაყოფიერი, დღე გრძელი, ამინდები — სტაბილური, თეატრებიდან მსახიობები თავისუფალი არიან. და ეკრანზე მაყურებელთან შეხვედრას, კინოს მეტად მომზობილად, მაღაზრებელ ხელოვნებასთან ზიარებას, მსახიობი წონარავს დასვენებისათვის განკუთვნილ დღეებს — ნთელ დღეს მზის გულზე, ხშირად კარგა თბილად ჩაცმული, მძლავრი იუპიტერების შუქს ქვეშ ატარებს. თუ ზაფხული კინოგადაღებისაგან თავისუფალი აქვს, გ. გეგეჭკორი ცდილობს ეს დრო სხვა საინტერესო, სასარგებლო საქმისათვის გამოიყენოს. ან ტელევიზია შეათავაზებს საინტერესო სამუშაოს, ან გრამფირფიტების ჩაწერაზე მიიწვევენ, ან რაიმე სხვა სამუშაო გაუწოდება.

გ. გეგეჭკორის სამუშაო მაივდახვ ყოველთვის ნახავთ გადაშლილ როლს, ახალ ჟურნალს, ახალ წიგნებს თეატრის, კინოს, მუსიკის, მსატვრობის, სპორტის შესახებ, სასთუმალთან — ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან სიახლეს, ლექსებს, მოთხრობებს, რომანს, პიესას.

გ. გეგეჭკორი სახეობი ხელოვნების ყველა დღი და პატარა განოვრცის აუცილებელი სტუმარია, თბილისის თეატრების ყოველი სიახლის მაყურებელი.

მსახიობს სამუშაო დღე 9 საათიდან იწყება. ეს. ალბათ, არც მთლად სწორია. ვაცლებით უფრო ადრე მას უკვე როლი ან წიგნი უჭირავს ხელში. როდის თავდება სამუშაოდ? ძალიან გვიან....

ხელ კი ყველაფერი თავიდან დაიწყება.



## ჯეშალ

## ზუცვიშვილი

## ფერ შავულოძე

ამას წინათ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შენობაში მოწყობილი ფერმწერალ ჯეშალ ზუცვიშვილის გამოფენა.

ჯეშალ ზუცვიშვილი, როგორც თვითმოყოფადი ნიჭისა და თავისებური ხელწერის ხელოვანი, ფართო აუდიტორიის წინაშე პირველად თვითნასწავლი და ხალხური შემოქმედების მსატყართა 1966 წლის გამოფენაზე წარსდგა და მამინვე მიიქცია როგორც სპეციალისტთა, ასევე ფერწერის მოყვარულთა ყურადღება. ლაღო გუღიაშვილი წერდა:

„პირველ რიგში გამოყოფო ჯეშალ ზუცვიშვილს, მისი ბოლო ნამუშევრები ხალხური შემოქმედებისა და პროფესიონალიზმის მიჯნაზე დგანან. იგი მოვლენად მიგვარჩნია. ძნელია ასე იპოვო ყველაფერი საკუთარი — ჯუა, კოლორიტი, შესრულების მანერა, სტილი“.

იმავე წელს მოსკოვში ჯ. ზუცვიშვილის ორბერსონალური გამოფენა მსახველთა ფილმების კიდევ ერთი თვით განანგრძლივდა. მისი გამოფენები ბულგარეთში, გერმანიაში, უნგრეთში, პოლონეთში, მონრეალში...

ამგვარი წარმატების საფუძველს შეადგენდა ჯ. ზუცვიშვილის მკვეთრად ინდივიდუალური ხელწერა, რომელსაც ქმნის როგორც შესრულების თავისებური ტექნიკა, ასევე მის ნამუშევართა განსაკუთრებული სამყარო — რეალური და ზღაპრული ერთდროულად. ეს არის ფანტაზიისა და სინამდვილის, პოეტურობისა და თხრობითობის, ოცნებისა და მოგონების შერწყმა, რომელსაც მშობლიურა მიწის სიყვარული ასაზრდოებს.

ადამიანმა უნდა იცხოვროს ამ დედამიწაზე, თვალნათლივ დაინახოს იგი, და ასახოს მისი მშვენიერება, ირწუნოს მისი მნიშვნელობა და მარადიულობა. ჯეშალ ზუცვიშვილმა, ალბათ, განვლო ამგვარი (ან თითქმის ამგვარი) შემოქმედებითი გზა, რომელმაც იგი მიიყვანა თავისი ხელოვნების ძირითად თემამდე, ძირითად მიზანსამდე. მის პირველსავე ნამუშევრებში, შესაძლოა, თავდაპირველად სტიტიურად, შემდეგ კი — სულ უფრო გაცნობიერებულად იზრდებოდა და გამოკვეთილ, ჩამოყალიბებულ სახეს იღებდა მშობლიურ მიწასთან, სამშობლოსთან სულიერი კავშირის გრძნობა. ამ გრძნობას მიჰყავდა იგი სათანადო სტილისტურ ნიშანთა შერჩევამდე, მიზანდასახულ მოქმედებამდე, თუმავთი განმეორებამდე. საკუთარი ფერწერული მანერის გამოუმუშავებამდე.

ადრეული ნამუშევრები სასეკა პავრით, სინათლით, ფერთა პარმონიული თამაშით და დღესაც გვიზიდავენ აღქმის უშუალოებითა და ფერწერის ცოცხალი ელერადობით, მაგრან მათში უფრო მეტად თავს იჩენს მოწაფური სიფრთხილე, ნაწაველის ჯავგენა, ვიდრე ოსტატის ინდივიდუალური სახე.

გაცილებით საინტერესოა ნი-იანი წლების დასაწყისში შექმნილი სურათები: „ნაფარული“, „მზენელი“, „სოფლის გზაზე“ და სხვა, რომლებიც მომავალ ტილოთა დაბადებას გავამცნობენ. ისინი ერთგვარ ეტიუღურ სასიათს ატარებენ — საწყის სტადიაზე ასახავენ მსატყარის ჩანაფიქრს როგორც ტექნიკური ხერხების, ასევე თმსატყარი შერჩევის თვალსაზრისითაც და ამის გამო ძირითადად დაუთმავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ჯ. ზუცვიშვილის შემოქმედებაში ახალი გამომსახველობითი საშუალებების ძიება განაწირობებული იყო დაუწყაყოფილლობის გრძნობით, რასაც იწვევდა მის არსებობა დაფარული ხელოვანის თვითგამოვლენის დაუოკებელი სურ-

ვილი, მას უნდა მიეგნო საკუთარი სულიერი განწყობილების, წარმოდგენების, იდეების შესაბამისი მხატვრული სტილისათვის. იმპრეზიონიზმით გატაცება წარსულს ჩაბარდა. რეალური ცხოვრება მხატვრისაგან სულ სხვაგვარ პირობებშია გადაჭრას მოითხოვდა.

ზოგიერთის აზრით, ხელოვნებაში თვითმყოფადობის შენარჩუნება შესაძლოა მხოლოდ ყოველგვარი მხატვრული მიღწევისაგან იზოლაციის გზით. რა თქმა უნდა, ეს თეორია ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში არ შეიძლება გამართლებული იქნას. იმისათვის, რომ დღეს თვითნასწავლმა ხელოვანმა აირჩიოს სწორი გზა და უარყოს როგორც მიბაძვითი „ორიენტალიზმი“, ასევე მოდერნისტული, ფსევდოხალხური, გაყალბებული პრიმიტივიზმი, იგი უნდა ფლობდეს მოწინავე ესთეტიკურ შესვლულებებს, ისტაბტობის მაღალ პროფესიულ დონესა და, რაც მთავარია, ბუნებით მომადლებულ ნიჭს.

ჟ. ხუციშვილს ახასიათებს გასაღიანი მიზანსწრაფვა. ამ თვისებათა წყალობით უკვე 1962 წელს შესრულებულ „ავტოპორტრეტში“ (ზეთი) ვხვდებით სრულიად სხვა მხატვარს, რომლის პალიტრასა და ფორმათქმნადობის მეთოდს მკვეთრი ცვლილება ეტყობა.

ჟ. ხუციშვილის შემოქმედების ევოლუცია დაიწყო მოცულობით-პლენერულიდან დეკორატიულ-სიმბოლურივით ფერწერაზე გადასვლით, რომლის დროსაც მოხდა სახეობრივი საწყისის გარკვეული უგულებელყოფა. აქ თავი იჩინა მიღებული ინფორმაციის გავლენამ. ახალგაზრდა შემოქმედისათვის განსაკუთრებით მახლობელი იყო დ. კაკაბაძის ლოკალურ, მძვინვარე ფერთა წყობა, ფორმათა თავისებური რიტმი, მაგრამ მისი წარმოდგენები განათებაზე, ფერთა ურთიერთობაზე, ხალხურ ყოფასა და ხასიათებზე მაინც მოითხოვდა რაღაც სხვა, განსხვავებულ დამოკიდებულებას იმ კონკრეტული ისტორიული მომენტისადმი, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა და რომლის ასახვაც შეადგინდა მის მიზანს. აქედან გამომდინარე, კაკაბაძისეული მაკორული ჟღერადობის შიშველ ფერთა გამა ხუციშვილთან კარგავს თავის ძალას — უფრო ყრუ ტონებში გადადის, რის გამოც ირღვევა ფორმათა მატერიალურობა და გამოსახულება დეკორატიულ-სიმბოლურივით ხასიათს იძენს. ახალგაზრდა მხატვარი ორგანულად გრძობს ამ ნაკლს და იძილობს მიაღწიოს დეკორატიულობისა და მატერიალურობის სინთეზს. ყოველი მისი ასლი ნამუშევარი წარმოადგენს კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს ამ სიმწლეუთა დაძლიების რთულ გზაზე. ამას მოწმობენ ამავე პერიოდში შესრულებული ტილოები: „მრავალკამიერი“, „კახელევი“ და „პასტორალი“. სამივე ნაწარმების სიუჟეტი სხვადასხვაა (რაც ავტორის თემატიკური ორიენტაციის გამიღივრებაზე მეტყველებს),




მზის შეილება

შემოდგომა კახეთში







სოფელი ნაფარეული

მაგრამ მათი იდეურ-მორფოლოგიური თვისებები — ფერილობა ერთია — ეს არის შშობილურად განწყობის მატარებელი ცეცხლი, ხალხური ყოფისა და ხალხური სასიამოვნო თვალსაჩინო ხატვის წარმოდგენის სურვილი. შესაბამისად, შეცვლილია გამომსახველობითი მეთოდიც — ხუციშვილი იწყებს პირველადი ხასიათის ლოკალური ფერის ზეობად ტოხალურ დამუშავებას ფუხჯის სიყრდის მთასებებით, მასტეხებითა და ზოგჯერ თითოთუც კი. ყოველივე ეს კეთდება ფორმის მეტი მოცულობითობის მიღწევის მიზნით. მაგრამ სიბრტყობრიობა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დაძლეული, ჯერ კიდევ დაიბნია ფორმული მეთოდი. და, აი, იქ, ახალგაზრდა მხატვარს დამხმარედ მოეგვინა დიდი ფიროსმანი, რომელთანაც მას განსაკუთრებით აახლოვებდა კახეთის პეიზაჟისა და კახელთა ყოფა-ცხოვრების ღრმა სიყვარული — შემოქმედებითი საწყისის ხალხური საფუძველი. ხუციშვილი იმასაც გრძობდა, რომ ფიროსმანის თვითხასიახლოება მკვეთრად განსხვავდება მისი „თვითხასიახლოებისაგან“, ვინაიდან იგი უკვე ნაზიარები იყო როგორც შშობილი, ასევე მსოფლიო ფერწერული ხელოვნების მიღწევებს, თუნდაც საკუთარ ძალებზე დაყრდნობით. სწორედ ამიტომ იგი ვეღარ იქნებოდა მხატვარი-პრიმიტივი, ხოლო ყალბი პრიმიტივიზმი კი მისთვის მიუღებელი იყო. ამ პოზიციიდან გამომდინარე, ხუციშვილი ფიროსმანისაგან იღებს შავი ფერის ტოხალური დამუშავების პრინციპს და კაკაბაძისეულ მკვდერ ლოკალურ საღებავებს ფარავს იმავე ფერთა ჩამოქმედებული ტონების გრადაციული გადასვლით. ამის გამო საღებავთა ფერწერული თამაში რაღაც საიდუმლო იერს იძენს — ერთდროულად ჩამკრალიცა და უცნაურად გასხვიონებულიც. ფორმათქნადლობის კონტურული მეთოდიც სხვა მიმართულებას იღებს. თუ ადრე იგი ლოკალურ ფერთა დამაკავშირებლის როლში გვევლინებოდა, ახლა მოცულობითობის გადმოცემის სამსახურში დგება. ამასთანავე, ხუციშვილი ფიროსმანისეულ სქელ შავ კონტურს გუდაიშვილისეული მოქნილი ნახატის თვისებებს ანიჭებს. ამგვარი ხასიათის კონტური რამდენადაც არღვევს პირობიციუმს, ზღუდავს გამოსახულების დაძაბულ, ექსპრესიულ მოძრაობას და მშვიდ, გაწონასწორებულ, თითქმის სტატკურ პოზაში წარმოგვიდგენს მას, მაგრამ ეს არ არის უსიციოცხო მდგომარეობა — ეს არის შინაგანი, სულიერი მოძრაობის გამოსატყა ფორმალური უძრავობის პირობებში. ამ ცხოველმყოფელ თვისებებს გამოსახულებებს ანიჭებს დინამიკური კონტური, რომლის სისქეც მუდმივ ცვალებადობაშია და, რაც მთავარია, შუქფენილი საღებავების შესანიშნავად მოქმენილი კოლორიტი. ამგვარი გამომსახველობითი ხერხების საშუალებით ფერწერის დეკორატიული

ბებია ნუსო





ოსტატი

რატიული დატვირთვა განუყოფელი ხდება მსაბურთაველი მატერიალური მხარისაგან. გამოსახულება იძენს ხელშესახებ მოცულობითობას, რომელიც აუცილებლობით მოიხიფებს გარემომცველ სივრცეს, რასაც მხატვარი ხელოვნური განათებისა და ფონზე რენესანსული პეიზაჟის შემოტანის გზით აღწევს. ამგვარ ძიებათა შედეგადაა შექმნილი „მხატვარ მაცვალა ჯიქურაშვილის პორტრეტი“ (ზეთი, 1967 წ.), რომელიც, ამასთანავე, წარმოადგენს ნატურიდან პორტრეტის შექმნაში ახალი მხატვრული ტექნიკის გამოყენების ცდას. ეს მხატვრის შემოქმედებაში აღსანიშნავი მომენტია, ვინაიდან იგი უშეტყვად მესხიერებაზე დაყრდნობით მუშაობს.

საერთოდ, ჯ. ხუციშვილს შესწევს გარდასულის იმგვარი შეგრძნების უნარი, რომ მომხდარი ფაქტი მოცემული მომენტისთვის ხელახლა განიცადება, თითქოს წარსული მოცემულია აწყიში, რომელიც გამდიდრებულია გარდასული განცდით, განსაზღვრულია მისით და აღდგენილია მოგონებებში. დროთა კავშირის ინდივიდუალური შეგრძნება წარმოადგეს ამ ხელოვანის მსოფლმხედველობის საფუძველს. წარმოსახვის კანონებითა და თავისუფალი ფანტაზიით შექმნილ ხუციშვილისეულ სამყაროში ვხვდებით ფოლკლორის ელემენტებს. მხატვარი წარსულს, აწყისა და მომავალს აერთებს ეპოსის ისეთივე მჭიდრო კავშირით, როგორც ამას აკეთებდნენ უსახელო ხალხური შემოქმედნი, რომლებიც სამყაროს ხედავდნენ როგორც საკუთარს, ასევე წინაპართა და შთამომავალთა თვალთაგან.

ატენის სიონის ფრესკა

ჯ. ხუციშვილის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის ხელოვნებაში სამყაროს ფოლკლორული ხედვა, კახელი ჯგუფის უშუალო და გულწრფელობა შეუთავსა თანამედროვე ფერწერულ ტექნიკას, კომპოზიციისა და ფერის უნაკლო გრძნობას.

ამ მტიცივ საფუძველზე დაყრდნობით ჯ. ხუციშვილის შემოქმედება განიცდის შემდგომ განვითარებას, რაც გამოიხატება როგორც ფერწერული ეფექტების გამდიდრებით, ასევე სურათის კომპოზიციური წყობისაღმ მიტერფის გაძლიერებით. იგი პერსპექტივის კანონთა გათვალისწინებით პლანებად აგებს სურათს, მაგრამ ისე, რომ თითოეული გამოსახულება ერთნაირი ძალით აღიმართება მაცურებლის წინაშე და ერთნაირად მნიშვნელობს.

„სადღვრძელო“ და „შემოდგომა“ (ზეთი 1967 წ.) — პანორამული კომპოზიციის ეს დიდი ტილოები აღიქმება, როგორც ცხოვრების უწყვეტი ნაკადის თავისებური კადრი. ნაწარმოებთა კოლორიტი, სიუვეტური წყობა გადმოგვცემს ზეიმის პოეზიას, მის ცოცხალ, მოუსვენარ რიტმს.

მნიშვნელოვანად იცვლება ფორმატივადობის მეთოდიც — ხუციშვილს აღარ აკმაყოფილებს






ერთკონტურული ნახატი. მოცულობათა უფრო უკეთ გადმოცემის მიზნით იგი ქმებს ახალ ხერხებს. ამ მხრივ საინტერესოა მის მიერ 1968 წელს დაწერილი ტილო „სამი თაობა“, რომელშიც ავტორი შავი კონტურის ნაცვლად ფორმას შემოწმებს „თეთრას“ მკვეთრი და დინამიკური ხაზით.

ჯ. ხუციშვილის ნამუშევრებში დროის დისტანცია ყოველთვის დარღვეულია, რაც სიუჟეტთა განმეორებადობაში ვლინდება. მიუხედავად ამისა, მხატვრის თემატური ინტერესების სახელგერბო თანდათანობით ფართოვდება და უფრო მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვეობას. თანამედროვეობა კი მისთვის არ წარმოადგენს მხოლოდ მოცემულ მომენტს. იგი გაცილებით ფართო ცნებაა, რომელიც დაკავშირებულია როგორც აწმყოსთან, ასევე წარსულსა და მომავალთან. ახალთან ძველის დაახლოება, და ძველში თანამედროვეობის თვალთ ჩახედვის აუცილებლობა კარგად არის გადმოცემული სურათზე „არქეოლოგი“ (ზეთი. 1970 წ.). ანალოგიური თემის სიუჟეტურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს ნამუშევართა მთელი სერია: „პაპა და შვილოშვილები“ (1970 წ.), „პაპის იმედი“ (1976 წ.) და სხვა, რომლებშიც თაობათა კავშირის საფუძველზე განვითარებულია დროის უწყვეტობის იდეა.

მხატვარი სადიდებულ ძიძნს უძღვნის ხალხის შრომით საქმიანობას („ოსტატი“ — 1967 წ., „მეპურები“ — 1967 წ., „მეცხვარე“ — 1968 წ., „ვაზო, შვილივით ნაზარდო“ — 1970 წ., „ხელსაქმი“ — 1970 წ., „გლესაგ და გლესაგ, ნამგალო“ — 1975 წ. და სხვ.); ნაზად, ლირიკულად უმღერის სიყვარულის მარადიულ გრძნობას („ნუ შეგხედავთ ერთმანეთს“ — 1965 წ., „ლირიკა“ — 1968 წ., „იდილია“ — 1971 წ., „სიყვარულის მოტივი“ — 1975 წ., „გაზაფხულის მზე“ — 1976 წ. და სხვ.). განსაკუთრებული თბილი განწყობით გადმოგვცემს მხატვარი მშობლიური სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობას. აქ დედისა და პირმშოს ურთიერთობა ღვთაებრიობას იძენს, რის გამოც ნამუშევრები ხატურის ერთგვარ ნიშნებსაც კი ატარებს. ზოგჯერ სახელწოდებაც ამტკიცებს თემისადმი ავტორის ამგვარ დამოკიდებულებას, მაგალითად „წინინდა ოჯახი“ (ზეთი. 1968 წ.). მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის რელიგიური ხასიათის ტილო — ეს არის თანამედროვეობის პოზიციიდან დანახული ოჯახის მარადიული სიმშინდის პოეტური გააზრება.

წარსულისადმი პატივისცემა გამოიხატება ჯ. ხუციშვილის მიერ შექმნილ მოხუცთა სახეებში. („მოხუცები“ — 1967 წ., „გლების პორტრეტი“ — 1966 წ., „ვაზო, შვილივით ნაზარდო“ — 1969 წ., „ოსტატი“ — 1977 წ., „სასკები“ — 1977 წ., „პაპის იმედი“ — 1976 წ. და სხვ.). ეს თეთრწვერა, თეთრთმიანი ადამიანები



სიმღერა

გასხივოსნებული არიან შინაგანი კეთილშობილებითა და დროთა ვითარებაში შეძენილია სიბრძნით.

მშობლიური მიწის სიყვარულით არის გათბარი ჯ. ხუციშვილის პეიზაჟები: „ერემი“ — 1975 წ., „ბაზილიკა“ — 1973 წ., „იმერეთი“ — 1975 წ., „საღამო სოფელში“ — 1977 წ., „პეიზაჟი“ — 1976 წ., და სხვა მრავალი. აქაც წარსული და თანამედროვეობა მჭიდროდ გადაჭიდობია ერთმანეთს და ერთნაირი ძალით წარმოგვიდგენენ საქართველოს ლანდშაფტის განუმეორებელ, თვითმყოფად სილამაზეს. მხატვარი თითქოს გაიკეზებული დგას გარემომცველი ბუნების მუსიკალურად ფერადობანი მწვენიერების წინაშე. ეს გაიკეზა და აღფრთოვანება აქცეფს მას შემოქმედად, იმ სამყაროს შინაგანი და გარეგანი სილამაზის მიმღერლად, რომლის დეკლი შვილიც თვითონ არის. ხუციშვილის პეიზაჟების თემა სომ მისი მშობლიური მხარეა, მაგრამ არსებითად ეს არის უსახლგრო სამკაპრო, რომელიც სათავეს იდებს მხატვრის გრძნობებიდან, ფიქრებიდან და უკიდევანოდ შორის ვრცელდება.

ჯ. ხუციშვილის, პირველ რიგში, მოგონების მთლიანი არსი ინტერესებს და არა მისი კორექტული მხარეები. იგი სწორედ ამ პოზიციიდან ასახავს სამყაროს, რომელსაც, რა თქმა უნდა, ტი-

ლოზე გადმოცემის შესაძლებლობათა ზომებამდე ამცირებს. ეს სამყარო სურათიდან შემოგვექმნას ცოცხალი სახით ისე, თითქოს სულ ახლახან აღმოცენდა, როგორც აღმოცენდება ხოლმე მოგონება ან ოცნება. ჩვენ შემოსევვით არ ვახსენებთ ეს სიტყვები: „საღამო სოფელში“ — მართლაც, ოცნებისა და მოგონების საოცარი შერწყმა. ეს რომ ოცნებაა, ამაზე მეტყველებს ასახული არაჩვეულებრივი სიღაბაშე და მუსიკალურობა. თითქოს პოეტური შთაგონებითა და წარმოსახვით შექმნილი უპილაგი გარემოდან ჩვენში იჭრება „სამოთხის სიმღერა“. მაგრამ რა ვასაოცარ ეთნოგრაფიული სიზუსტით არის გადმოცემული სახლის აივანი, მისი რიკულები, ჭიშკარი, ღობის ქვის წყობა... ეს კონკრეტულად დაწერილი დეტალები უკვე ოცნება კი აღარ არის, არამედ მხატვრის მოგონება იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა ბავშვობისა და სიზბუქის წლებში.

ჩვენ უკვე აღვინშნეთ, რომ ჯ. ხუციშვილი ხატავს არა ისე, როგორც ხედავს, არამედ ისე, როგორც აღიქვამს დახატულს. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს მის მრავალრიცხოვან ნატურმორტებში. ერთი შეხედვით, ისინი ფორსმანი-სეული ტილოების გამოძახისლ წარმოდგენს, მაგრამ სინამდვილეში მათში ხორცშესხმულია ავტორის ცოცხალი და მორთოლუარე აზრი, რომელიც გვამცნობს ორიგინალურ, ხუციშვილი-სეული ხედვის არსს — მხატვარი ხომ სამყაროს აღიქვამს, როგორც უძველესი ზღაპრებისა და სიმღერების მოქმელები. ამიტომ მისი ნატურმორტები (და საერთოდ, ნებისმიერი ნამუშევარი) ერთდროულად მარტივაც არის და საოცრად რთულიც. ესაა უნდა მოძრაობაში მოცემული სამყარო, რომელიც მოცდინება, როგორც ხალხური სიმღერა ან ზღაპარი და მის მუსიკალურ-ფერწერულ სტიქიაში ითქვიფება ყოფითი საგნები, ბუნების მოვლენები — ყოველივე იქცევა ლირიკულ ან ეპიკურ სახედ.

თავისებურია ჯ. ხუციშვილის მიერ შექმნილი პორტრეტებიც. მაგალითისათვის საკმარისია და. ვასახელით „პაპუნა წყნეთის პორტრეტი“ (ხუთი, 1969 წ.), რომელიც ყოფითი ვანრისა და პორტრეტის მიჯნაზე დგას. ავტორის ამოცანას შეადგენდა პიროვნების ფსიქოლოგიური სახის გამოკვეთა და, ამასთანავე, მხატვრული ჩანაფიქრის სიუვეტური გამართლება. აქ ისევ მოქმედებდა მათა კავშირის პრინციპი. სიძველეთა მოყვარული კაცის სახე სამშობლოს წარსულის, აწყობისა და მიმავლის სიყვარულის კეთილშობილური გრძნობით არის გასხვოსნებული. პლანებად აგებული კომპოზიციის სიმეტრიული, გაწონასწორებული წყობა, ერთიანი ფერწერული გამა, სიმბოლური ელემენტების გამოყენება — ყველაფერი ეს ექვემდებარება დროთა ურდვევი კავშირის პრინციპს.

ხუციშვილის შემოქმედებითი ხელწერა განვითარებადი ფენომენია, მაგრამ ინარჩუნებს საკუთარი სახვითი კულტურის თავისებურებებს, რაც გამოიხატება სურათის ტონალური შინაარსის ნატივ გრძნობაში, მხატვრის „მიკროძობაში“ გაჯერებული, მინაგანად გასივსებელი ფერის მიმართ. ხელოვნურად განათებულ საღებავთა „წვა“ მხატვრის თავის ნამუშევრებში ისევ აღქმისა და გრძნობის სფეროდან შემოიპყეს. გარდასახვის ძალა იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ ვხედავთ არა ფერს, არამედ საღებავთა ზეიშ.

მთელი რიგი ნამუშევრების სამკუთხედში ჩაწერილი (მაგ. „გრადაცია“ — 1977 წ.), ან საოცრად სიმეტრული (მაგ. ნატურმორტები) კომპოზიციები მოგვაგონებენ სურათის აგების ელასიკურ პრინციპებს. იგივე შეიძლება ითქვას „ლისირების“ ტექნიკის, კონკრეტული ნახატისა და ლოკალური ფერების გამოყენებაზეც, მაგრამ ჯ. ხუციშვილის ხელოვნების თავისებურებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ იგი თითქოს ბევრს მოგვაგონებს და, ამავე დროს, თვითმყოფადია. მხატვარი არ ცდილობს ვაგვაციოს უცნაური ხელწერით, ან უცნაური მოვლების ჩვენებით, არამედ საკუთარი განცდების პირობაში გარდატეხით რეალურად გვიხატავს ტიპურ სურათებს. სამმაკა კონტრუთი (მუქი, ღია და კვლავ მუქი) შემოწორილი მოცულობითი გამოსახულებებით დასახლებული მისი ტილოები, თუ შეიძლება ასე ითქვას, გრაფიკული ფერწერის ნიმუშებს წარმოადგენენ. დამახასიათებელია ისიც, რომ ხუციშვილი გასაოცარი მუსიკალურობით, უშეცდომოდ იყენებს ნათელ და ყრუ ტონებს, რომლებიც ქმნიან შესანიშნავ ფერწერულ სიმფონიას. ხდება რაღაც უჩვეულო: სიმღერა, სიტყვიერ-მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ დროში არსებობს, გარდაისახება, მოულოდნელად იქცევა ფერებად და ერწყმის ჩარჩოზე გადაჭიმული ტილის სივრცეს. საღებავებში გასაგნობრივებულ სიმღერა მუსიკალურ აბსოლუტურად ორგანულად და ბუნებრივად ეთვისება ფორმათქმნადობის თავისებურ პრინციპს. ფაქტობრივად, ეს საღებავებით ნამღერ სიმღერაა. გამოფენა უდავოდ ნიჭიერი, თვითმყოფადი ხელოვანის მომავალი შემოქმედებითი გამარჯვებების უტყუარი საწინდარია.



# ამაგდარი მამულიშვილები

## პირილ და პლემსენრა ბაბრაბიონეზის გიორგაუიისათვის

ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანაშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ჯუანშვიტ ბაბრაბიონილი** ა. წ. მარტიდან ივნისის ჩათვლით მივლინებული იყო სასაზღვარგარეთ როგორც რუნესკოს სტიპენდიანტი საარქივო და სხვა ფაქტობრივი ხასიათის მასალის მოსაძიებლად თემაზე: „საქართველოს ისტორიული ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან XVII-XVIII საუკუნეებში“. სახელდობრ, პოლანდისა და შვეიციის სამეცნიერო დაწესებულებებში მან, სხვა წყაროებთან ერთად, სანტერესო დოკუმენტური მასალა გამოაგლინა პირილ II და მისი ვაჟიშვილის ალექსანდრე ბაგრატიონის შესახებ ამ უცანასკნელის დღემდე უცნობი ორი პორტრეტის ჩათვლით, რომელთა ფოტორეპროდუქციას ჭუანშვიტ ვათიშვილის წერილთან ერთად ქვემოთ ვთავსებთ.

### ჯუანშვიტ ვათიშვილი

XVII საუკუნის ბოლო მეოთხედის დასავლეთ საქართველოში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ სწელი მუწყო იმერეთის მეფის პირილ II რუსეთში ემიგრაციასა და იქ საბოლოო დამკვიდრებას. 1684 წელს ასტრახანიდან მოსკოვს პირილმა ჯერ თავისი ორი ვაჟიშვილი — ალექსანდრე და მამუკა გაამგზავრა, ხოლო მომდევნო წლის დამლევს თავად ჩავიდა იქ ოჯახის სხვა წევრებითა და ამალითურთ. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის რვა წლის მანძილზე ამის შემდეგ პირილს არაერთგზის მოუხდა სამშობლოში დაბრუნება იმერეთის სამეფო ტახტის კვლავ დაუფლების

მიზნით (რაც განუხორციელებელი აღმოჩნდა), მოსკოვს მისმა პირველმა ჩასვლამ სათავე დაუდო რუსეთის დედაქალაქში ქართული კოლონიის აღმოცენებას, რომლის ჩანასახი აქ, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1660-იანი წლებიდან არსებობდა თემურაზ პირველის შვილიშვილის, ერგლუ დავითის მისა და მისი ამაღის სახით.

XVII საუკუნის ბოლო მეოთხედი, განსაკუთრებით კი 80-იანი წლები, პოლიტიკურად მეტად დამაბული იყო არამხოლოდ მოსკოვს ემიგრანტად ჩასული ქართველი მეფისა და მისი ოჯახისათვის, არამედ საერთოდ რუსეთის სამეფო



მარტინ მეიკენსის მიერ შესრულებული ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის პორტრეტი

კარისთვისაც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ სწორედ ამ წლებში ჰქონდა ადგილი ჯერ სრულიად ახალგაზრდა პეტრე პირველის საწინააღმდეგოდ გამიხსენიებული ათაბაგი პოლიტიკური ინტრიგის სტრუქტურის ამოხსნა ჩათვლით. ეს ის პერიოდი იყო, როცა მილოსლავსებმა და ნარიშკინებმა (ანუ სლოვანთა და პეტრეს მომხრეებმა) შორის სამეფო-სახელმწიფო ბრძოლის ვითარებაში მოსაკვებ ახლად დაშვილებულ იმერეთის ლტოლვილი მეფისა და მისი ოჯახის წინაშე შეტად რთული ალტერნატივი დაიხასა და ორი საპირისპირო დასის მიმართ დამოკიდებულების გამოქმედებების აუცილებლობით.

არჩილ მეფის პოლიტიკურ გამჭრიახობაზე, სხვათა შორის, ისიც მიტყვევებს, რომ მან რუსეთის სამეფო კარზე შექმნილ დამაბულ ვითარებაში შეძლო დამოუკიდებელი პოზიციის შენარჩუნება რომელიმე დასის მიმართ მიკერძოების ამ მვეთარად გამიხსატული სინამთათა-ანტიპათიის დადასტურების გარეშე. ამ მართებულ პოზიციას, რომელიც სასებურ შეესაბამებოდა ქართული სამეფო გვირგვინის წარმომადგენლის ღირსებას და პოლიტიკურ მიზნებს, საკმაოდ თვალმაზლიც დასაბამებს არჩილის უფროსი ვაჟიშვილის, ალექსანდრე ბაქრაშვილის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ორი, თითქმის და ურთიერთგამომრიცხველი, ცნობილი ფაქტი: ერთი მხრივ, ალექსანდრეს ქორწინება ფეოდალთა ივანეს ასულ მილოსლავსკაიაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი ზედმიწევნით ახლომდებარებული ურთიერთობა გვირგვინისთან თანატოლთან და თანამოსაგრესთან პეტრე პირველთან.

არჩილ და ალექსანდრე ბაგრატიონების ურთიერთობა პეტრე პირველთან ცალკე შესწავლის საგანია, რასაც ჩვენი წერილი მიზნად არ ისახავს. სადღესოდ ცნობილია, რომ ამ თვალმაზლიც კეთილგანწყობილმა ურთიერთობამ თავის დროზე დიდად შეუწყო ხელი არა მხოლოდ არჩილის კულტურულ საქმიანობას მისივე და ალექსანდრე ბაქრაშვილის რუსეთის არტაღიერების პირველ მარშალად (გენერალ-

ფელდცეიმისტრად) დაწინაურებას, არამედ დაღმთიანდ იქმნება უკანასკნელთა კონტაქტებზე საზღვაგარეთეულ (უპირატესად პოლანდიელ და შვედ) მოღვაწეებთან. ამდენად, არჩილისა და ალექსანდრეს ცხოვრებასა და მრავალმხრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ყოველი ცალკეული, დღემდე გაუშიფრავი, ფაქტის დადგენა უდავოდ მნიშვნელოვანია რუსეთ-საქართველოსა და საქართველოს დასავლეთ ევროპაში ქვეყნებთან ურთიერთობათა ისტორიის მეცნიერული შესწავლის თვალთახედვით.

ჩვენ გვიჩინდა შესაძლებლობა ამაში ერთხელ კიდევ დაერწმუნებოდაყავით, როდესაც იუნესკოს სტიპენდიის პროგრამით მეშობაზე მოგვიწია, კერძოდ, პოლანდიის და შვეიცარიის სამეცნიერო დაწესებულებებში. არჩილისა და, განსაკუთრებით, ალექსანდრე ბაქრაშვილის შესახებ საზღვაგარეთ მოიძიებული საკმაოდ ვრცელი მასალა, რომელიც უმთავრესად შვედურ ენაზეა, ჯერ სათანადოდ არ არის შესწავლილი და დამუშავებული. ამიტომ თავს ვიკავებთ აქ მისი საფუძვლიანი აღწერისა და შინაარსის გადმოცემისაგან. ესარგებლობთ შემთხვევით, რათა მკითხველს ზოგადი ინფორმაცია მივაწოდოთ ზემოთხსენებულ ორ ქვეყანაში არჩილ მეფესა და მის მემკვიდრეზე ახლად გამოვლენილი საბუთების შესახებ, ცალკეულ დოკუმენტებზე ყურადღების გამახვილებითა და ჩვენ მოსაზრებათა მოკლედ გადმოცემით.

პოლანდიის სამეცნიერო დაწესებულებებში გამოვავლინეთ და ფირზე გადავიღეთ ქართულ-პოლანდიური ურთიერთობის ამსახველი საარქივო და ლიტერატურული მასალა, რომელიც ძირითადად XVII საუკუნის ბოლო პერიოდის ორ ცნობილ ისტორიულ ვიზიტს უკავშირდება. პირველია — არჩილ მეფის დაგვიტოვებ ამსტერდამელი მესტამბის, უნგრელი ტოტორლუმი კომ მიკოლშის<sup>2</sup> მიერ 1688—1687 წლებში: ქართული შრიფტის ჩამოსახსმელი მატრიცების დამზადება, ხოლო მეორე — დასავლეთ ევროპის ქვეყნებში პეტრე პირველის 1697 — 1698 წლების მოგზაურობაში (ე. წ. „დოდ ლტობაში“) ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის მონაწილეობა.

ქართული შრიფტის მატრიცები არჩილმა ამსტერდამელ ოსტატს მოსკოვში ემიგრანტად ჩასვლის პირველსავე წელს დაუკვეთა. უშუალო დახმარება ამ საქმეში მას შვედმა მეცნიერმა და დიპლომატმა იოჰან-გაბრიელ სპარენგუელმა და ამსტერდამის ერთ-ერთმა ბურომისტრმა ნიკოლა-ფორნიელის ვიტცენმა აღმოუჩინეს. ამ უკანასკნელთან, როგორც ცნობილია, არჩილს მიმოწერაც ეკავებოდა. ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია ვიტცენის მიმოწერის საკმაოდ ვრცელი ფონდი. ამ ფონდის ერთ-ერთ მსგავსად, სადაც თამაყილია ვიტცენის მიმოწერა მის მეგობართან, ქალაქ დევენტრის მერთან გიუტებერტ გუერთან, მივაგვიტოვო არჩილის ვიტცენისადმი მიწერილი ცნობილი წერილის ასლს პოლანდიურსა და ფრანგულ ენებზე. ამ დოკუმენტთან დახანდალეთი მ. კუკერისადმი წერილიდან ირკვევა არა მხოლოდ ის, თუ რად მნიშვნელობას ანიჭებდა ვიტცენი არჩილ ბაგრატიონთან ურთიერთობას, არამედ ისიც, რომ არჩილის მისმდელ გაგზავნილ წერილის ორიგინალში შეცდომით მითითებულ ვიზიტ „ბარონ ვლარში“ იგულისხმება პოლანდიის მეფერთაშორის შტატების რეზიდენტი მოსკოვში ბარონ იოჰან-ვილემ კეკელი, რომლის შემეფოთით არჩილ ვიტცენსაც უკავშირდებოდა და სათანადო ინფორმაციასაც დეულუობად ამსტერდამში თავისი დაკვეთის შესრულების თაობაზე.

ანაკვ ფონდიდან ამოვიჩინეთ და ფირზე გადავიღეთ ვიტცენის გ. კუკერისადმი მიწერილი ზოგიერთი სხვა ბარონი, რომელთა შინაარსი შეიცავს ავტორის ცალკეულ გამოხატულებებს საქართველოსა და ქართველების შესახებ, XVII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში მისი მოგზაურობის შედეგად მიღებულ შედეგბეჭდებზე და სხვ. საერთოდ, ნ. ვიტცენის თვალნათლივმა სამეცნიერო და შემეცნებითმა ინტერესმა აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი, განსაკუთრებით კი საქართველოსადმი და მისმა მჭიდრო ურთიერთობამ ქართველ მოღვაწეებთან გვიკარანხა პოლანდიაში ყოფნისას საკმაოდ





საფუძვლიანი მასალა შედგენილია თემაზე: „ვიტყვი საქართველოს შესახებ“.

ამსტერდამის სამეცნიერო დაწესებულებებში საინტერესო მასალა გამოვალენით აგრეთვე სახელმძღვანელო უნგრელი მეტიკამის ტრეფლიუშ კიმ მიკლიძის შესახებ, რომელმაც მიმოხილავს როლი შუაღმრთელი ქართული კულტურის განვითარების საქმეზე. მისი მიმოხილვა საბრძანებლადან, განსაკუთრებით კი ჩვენს მიერ შეყვანილი მიკვლევული საარქივო და სხვა ფაქტობრივი ხასიათის ცნობები, ექვს არ იწყებს; რომ უნგრელმა ოსტატმა პირინალმა დაასრულა მოსკოველი დამკვეთის, ანუ არჩილ მეფის დაეალა საბი ნაირსახეობის ქართული სასულიერო შრიფტის მატრიცების დამზადების თაობაზე.

რაც შეეხება საქართველო-ქოლანდიის ისტორიული ურთიერთობის მეორე ეპიზოდს — XVII საუკუნის მიწურულში პეტრე პირველის თაოსნობით განხორციელებულ დიდი ელჩობაში — ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის მონაწილეობას, — ჩვენს საკვლევადიერო მუშაობა ამ მიმართულებაში უპირატესად პაავისა და სახადამის სამეცნიერო დაწესებულებებში წარისათა. სახადამის პეტრე პირველის სახელმწიფოში გაეცანით მეტად საინტერესო დოკუმენტს — 1691 წლის აგვისტოში დათარიღებულ ადგილობრივი საკვლევო წიგნის ამონაწილს. მისი შინაარსის მიხედვით, ქოლანდიში ინგოზრებით ჩასული პეტრე პირველი მისთან იმეხად ყუღაზე დახალციხეზე ექვს თანმშობელ პირთან ერთად, რაჟელთა შორის დოკუმენტში ძემების, ალექსანდრე და გავრილ: მემშვივეთის გარდა, ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის მითითებით, 1697 წლის 18 აგვისტოს დასაბლა სახადამის გეგმაში სახელისნოების შორისხლის, მისთვის პირადელსავეთი ქოლანდიელი მჭედლის, პირატ კისტის სახელში. აჟ დაჟყო მან რამდენიმე ხაზი რუსეთის, დიდი ელჩობის; ამსტერდამში ოფიციალურ ვიზიტად ჩასვლის მოლოდინში, ხოლო შემდეგ, როგორც ცნობილია, იმავე პირების თანსლებთ: ქოლანდიდან ინგოლიში იმოგზაურა შტატკალტერ ვილემ III-ის მიწვევით. ჩვენს ხელთ არსებული მასალის, განსაკუთრებით კი თვედორე იურის ძე რომოდანოვსკისადმი ამსტერდამიდან მოსვლით გაგზავნილი პეტრე პირველის ცნობილ წერილის მიხედვით, ქოლანდიამი ყოფინასა ალექსანდრე ბაგრატიონი, იმ პერიოდის გამოკლებით, როდესაც ის რუსეთის მეფეს ინგლისში ახლდა თახ, ძირითადად პაავაში ცხოვრობდა, სადაც, „საბომბარდირო“ ანუ საარტილერიო საქმეებზე იყო. ზოგიერთ ქოლანდიურ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროზე დაყრდნობით, რომელსაც ჩვენ პაავის სამეფო ბიბლიოთეკაში გაეცანით, შემოიღება ვიგვარულით, რომ ალექსანდრე ბაგრატიონი „საბომბარდირო“ საქმეს პაავის სახელმწიფო საარტილერიო დაწესებულებაში სწავლობდა. ხოლო მისი მასწავლებელი სამხედრო-საარტილერიო საქმის ცნობითი ქოლანდიელი მოღვაწე მერო ფონ კუზინი იყო.

იუნესკოს სტიპენდიის პროგრამის შესაბამისად ჩვენ შეეცადით სამეცნიერო დაწესებულებებშიც მოვივისხა მუშაობა, კერძოდ, სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივსა და სამეფო ბიბლიოთეკაში და ქალაქ უმსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში (ე. წ. „კაროლინა რედივიკა“-ში). აჟ ჩვენი სამეცნიერო ინტერესები ისევ არჩილ და განსაკუთრებით, ალექსანდრე ბაგრატიონებს დაუკავშირდა. უკანასკნელი, როგორც ცნობილია, 1700 წელს ნარვასთან ბრძოლაში ზოგიერთ სხვა რუს გენერალთან ერთად ტყვედ ჩავეარდა შევადებს და 11 წელიწადი ტყვეობაში, სახელდობრ, სტოკჰოლმსა და ლინჩინგში გაატარა.


სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივში გამოვავლინეთ და ფოტოსალები გადავიღეთ დღემდე მუხსწავლელი ვრცელი საარქივო მასალისა, რომელიც პასაბაშ შეყვანილი ტყვეოფორე ქართველი უფლისწულის ცხოვრებას მის გარდაცვალებამდე არქივში ძირითადად შემდეგ ფონდებზე ვიმუშავეთ: „ხელნაწერთა კრებული ტიდოს სასახლიდან“, რომელიც ი. გ. სპარფხელდის პირადი არქივის ნაწილს შეიცავს, „შვედურ-რუსული ურთიერთობები“, „რუსი ტყვეები“ (ნათესავებთან მათი მიმოწერის ჩათვლით), „ოქმები“ სენატისა, სამეფო საბჭოსა,

კოლეგიუმის კანცელარიისა და სხვ. ამ მასალიდან აფსქმეული ნაული არჩილ მეფის 1706 წლის ივნისით დათარიღებული ქაქაქა სამი წერილი კარლის XII-სადმი ვაჟიშვილის ტყვეობიდან დახსნის თაობაზე თხოვნით. ეს წერილები თავისი შინაარსით მტკნარად განსხვავდება შ. ბროსის მიერ გამოქვეყნებული არჩილის კარლის XII-სადმი 1706 წლის თებერვლით დათარიღებულ ცნობილ წერილისაგან. გარდა ამისა, დიდ ინტერესს იწვევს ალექსანდრე ბაგრატიონის შობილესისა და დისადმი წერილის ავტორიავთ, მისივე წერილები შეეციათ სახადამს და კარლოს XII-სადმი, დოკუმენტები, რომლებიც ალექსანდრეს მიმართ ტყვე რუსი გენერლების ზედმეწიწი ბულთაბლ დამოკიდებულებაზე მიკვლევით და სხვ.

სტოკჰოლმის დასახლებულ სამეცნიერო დაწესებულებებში გაეცანით და ფოტოსალები გადავიღეთ შენი ისტორიკოსების ნაშრომებისა ნარვასთან ტყვედ ჩავეარდა რუსი გენერლების პუკლიაში ცხოვრების შესახებ, მათ შორის ერთი — საყრდნობო შეკვირვება, რომელიც უშუალოდ ალექსანდრე ბაგრატიონის ეხება. გარდა ამისა, შვედურ პორტრეტთა არქივში, რომელიც სტოკჰოლმის ნაციონალურ მუზეუმშია დაცული, გამოვალენით ქართული ისტორიკოგრაფიისათვის დიდმდე ზეითი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის ტალოზე უცნობი შესრულებული ორი პორტრეტი, რომლებიც XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ შვედ მხატვრებს მართბს მიტენსსა და ელიას ბრენერს ეკუთვნის.<sup>2</sup>

ჩვენი სამეცნიერო საქმიანობა შეეციათ დასახლებულ ორ ქალაქში ამით არ ამოწურა. სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივში ფოტოფირე გადავიღეთ შეყვანილი მოღვაწე რუსი რეზიდენტის გრაფ ა. ხილკოვის მეტად საინტერესო მიმოწერა რუსეთის საელჩო უწყების მამინდელ ხელმძღვანელთან თვედორე ალექსის ძე გოლოვინთან და რუსი ტყვე-გენერლების თავის ნათესავებთან მიმოწერას, ჩვენის აზრით, ყველაზე შინაარსიანი ნაწილი. ეს საარქივო მასალა საინტერესოა არა მხოლოდ რუს ტყვეთა შეყვანილი ცხოვრების პირობების წარმოსადგენად, არამედ აგრეთვე როგორც ნარბატიული წყარო XVIII საუკუნის დასაწყისის რუსეთში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარების ზოგადი დასასათვისისათვის.

შობილესისა და დისადმი ალექსანდრე ბაგრატიონის წერილის ავტორიავის რუსული მინაწერი.




ქართული ანაბაქდები შემცირაში



სტოკოლმის სამეფო ბიბლიოთეკასა და უსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში გამოვალენით საინტერესო ცნობები ალექსანდრე ბაგრატიონის შვეიციაში კულტურული მოღვაწეობის შესახებ. ამ ბიბლიოთეკების ხელნაწერთა განყოფილებებში, კერძოდ, აღმოჩნდა სხვადასხვა ანაბეჭდილი ქართული ტექსტის, რომელიც, როგორც გამოირკვა, ალექსანდრე ბაგრატიონის თაოსნობით არის შედგენილი და დასტამბული სტოკოლმის პაინრის III ვაიხერის სტამბაში. ჩვენს მიერ მიკვლეული ორი სხვადასხვა შინაარსის ანაბეჭდიდან ერთი ცნობილია ქართული ისტორიოგრაფიისათვის: მასზე ქართულ ასომთავრულ და ნუსხურ ანბანებთან ერთად, სტამბური ნუსხა-ხუცურითაა განსაზღვრებული „მამია ჩვენის“-სა და ღვთისმშობლისადმი ლოცვის ტექსტები. ხოლო მეორე, დღემდე ჩვენთვის უცნობ, ასევე ნუსხა-ხუცურით შესრულებულ ანაბეჭდზე გადმოცემულია სასულიერო შინაარსის ტექსტი, რომელიც დასათარებულა: „სიტყვა დღესა ტაძრად მიყვანებისასა“. აი, თვით ტექსტიც:

„სიტყვა დღესა/  
ტაძრად მივე/  
ანებისასა“<sup>1</sup>  
ვინ არს ესე რომელი იხედავს/  
ვითა მოიბეძე, შეუნიერ ვითა მოი/  
ვარე და რჩეული ვითა მზე/  
სიტყვანი არაბი ბრძინისა სო/  
ლომონისნი ქებასა შინა ქებათა/  
სი თავსა ვ წკახარებასა შინა დაწერილისა:  
კეთლ მსახურებისა ნათლისა  
ა უმეტესობით ბრწყინვალე. მ/  
ველსა სველსა ულოველი კაცი იგი“.<sup>5</sup>

ელას ბრენერის მიერ შესრულებული ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის პორტრეტი.



როგორც ირკვევა, ზემოთხილული დღემდე უცნობი ქართული ანაბეჭდის ტექსტი წარმოადგენს XVII საუკუნის II ნახევრის ცნობილი ოქსი თეოლოგისა და სასულიერო მოღვაწის სიმეონ პოლოცკის ამავე შინაარსის ნაშრომის (ქადაგებნის) «Слово в день введения пресвятыя богородицы» ალექსანდრე ბაგრატიონის მიერ შესრულებული თარგმანის საწყის ნაწილს<sup>2</sup>. ეს დასკვნა არა მხოლოდ თავისთავად და საინტერესო, არამედ იმ მხრივაც, რომ დოკუმენტურად შემავრცელებულ საუკვეყლს იძლევა ალექსანდრე ბაგრატიონის მათავაშობლობითი მოღვაწეობის მნიშვნელოვანწილად მისი შვეიციაში ტყვედ ყოფნის პერიოდისათვის დასაბუთებულად. ამ მოსაზრების სასარგებლოდ თავსაბოლოო მტკიცებულებებს ახლადგამოვლენილი სხვა ნაბუთებიც, კერძოდ, ალექსანდრე მშობლებისა და დისაძენი ზემოთხილული წერილის შინაარსი, საიდანაც, სხვათა შორის, ირკვევა, რომ შვეიციაში ტყვედმოყოფი ქართველი მეფისწული, სოუქმადვე ცხოვრობდა მტკად დუშპირი პირობებისა, მოკლებული არ იყო არა მხოლოდ ნათესალებთან მიმოწერის, არამედ მათთვის დროდღარე ამანათების გადაღვანის შესაძლებლობასაც. ამასვე ნაწილობრივ მოწმობს შვეიციაში ქართული ანაბეჭდების შექმნის ისტორიაც.

უსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მივაკვლიეთ სტოკოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ანაბეჭდის, რომლის შესახებ ჩვენ ცნობილი მკვლევარების კ. ბიორგომისა და ჟ. შარაშიძის პუბლიკაციებიდან ვიცოდით<sup>3</sup>, ორ, დღემდე უცნობ, ნაირსახეობას. საინტერესოა, რომ მათ არსებობის შესახებ არაფერი იცოდა თვით შვედმა ისტორიკოსმა კ. ბიორგომსაც; მისი ზემოთხილული ნაშრომის „რუსუმები“, რომელიც მან ქრ. შარაშიძეს გამოუგზავნა, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ შვეიციაში დაწამბებული ქართული ანაბეჭდი „ერთადერთ გეზემპლარად არის დაცული, სახელდობრ, სტოკოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში“<sup>4</sup>. ამ გეზემპლარის ჩვენს მიერ უსალასში მიკვლეულ ნაირსახეობათა სვეციფიკის ამოსაცნობად სტოკოლმში დაცული ქართული ანაბეჭდის ზოგადი დახასიათება საჭირო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასზე სამი სახის ქართული სასულიერო შრიფტის გამოყენებით აწინის, „მამია ჩვენის“-სა და ღვთისმშობლისადმი ლოცვის, სახელდობრ, „ეპიტრაფელ“ მისაღებულ მარანი-ის ტექსტებია გადმოცემული<sup>5</sup>. გვერდის დასაწყისში ხუთი სტრიქონი უჭირავს შედარებით დიდი მოცულობის მრგვლოვან მთავრულს (საწვდის ასოები). ასოები მოცემულია ქართული აწინის თანრიგით ა-დან ჰ-მდე. ამ თანრიგში ასო ა წარმოდგენილია ორი სახით: საწვდისა ნუსხურით და მრგვლოვანით. ოღონდ ეს უკანასკნელი მარჯვნივ პირმობრუნებულია, რითაც განსხვავდება მრგვლოვანი აწინს ჩვეულებრივი მოხაზულობისაგან. როგორც ქრ. შარაშიძე შენიშნავს, ანაბეჭდზე განსაზღვრებულ მრგვლოვან აწინს „ოდნავ ეტყობა ლათინური შრიფტის გავლენა. განსაკუთრებით მეორე ადგილას მოთავსებული აწინს საწვდისგან. ამასთანავე, ოდნავ დარღვეულია ქართული აწინის თანმიმდევრობა, რაც შეგავსებს ასოების არავით უნდა იყოს გამოწვევული. მაგალითად, ხ (ლ) -სა და ძ (პ) -ს ერთმანეთის ადგილი უჭირავთ, ხოლო მ (ხ) -ანი, რომელიც გადმობრუნებულ მ (ნ) -ის წაგავს, გამოთვლებულია და მის ადგილას განმეორებით მოთავსებულია ნარი. ეს „ლაფსუსები“ ალბად იმით აიხსნება, რომ ასოების გამკეთებელს გასჭირებია უცხო დამწერლობის აწინში გარკვევა“<sup>6</sup>.

ანაბეჭდის მეექვსე და მეშვიდე სტრიქონზე მეორდება შედარებით მომცრო ტანის მრგვლოვანი აწინი ასოების იმავე თანრიგის დაცვით. „აქ დაშვებულია მხოლოდ ერთი შეცდომა: მ (პ) -არის ადგილას მოთავსებულია მსგავსი მოხაზულობის მ (ლ) -ანი“<sup>7</sup>. მერვე სტრიქონზე მოცემულია წერილი ზომის ნუსხური აწინი იმავე თანრიგით. „ძველი ანაბეჭდი ტექსტების ნუსხა-ხუცურ შრიფტთან შედარებით იკვ უფრო მომრგვალებულია, უფრო ინდივიდუალური იერისა. ხელნაწერის მსგავსად, არასაკმარისად გამოხატულია, ზოგჯერ გაურკვეველიც (ა, ი, ჟ)“<sup>8</sup>.




უხსალს საუნევერსიტეტო ბიბლიოთეკაში დაიდულ ქართული ტექსტის „სიტყვა დღესა ტაბაღ მიყენებრისას“

# სიტყვა დღესა ტაბაღ მიყენებრისას

ჩვენს ახალ წელსა ადრეობაჲს  
 და მთავრად, ყურთაჲს და მთავრად  
 თუბა, წამბეჭდულთა და მთავრად  
 სიტყვაჲს ახალს, ვსამბრისა, სხ  
 უმბრისაჲს, ქაღალთა და ქაღალთა  
 სხ. თაჲს: უხსალს და მთავრად  
 სიტყვაჲს ახალს და მთავრად  
 სიტყვაჲს ახალს და მთავრად

სიმეონ პოლოცკის ქაღაღების «Слово в день введения пресвятыя богородицы» პირველი გვერდი



IX-XIX სტრიქონებზე „მამათ ჩვენთა“-ს ნუსხური ტექსტია გადმოცემული, სახარების ტექსტისაგან მცირედ განსხვავებული (მდრ. მ, 6, 9-13). ანაბეჭდის „მამათ ჩვენთა“-ს დასაწყისი და ბოლო სტრიქონი მთავრული შრიფტითაა აწყობილი. ქვემოთ მოგვყავს ლოცვის სტოკპოლში დადგული ანაბეჭდისეული ტექსტი:

„მამათ ჩვენთ რ(ომელი)/13 ხარ ც(ათა) შ(ინა) წ(მილ)ა<sup>14</sup>  
 ივენ ს(აბ)ც(ლი) შ(ენ)ი მოვედინ ს(ღ)ვ(ც)ა შ(ენ)ი ივენ/1  
 ც(ე)ბა შ(ენ)ი ვ(ითარ)ც(ა) ც(ათა)შ(ინა) ვ(ებრ)ა ქ(ვეთ)ა/ს(ა)  
 წ(ღ)ა. პური ჩ(ვე)ნი 15 არსობისა მომეც ჩ(ვენ) დღეს და  
 მომბტვეწ ჩ(ვენ) თ(ა)ნანაღ/ც(ენი) ჩ(ვენი) ვ(ითარ)ც(ა) ჩ(ვე)ნ/ა  
 მიუტეობთ<sup>16/</sup> თანამღებთა მათ ჩ(ვენთა) და ნუ შ(ემა)ყ(ვე)ნებ<sup>17</sup>  
 ჩ(ვენ) განსაცდელსა არამედ გ(ვ)ს(ა)ც(ენ)<sup>18</sup> ჩ(ვენ) ბოროტ[ი]საგან/  
 ამინ“<sup>19</sup>.

XX-XXVII სტრიქონებზე მოთავსებულია ტექსტი ლოცვისა „გინაროდენ მიმადღებულო მარიამა“ ნუსხა-ხუცურიითე. ტექსტი განსხვავებულია სახარების ტექსტის შესატყვისი ადგილებისაგან (მდრ. ლ, 2, 28). მთავრული შრიფტი აქ ლოცვის მხოლოდ პირველ (XX) სტრიქონშია გამოყენებული. ქვემოთ მოგვყავს ლოცვის სტოკპოლში დადგული ანაბეჭდისეული ტექსტი:

„ღ(მ)რ(თის) მშობლო, ქალწულ[ო]/კიხაროდენ, მიმადღებულო/ მარიამ, უფლო შენთანა, კ(ი)რ(ითხ)ებუ, ხარ, შენ, დღესათა შორის და, ქ(ო)ვ-რ(ითხ)ებუ არს, ნაოცრუ მუცლისა შენისა, რ(ამებუ)ლ მაცხოვარს გვიშვე: სულთა, ჩვენთათა/ ვისა“<sup>20</sup>.

სტოკპოლში სიმეონ ბიბლიოთეკაში დადგული ქართული ანაბეჭდის დასასიათების სისრულისათვის მოკლედ შევიჩრდებით მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ერთ დეტალზეც. ამ დოკუმენტის სიძველისაგან გაცივითლებულ და გაყვრილ ზემო კიდზე იკითხება შევლურ ენაზე ხელით გაკეთებული წარწერა, რომლის მიხედვით ქართული ანაბეჭდი სტოკპოლში 1705 წელს პანინის კაიხურის სტამბაში დასვადა<sup>21</sup>. მიუხედავად თარიღის უზუსტობა — 1703 წლის ნაცვლად 1705 წლის მითითება ჯერ კიდევ კ. ბიორკიომმა აღნიშნა. მისი მოსაზრების მართებულობას ჩვენს მიერ შევცაიში გამო-

ვლენილი არაერთი საბუთი ადასტურებს. უპირველეს ყოვლისა, შევციის ე. წ. საკანცელარო კოლეგიუმს 1703 წლის 23 ოქტომბრის სხდომის ოქმი, სადაც დამოწმებულია ალექსანდრე ბატონიშვილის თხოვნა ქართული შრიფტისა (მატიანეების) და თანდართული ანაბეჭდის მოსკოვს გადაგზავნაზე ნებართვის მიღების მიზნით. აქ, სხვათა შორის, ნათქვამია: „თარგიმანმა ლინდენსან კოლეგიუმს წარმოუდგინა ერთი შეკვრა სხვადასხვა ნიმუშის ქართული საბეჭდავი ასოებისა, რომლებიც ტყვე მელითგება პრინცმა 22 ჩამოსამბეჭდინა. აქვე წარმოდგენილია ანაბეჭდი ამ ნიმუშებისა, რომელთა მოსკოვს გადაგზავნაზე ნებართვის ის ითხოვს სამეფო კოლეგიუმისაგან“.

ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ სტოკპოლში დამზადებული ქართული ანაბეჭდი არა უკვიანს 1703 წლის 29 ოქტომბრისა უკვე მზად იყო. თუმცა ანაბეჭდზე ხელით წამდგარებული შევდური წარწერიდან არ ჩანს ვის მიერაა იგი გაკეთებული, მაგრამ ბიორკიომი მის ავტორად მართებულად მიიჩნევს ელიას პალმშელდს, რომელიც საკანცელარო კოლეგიუმის 1703 წლის 29 ოქტომბრის სხდომის მიდევნის მოვალეობას ასრულებდა და ზემოხსენებული ოქმი ამ სხდომისა მისი ხელითაა დაწერილი. როდესაც შევჯავრებთ ქართულსალები ოქმის ტექსტისა და ქართულ ანაბეჭდზე გაკეთებულ შევდური მინაწერისა, მათი ხელწერის იდენტურობა გვეჯერებს აღმოჩნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ე. პალმშელდის მინაწერი ქართულ ანაბეჭდზე შედარებით გვიანდელი დროისაა და ამდენად, ქრონოლოგიურად არაზუსტი.<sup>22</sup>

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ელიას პალმშელდის (1667-1719), რომელიც კარლის XXI-სთან დაახლოებული პირი იყო, ზოგიერთი ბიოგრაფიული მონაცემები შეტყვევებს. XVII საუკუნის 80-იან წლებში, უსალაში სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, პალმშელდი კარლოსის (მამის ჯერ პრინცი) მრჩეულის („ინფორმატორის“ როლით გვევლინება, 1697 წლიდან იგი შევიცის სამეფო კანცელარის („საკანცელარო კოლეგიუმის“) მდივანი, ხოლო 1702 წლიდან — სახელმწიფო არქივის (Riksarkivet) მუდმივი მდივანი. ახალ თანამდებობას პალმშელდი ჯერ ათავსებს საკანცელარო კოლეგიუმში მუშაობასთან (რასაც 1703 წლის 29 ოქტომბრის მისი ხელით ნაწერი ოქმიც ადასტურებს), შემდეგ კი მისი საქმიანობა და ინტერესები ძირითადად ისევ

არქივსა და ისტორიულ მცენიერებას უკავშირდება. 24 ამდენად, შემთხვევითად როდი ჩანს არა მხოლოდ თავის დროზე მის მხრივ გამოძღვანებული პროფესიული ინტერესი საინჟინერო მნიშვნელობის უცხოეთიდან (ქართული) საბუთების მიზარით, არამედ სადღესობა მისი სახელობის საგამოფრცხელი და ცნობილი ხელნაწერთა ფონდის არსებობა უსაზღვრესად საინჟინერო ბიბლიოთეკაში. ქართულ ანბანზე მისი ხელთი გაკეთებულ მინაწერს დამოუკიდებელი თარიღის უზუსტობა, ჩვენის აზრით, ე. პალმშედლის პროფესიონალიზმით გამოწვეული ლაფსუსია და სხვა არაფერი. ასეთი დასკვნა მით უფრო გამართლებულია გვეჩვენება, რომ საფუძველი მინაწერი მითითებულად, „1705 წ.“ ანბანების განმეორებით დანახდების თარიღად მისაჩვენებელი არა თუ არ ჩანს. არამედ გამოხატვისა.

სათანადო შევადრენოვანი სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, რომ ელიას პალმშედლი თავისი სამსახურებრივი საქმიანობით უშუალოდ იყო დაკავშირებული რუს ტყვეობთან ისევე, როგორც ე. უ. სპარჩენდელი, რომელსაც განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ალექსანდრე ბაგრატიონთან ჰქონდა. ელიას პალმშედლის ურთიერთობაზე, ქართველ ბატონიშვილთან საკანცელარიო კოლეგიუმის 1703 წლის 29 ოქტომბრის შემოცხადებული ოქმის გარდა, თავლანთავე მეტყველებს ერთი მეტად საინტერესო შინაარსის საბუთი. შერის მოვლენ ამონაწერი („Extract“) შევადრენზე ჩვენის აზრით, ქართულიდან ნათარგმნი ალექსანდრე ბატონიშვილის მიმართ გავხავილი წერილიდან, რომელიც უსაზღვრესად საინჟინერო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული. საბუთი არ დოკუმენტისა, მისი თარიღი და შინაარსი ერთი სიტყვის გამოკლებით, ისევე, როგორც მისი მონათესაის თანამიმდევრობა ე. პალმშედლის ფონდის იმ შეკრავში, სადაც თავმოყრილია ქართული ანბანებიდან ნათარგმნი და მასალა პირნის კიხეების არსებობის სხვა

ბუბლიკაციების შესახებ (შეკრავში ამონაწერი უშუალოდ წინ უძღვის ქართულ ანბანებს) — ყოველივე ეს იქნება არ ტყვეობის მისი ავტორისა და ადრესატის ჩვენს მიერ მოცემულ განმარტების ქვეშარჩებებაში.

საბუთის სათაურია: „ამონაწერი წერილიდან თავისი მამისადმი, რომელიც დათარგმნულია სტოკჰოლმში 1703 წლის 29 ოქტომბრით“. ეს თარიღი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რადგან საკანცელარიო კოლეგიუმმა სწორედ ამ დღეს იმსჯელა ალექსანდრე ბატონიშვილის შემოადრინებული სთხოვნის გამო და საკითხის სენატს გადასცა განსახილველად. დოკუმენტის ტექსტი თითქმისა და შეესაბამება საკანცელარიო კოლეგიუმის ამ არც თუ ისე საიმედო გადაწყვეტილებას. აქ ნათქვამია: „მე გამოვხვეყნე სამი მამასმდე ანბანი შევადრენზე (?)“, ასევე ერთი ცალი, რომელიც ჩვენსა „და „წმინდაო მარიამის“ ანბანებდა. შეძლებისამებრ სიაზოვნებით გამოვხვეყნე სამი ნაწილი ( Lirattum).

თუ ჩვენს მიერ შესრულებული ქართული თარგმანი ციტირებული დოკუმენტისა შევადრენი დედნისადმი აზრობრივად აღქვამტრია, იგივეს ვერ ვიტყვით თარგმანის სტილზე: მისი შეუსაბამობა XVIII საუკუნის დასაწყისის ქართულთან თვალნათლივია. მაგრამ ეს გაბრუნება სრულიად არ უშლის ხელს დავიანხან შევადრენის დედნის შემდგომის ფაქტობრივ სახაათის თვალნათლივ ლაფსუსი: ალექსანდრე ბატონიშვილის მიმართ წერილის ამონაწერი ჩვენთვის უკვე ცნობილი სამი ნაწილისაგან ქართული ანბანის ნაცვლად აქ მითითებულია „სამი ანბანი შევადრენზე“, რასაც აზრობრივად სრულად გამართლ ტექსტში ერთგვარი დისონანსი შეაქვს. ამ ლაფსუსის გამოკლებით შემოთავაზებული შევადრენობა, მაგრამ არსებითად ქართული შინაარსის დოკუმენტი უსაზღვრესად საინჟინერო ბიბლიოთეკიდან თავისთავად მეტად საინტერესოა. აქ დამოუკიდებელია სტოკჰოლმიდან მოსკოვში,

ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით სტოკჰოლმში დამზადებული ქართული ანბანებლები

შეადრენი წერილიდან

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ

წველდუჲს  
ჩქნსხა  
ოჲსჲსქსქოჲ  
ფჲიყჲჲჲჲჲჲ  
ჲჲჲჲჲჲჲჲ



